პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი—მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ.
№ 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და
საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34
ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო ბადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათო შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელზე იაპონიაში.
— თურქეთ - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების განახლება.
— კარლ მარქსი პარიზის კომუნის შესახებ.
— გერმანიის ფაშისტებმა მოჰკლეს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელი.
— დამთავრდა საკავშირო საბჭოთა მე-6 ყრილობა

ოთხშაბათი, 18 მარტი 1931 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 63 (3018)

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას

დღეს საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატი აღნიშნავს სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთ უდიდესი ისტორიული ეპიზოდის — პარიზის კომუნის—სამოცი წლის თავს. 1871 წლის 18 მარტს ნაპოლეონ მესამის ტირანიითა და ალვირახსნილ ბურჟუაზიის ექსპლოატაციით განაწამებ პარიზის პროლეტარიატმა დაამხო თავის სულთამხუთავების ბატონობა და ძალაუფლება თვითვე აიღო ხელში. ეს იყო პროლეტარიატის პირველი უდიდესი გამარჯვება კლასიურ მტერზე.

პარიზის კომუნა წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის ხელისუფლებას. მაგრამ დიდხანს არ დასცალდა მას არსებობა. საფრანგეთის ბურჟუაზიამ პრუსიელ იუნკერების ჯარების დახმარებით დაუზოგავად იძია შური პროლეტარიატზე, ის მხეცური შეუბრალებლობით გაუსწორდა პარიზის მშრომელ მოსახლეობას, მან კომუნართა სისხლით შეღება პარიზის ქუჩები.

ეს მოხდა სამოცი წლის წინად, როცა პროლეტარიატი ჯერ კიდევ სუსტი იყო რიცხობრივად და ორგანიზაციულად, როცა პროლეტარული ბრძოლის იდეოლოგია — მეცნიერული სოციალიზმი — მხოლოდ ახლად იკიდებდა ფეხს, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო უტოპიური სოციალიზმის გავლენა. მაშინ, სამოცი წლის წინად, ბურჟუაზიამ მოხერხებულად ისარგებლა პარიზის კომუნის შეცდომებით და სისუსტით. ბურჟუაზიამ შური იძია პარიზის მუშებზე მათი ხელისუფლების 72 დღის არსებობისათვის. მაგრამ პარიზის კომუნის ისტორიულმა გაკვეთილმა განსაკუთრებული როლი ითამაშა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. უდიდესი კომუნა მსოფლიოში, დღევანდელი კაპიტალისტური ქვეყნების რისხვა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — პარიზის კომუნის იდეის ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი განუყრელად დაკავშირებულია ღარიბ და საშუალო გლეხობასთან, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის საქმისათვის იბრძვის დღეს მთელი მსოფლიოს რევოლუციონური მუშათა კლასი, რომელსაც ეხლა ჰყავს თავისი იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული სიმტკიცით ისტორიაში ჯერ არ ნახული ავანგარდი — კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირში ბურჟუაზია თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს განიცდის სოფლად და ქალაქად. პროლეტარული სახელმწიფოს არსებობის 14 წლის განმავლობაში მუშათა კლასმა წელში გასტეხა და დაქსაქსა კლასობრივი მტერი.

საბჭოთა კავშირში შენდება ნამდვილად ახალი ცხოვრება, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა მარქს-ლენინის მოძღვრების საფუძველზე. პარიზის კომუნის სამოცი წლის თავზე საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი აწარმოებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრებისათვის ბრძოლას. და ეს არის უდიდესი გამარჯვება დროებით დამარცხებულ პარიზის კომუნისა.

რას ვხედავთ ამავე დროს ბურჟუაზიის ბანაკში?

უმწვავესი ეკონომიური კრიზისი, რომელმაც მოიცვა ბურჟუაზიული ქვეყნები, უმუშევრობის განუწყვეტელი ზრდა, პროლეტარული რევოლუციის შიშით აუტანელი პოლიტიკური რეჟიმის გამეფება, თეთრი ტერორის განუკითხავად პარპაში—ასეთია დღეს თავისივე შინაგანი წინააღმდეგობებით სასიკვდილოდ დაავადებული ბურჟუაზიული მსოფლიოს სურათი.

ამგვარ პირობებში გასაგებია, რომ მშრომელი მასების რევოლუციონური შეგნება და მოქმედება დღითი დღე იზრდება, რომ მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი მთელ მსოფლიოში კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ირაზმება, რომ სოციალ-დემოკრატიის რიგებში მყოფ მუშათა შორის ძლიერდება გამოფხიზლება და ისინი სტოვებენ სოციალ-გამცემლების, სოციალ-ინტერვენტების რიგებს.

პარიზის კომუნის ჯალათების ტიერისა და გალიფეს სისხლიანი საქმის ღირსეული მემკვიდრენი — სოციალ-პოლიციელი ქოფაკები — ცერგიბელები, ზევერინგები და ძმანი მათნი რევოლუციონური მოძრაობის ჩასაქრობად მოქმედებენ არა მარტო უსინდისო პროვოკაციით საბჭოთა კავშირისა და კომუნისტების წინააღმდეგ, არამედ ხიშტებითა და ტყვიამფრქვეველებითაც. თუ 1871 წელს ლუი ბლანის ტიპის „სოციალისტებმა“ ფაქტიურად მოღალატეობა ჩაიდინეს პარიზის კომუნის მიმართ, დღეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან ერთად გაცოცებით იბრძვიან კაუცკების, რენოდელების, ჰილფერდინგების და ყველა ჯურის სხვა სოციალ-მოღალატეები. ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეები სავსეა საუკეთესო რევოლუციონერებით. პროლეტარიატს უმძიმეს პირობებში უხდება ბრძოლა კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ.

პროლეტარული რევოლუციის მთელ მსოფლიოში გამარჯვების ინტერესები გვიკარნახებენ ყოველნაირად დავეხმაროთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლთ.

ამ მიზანს ემსახურება რემედასი, რომელიც თავის არსებობის დღეს აღნიშნავს 18 მარტს — პარიზის კომუნის დღესთან ერთად. ეს სავსებით გასაგებია: ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისათვის ნიშნავს ბრძოლას პარიზის კომუნის იდეების გამარჯვებისათვის. ამიტომ პარიზის კომუნის სამოცი წლის თავის საუკეთესო აღნიშვნა იქნებოდა ის, თუ ჩვენ გავშლით უცხოეთის აგიტაციას ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების კიდევ უფრო ფართოდ დასარაზმავად რემედასის გაერთიანებებში. არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, არც ერთი ღარიბი და საშუალო გლეხი, რომელიც არ იქნება რემედასის აქტიური წევრი.

პარიზის კომუნის სამოცი წლის თავს მსოფლიო პროლეტარიატი აღნიშნავს, ერთი მხრივ, სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი წინსვლელობის და, მეორეს მხრივ, კაპიტალიზმის ნგრევისა და დაცემის პირობებში. პარიზის კომუნარების საქმე აღსდგა ოქტომბრის დიადი რევოლუციის დროშის ქვეშ. ეს რევოლუცია მიდის წინ კაპიტალის ბასტილიების დასანგრევად.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას! გაუმარჯოს მსოფლიო კომუნას!

გაუმარჯოს ლენინის კომუნისტურ ინტერნაციონალს.

კარლ მარქსი პარიზის კომუნის შესახებ

ქვემოთ პირველად ქვეყნდება ამონაწერი მარქსის წერილიდან ვილჰელმ ლიბკნეხტისადმი. ამ დოკუმენტში, ისევე, როგორც იმავე დროის წერილში კუგელმანისადმი, მარქსი მოკლე ფორმულის სახით იძლევა პარიზის კომუნართა დამარცხების იმ მიზეზების ანალიზს, რომლებიც მან წინასწარ განსჭვრიტა. კომუნის შეცდომების მარქსის შეფასება საფუძვლად დაედო ლენინის მთელ რიგ წერილებს და სიტყვებს კომუნის შესახებ, განსაკუთრებით მისი ნაშრომის „სახელმწიფო და რევოლუცია“-ს სათანადო თავებს.

მარქსისა და ენგელსის ინსტიტუტი.

„1871 წლის 6 აპრილი.

ძვირფასო ლიბკნეხტ! ცნობას შენი და ბებელის, აგრეთვე ბრაუნშვეილების განთავისუფლების შესახებ უდიდესი სიხარულით შევხვდით აქ, ცენტრალურ საბჭოში.

როგორც სჩანს, თუ პარიზელები მარცხდებიან, ეს მათივე დანაშაულია, მაგრამ დანაშაული, რომელიც საქმით შედეგად მოჰყვა მათ უძლიერეს პატიოსნებას. ცენტრალურმა კომიტეტმა და, შემდეგ, კომუნამ საშუალება მისცეს უბადრუკ არამზადა ტიერს თავი მოეყარა მტრული ძალებისათვის 1) იმიტომ, რომ მათ სისულელით არ უნდოდათ დაეწყოთ სამოქალაქო ომი, თითქოს ეხლა თითონ მან არ დაიწყო იგი თავისი ცდით—ძალით განიარაღოს პარიზი და თითქოს ნაციონალურ კრებას უნდა გადაეწყვიტა საკითხი პრუსიელებთან ომისა და მშვიდობიანობის შესახებ და არ გამოეცხადებიოს დაუყოვნებლივ ომი რესპუბლიკისათვის, და 2) რათა მათთვის არ ეხაყვედურათ ძალით ხელისუფლების ჩაგდება. მათ დაჰკარგეს ძვირფასი წუთი, საჭირო იყო დაუყოვნებლივ გაელაშქრათ ვერსალზე პარიზში რეაქციის დამარცხებისა (ვანდომის მოედანი) და კომუნის არჩევის შემდეგ, რომლის ორგანიზაციაც კვლავ მოითხოვდა დროს.

მთელი იმ ნაგავიდან, რასაც შენ გაზეთებში ჰხედავ პარიზის შინაური ამბების შესახებ, არ უნდა დაუჯერო არც ერთ სიტყვას, ყველაფერი ეს სიცრუე და მოტყუებაა. არასოდეს გაზეთების ბურჟუაზიული ჯღაბნა ასე ბრწყინვალედ არ გამოაშკარავებულა.

მეტად დამახასიათებელია, რომ მთლიანი გერმანიის იმპერატორი, მთლიანი სახელმწიფო და მთლიანი პარლამენტი ბერლინში თითქოს სულ არ არსებობენ გარეშე მსოფლიოსთვის. ქარის ყოველი დაბერვა პარიზში დიდ ინტერეს იწვევს; საჭიროა გულდასმით თვალ-ყურის დევნება მოვლენებისათვის დუნაის სახელმწიფოებში. თუ რევოლუცია საფრანგეთში დროებით დამარცხდა, მოძრაობის ჩაქრობა იქ შეიძლება მხოლოდ მოკლე ხნით. მაშინ ევროპისთვის აღმოსავლეთიდან დაიწყება ახალი ომები, და რუმინეთი მართლმადიდებელი მეფისათვის ამ მხრივ გადაიქცევა პირველ საბაბად. მაშასადამე, ყურადღება ამ მხრისკენ“

პარიზის კომუნის მონაწილის მოგონება

მოსკოვი, 17 მარტი. (საკ. კორ.). მოსკოვში, შაბოლოვის ქუჩაზე, ილიჩის სახელობის დასასვენებელ სახლში ცხოვრობს პარიზის კომუნის ერთ-ერთი მონაწილე გუსტავ ინარი. ის უკვე 84 წლისაა, მაგრამ არაჩვეულებრივ მხნედ გამოიყურება. დღეს გუსტავ ინარმა თქვენს კორესპონდენტს გაუზიარა თავისი მოგონებანი პარიზის კომუნის უკანასკნელი დღეების შესახებ.

— ბასტილიის მოედანზე, რომელიც დაჰყურებს დიდ ბაღებს და სენ-ანტუანის უბანს, დატრიალდა დიდი სისხლისღვრა. მე ჩაბარებული მქონდა ბარიკადა, რომელიც სენ-ანტუანისაკენ გაჰყურებდა. ეს იყო პატარა, ნაჩქარევად აგებული ბარიკადა, რომელზედაც იერიში მოიტანეს ვერსალელებმა 26 მაისს. მე თუმცა ვხელმძღვანელობდი ბარიკადის დაცვას, მაგრამ ამავე დროს არ ვივიწყებდი, რომ მე ვარ კომუნის გენერალური შტაბის კაპიტანი. ამიტომ გადავსწყვიტე დროებით დამეტოვებია ბარიკადა და გამეგო, თუ რა ხდება ფლანგებზე. როდესაც მცირე ხნის შემდეგ დავბრუნდი, გავიგე, რომ ჩემი ლეგიონის ერთ-ერთი კაპიტანი მოუკლავს მეზობელ სახლში ჩასაფრებულ ვიღაც ჯარისკაცს. ერთ-ერთი ვოლონტიორი, რომელიც ჩვენ შეგვიერთდა, დაჭრილი დაეცა მეზობელ ბარიკადაზე. მე ერთ შეიარაღებულ მოქალაქესთან ერთად გავემართე მის გამოსაყვანად. ვერსალელებმა წვიმასავით დაგვაყარეს ტყვიები, მაგრამ ჩვენ მაინც შევსძელით დაჭრილის გამოყვანა.

დაღამდა. გათენებისას ჩამოუარე ბარიკადებს, მინდოდა გამეგო, თუ სად არიან დაბანაკებული ვერსალელები. ეს ადვილად შევძელი, რადგან ერთბაშად ასტყდა საშინელი სროლა, რომელმაც კინაღამ გვიმსხვერპლა მე და ჩემი ცხენი.

კომუნამ დასტოვა ქალაქის გამგეობის დამწვარი შენობა და თავი შეაფარა მეთერთმეტე ოლქის ქალაქის საბჭოს შენობას. ავდივარ მეორე სართულზე, ვხვდები კომუნის ორ წევრს. ამ დროს გამოჩნდენ ნაციონალური გვარდიის ჯარისკაცები, რომლებიც მოითხოვდენ შენობის კომენდანტს. ვუპასუხებ: „მე გახლავართ“. ჩამოვედით სარაიის ქუჩაზე, მივედით ვოლტერის ბაღამდე.

ეს იყო კომუნის უკანასკნელი დღე.

თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელზე იაპონიაში

ტოკიო, 17 მარტი. იაპონიის დეპეშათა სააგენტო სიმბუნ-რენგო იუწყება, რომ უცნობმა ბოროტმოქმედმა ტყვიით სერიოზულად დასჭრა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იაპონიაში — **პავლე ანიკიევი**. თავდასხმა მოხდა 15 მარტს, დილის 9 საათზე. ბოროტმოქმედი მივარდა ამხ. ანიკიევის ავტომობილთან და, როცა ამხ. ანიკიევი, რომელიც სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მიემგზავრებოდა, თავის სახლს 10 ნაბიჯით გასცილდა, ხუთჯერ ესროლა მას. სამი ტყვია მოხვდა ამხ. ანიკიევს: ერთი — მარჯვენა ხელში, მეორე — მკერდში და განვლო ფერდებს შუა, ხოლო მესამე — თეძოს ძვალში.

სავადმყოფოდან მიღებული ცნობების თანახმად, ამხ. ანიკიევი სრულ გრძნობაზეა. სისხლის დენა შეჩერებულ იქნა. ოპერაცია თეძოს ძვლიდან და მკერდიდან ტყვიების ამოსაღებად გაკეთებული იქნება შემდეგ, როცა დაჭრილის საერთო მდგომარეობა რამოდენიმედ გაუმჯობესდება. ექიმის განცხადებით, ამხ. ანიკიევს საფრთხე არ მოელის.

თავდამსხმელი დაპატიმრებულია. მისი გვარია **ნობუკატოუ სატო** — 35 წლის, საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა 18 თვის წინად. ნობუკატოუ ერთ დროს იყო იაპონიის ხე-ტყის მრეწველობის ფირმის — „ხე-ტყის მრეწველობის კონტინენტალური კომპანიის“ ვლადივოსტოკის განყოფილების გამგედ. 1924 წ. ის იყო იაპონიის ხე-ტყის მრეწველობის მეორე ფირმის — „ხიტაკსაკის ხე-ტყის მრეწველობის კომპანიის“ წარმომადგენლად. ნობუკატოუმ იმგზავრა კამჩატკაში, ის იყო ხაბაროვსკში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა ხე-ტყის კონცესიის მიღების შესახებ. მაგრამ ეს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

იაპონიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ნობუკატოუ გამოტყდა, რომ მან ამხ. ანიკიევის მოკვლა იმიტომ განიზრახა, რომ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა თავის საქმიან მოლაპარაკების უშედეგობის გამო, კერძოდ თევზის სარეწაოების საკითხში.

იაპონიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი **ნაგაი** ეწვია საბჭოთა საელჩოს და მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით, გამოსთქვა ღრმა მწუხარება (ადს).

„იზვესტია“ ამხ. ანიკიევის მოკვლის განზრახვის შესახებ

მოსკოვი, 17 მარტი. „იზვესტია“ ეხება ამხ. ანიკეევის მოკვლის განზრახვას და სწერს:

„სულ რამდენიმე დღეა ჩვენი შორეული აღმოსავლეთის მხარის წარმომადგენლები ატყობინებდნენ საბჭოების ყრილობას იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მოელის ჩვენს კეთილმეზობლურ ურთიერთობას იაპონიასთან მრეწველთა მტაცებლური ჯგუფების მხრივ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მეთევზეობის მსხვილ ფირმებთან და ყოველი ღონით და საშუალებით ცდილობენ ამ ურთიერთობის ჩაშლას.

ამხ. ანიკიევის მოკვლის განზრახვა, რომელიც მზადდებოდა ხანგრძლივი ანტისაბჭოთა კამპანიით პარლამენტში, პრესაში და თევზის მრეწველთა მიერ და მათი ფულით შექმნილი ორგანიზაციების რეზოლიუციებში, იმის საუკეთესო დამამტკიცებელია, რომ საქმე გვაქვს ფართოდ მოფიქრებულ შეთქმულებასთან, რომლის მიზანსაც შეადგენს ურთიერთობის გამწვავება საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის. ამ ჯგუფებმა გადასწყვიტეს—დაადგნენ საბჭოთა წარმომადგენლების მკვლელობის ისეთსავე გზას, როგორიც უკვე სცადეს ვარშავასა და ჟენევაში.

უფრო და უფრო გაძლიერებული ანტისაბჭოთა პროვოკაციული გამოსვლების მიზანს შეადგენს მეთევზეობის კონვენციის ჩაშლა და დაბრუნება თევზის „თავისუფალი ჭერისაკენ“, ე. ი. მტაცებლური და უკონტროლო მეურნეობისაკენ ჩვენს წყლებში, რასაც ადგილი ჰქონდა ინტერვენციის დროს და რის საბოლოო ლიკვიდაციაც მოახდინა ამ კონვენციამ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ თავაშვებულ და ცილისწამებით აღსავსე კამპანიას და ანტისაბჭოთა გამოსვლებს წელს, სამწუხაროდ, სათანადო წინააღმდეგობა არ გაუწია იაპონიის მთავრობამ.

მოკვლის განზრახვა ამრიგად, ეტყობა წარმოადგენს ამ კამპანიის პირდაპირ შედეგს და გაგრძელებას, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც შეგვიძლია დავასკვნათ იაპონიის ოფიციოზური სააგენტოს სიმბუნ რენგოს პირველი დეპეშებიდან, დამნაშავემ ერთბაშად განაცხადა, რომ ანიკიევის მოკვლის განზრახვის მოტივს წარმოადგენს უკმაყოფილება საბჭოთა მთავრობის პოზიციით მეთევზეობის საკითხში.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები და არ ვფიქრობთ წინასწარ განვსაჯოთ გამოძიების შედეგები, იმ გამოძიების, რომელიც მთელი ჩვენი საზოგადოებრივობის უდიდეს ყურადღებას მიიპყრობს.

ვიმედოვნებთ, რომ გამოაშკარავებული და პასუხისგებაში მიცემული იქნებიან, დაჭერილი მკვლელის გარდა, მისი პირდაპირი თანამგრძნობნიც, აგრეთვე ისინი, ვინც ამ თავდასხმას ამზადებდა და სულს უდგამდა, და რომ, ბოლოს, მიღებული იქნება ზომები იმ სამარცხვინო კამპანიის მოსასპობად, რომელსაც შედეგად მოჰყვა ასეთი გაუგონარი ბოროტმოქმედება, აშკარად მიმართული საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის არსებული მეგობრული ურთიერთობის ჩაშლისაკენ“ (ადს).

იაპონიის ელჩის თანაგრძნობა

სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. ანიკიევის მოკვლის განზრახვის გამო

მოსკოვი, 17 მარტი. იაპონიის ელჩი ჰიროტა სავაჭრო წარმომადგენლის ამხ. ანიკიევის მოკვლის განზრახვის ამბის მიღებისთანავე გამოცხადდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილესთან ამხ. კარახანთან და გამოუცხადა მას თავისი სახელით თანაგრძნობა, შემდეგ განაცხადა, რომ მას ჯერ არ მიუღია თავის მთავრობისაგან ოფიციალური ინფორმაცია და ინსტრუქციები.

თურქეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება

მოსკოვი, 17 მარტი. საბჭოთა კავშირისა და თურქეთს შორის 15 მარტს დადებული ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ სცვლის თურქეთ-საბჭოთა იმ სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც 1927 წლის 1-ლ მარტს დაიდო და რომლის მოქმედებაც შესწყდა 1930 წლის 19 ოქტომბერს.

ახალი სავაჭრო ხელშეკრულება აწესრიგებს ხელშეკრულების ერთ-ერთ დამდები მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე მოქალაქეების გადასახლების საკითხებს, იურიდიულ პირთა რეჟიმს, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის რეჟიმს თურქეთში, მხარეთა ტერიტორიაზე საქონლის შემოტანას და გატანას, ტრანზიტის საკითხებს, აგრეთვე ნაოსნობის საკითხებს. თავის ძირითად საკითხებში ხელშეკრულება აგებულია უპირატესობის მინიჭების პრინციპზე.

მხარეებმა იკისრეს ვალდებულება — არ გამოიყენონ ვაჭრობაში არავითარი შეზღუდვა და აკრძალვა, თუ ეს ზომები არ იქნება გამოყენებული ყველა დანარჩენი ქვეყნების მიმართ.

საბჭოთა კავშირმა ახალ ხელშეკრულებაში დაადასტურა 1927 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება თურქეთიდან მომავალი საქონლის ტრანსპორტიისა ბათომზე და, გარდა ამისა, თურქეთს მიანიჭა უფლება იმ საქონლის ტრანზიტისა, რომელიც მოდის თურქეთის დასავლეთ ვილაიეტებიდან მის აღმოსავლეთ ვილაიეტებში და რომელიც საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დამდებ უცხო სახელმწიფოთა წარმოშვებისაა.

ხელშეკრულება შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ დადგენილებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ნაოსნობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის.

ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით და იგი ავტომატიურად გაგრძელდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს დენონსაციას ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ. დენონსაციის შემთხვევაში ხელშეკრულება იმოქმედებს 6 თვის განმავლობაში დენონსაციის დღიდან.

უნდა მოხდეს ხელშეკრულების რატიფიკაცია და რატიფიკაციების გაცვლა ანკარაში.

ახალი ხელშეკრულება ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებისა და გაფართოვებისათვის საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის. ვაჭრობის რეჟიმი ამ ორ ქვეყანას შორის იმგვარად მოეწყობა, რომ მთელი ვაჭრობა იწარმოებს თურქეთის ტერიტორიაზე საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებთან. ახალი ხელშეკრულების მეოხებით, მხარეებს საშუალება ექნებათ გაადიდონ საქონლის ბრუნვა, როგორც თურქეთში საბჭოთა საქონლის ექსპორტის დარგში, ისე თურქეთის საქონლის შესყიდვის დარგში.

ხელშეკრულება წარმოადგენს თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის შემდგომ გაძლიერებას და საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის არსებულ სხვა მომქმედ ხელშეკრულებებთან ერთად, მტკიცე საფუძველს ჰქმნის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებისათვის ორივე მხარეს შორის (ადს).

თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა იზრდება და მტკიცდება

მოსკოვი, 17 მარტი. 16 მარტს, თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრობისა და ძმობის შესახებ დადებული ხელშეკრულების 10 წლის თავზე, ამხ. ლიტვინოვმა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ტევფიკ რუშდი ბეიმ** გაუგზავნეს ერთმანეთს მისასალმებელი დეპეშები. ამხ. ლიტვინოვმა თავის დეპეშაში აღნიშნა, თურქეთ - საბჭოთა კავშირის მეგობრობის თანდათანობითი განმტკიცება, რომელიც წარმოიშვა განსაცდელის დღეებში, როცა ორივე ერი გმირულად იბრძოდა შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ. ამ მეგობრობამ თავის გამოხატულება ჰპოვა 1925 წლის პარიზის პაქტში და 1929 წლის ანგორის ოქმში, რომელნიც ორი ერის თანამშრომლობის ბრწყინვალე მიღწევას წარმოადგენენ. ამხ. ლიტვინოვმა მოიხსენია ისიც, რომ თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ათი წლის თავი აღინიშნა საზღვაო ოქმის ხელმოწერით. ეს ოქმი იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთია, რომ ორი მეზობელი მეგობრული ქვეყანა ნდობით ეპყრობა ურთიერთს. იგი ახალი მიღწევაა მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საქმეში.

ტევფიკ რუშდი ბეიმ თავის მისასალმებელ დეპეშაში ხაზგასმით აღნიშნა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მეგობრობის სიმტკიცე, რასაც დიდი ნაყოფიერი შედეგი მოჰყვა ორივე ქვეყნისათვის. ტევფიკ რუშდი ბეი აღნიშნავს თავის უცვლელ მეგობრობას საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებას, რაც უზრუნველყოფილია საბჭოთა მთავრობის ნაყოფიერი მოქმედებით. ამავე დროს იგი თურქეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობას უსურვებს შემდგომ განვითარებას და განმტკიცებას.

თურქეთის სრულუფლებიანი ელჩის მიღება ამხ. კალინინის მიერ

მოსკოვი, 17 მარტი. თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ათი წლისთავთან დაკავშირებით, ამხ. კალინინმა მიიღო სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ჰუსეინ რაგიბ-ბეი. (ადს).

დარბაზობა თურქეთის საელჩოში

მოსკოვი, 17 მარტი. თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულებაზე მოსკოვში ხელის მოწერის ათი წლისთავის შესრულების გამო, თურქეთის საელჩოში გაიმართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ ამხ. ლიტვინოვი, კრესტინსკი, კარახანი, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი თურქეთში ამხ. ხოდოროვსკი, საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს წევრები ამხ. მუკლევიჩი, ბუდიონი, ბარანოვი და სხვ. (ადს).

საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა

მოსკოვი, 17 მარტი. 15 მარტს მოსკოვში თურქეთ-საბჭოთა მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ათის წლისთავის დღეს მოსკოვში ხელი მოაწერეს თურქეთ-საბჭოთა ხელშეკრულებას ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მხრით ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კარახანმა, თურქეთის მხრით—თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა საბჭოთა კავშირში ჰუსეინ რაგიბ-ბეიმ. (ადს).

ზომების შესახებ 1931 წლის მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად

(საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის 1931 წლის 9 მარტის დადგენილება)

I

1. ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანები მოითხოვენ საამშენებლო სამუშაოთა მაქსიმალური ტემპების განვითარებას, რათა დაბანდებულ კაპიტალის რაც შეიძლება მეტი ეფექტი იქნეს მიღწეული.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში წმინდა მშენებლობა, რომელიც 1931 წელს უდიდეს თანხას—426 მილიონ მანეთს აღწევს, 1930 წელთან შედარებით 52 პროც. გაიზარდა და 72 პროც. სჭარბობს ხუთწლედის მიხედვით მესამე წლისათვის გათვალისწინებულ გეგმებს.

2. მიმდინარე წლის კაპიტალური მშენებლობის რთული ამოცანები მოითხოვენ ვიწრო ადგილების გადაჭრით დაძლევას ყველა საამშენებლო პროცესების ორგანიზაციის და სამუშაოთა საამშენებლო მასალით, კვალიფიციური მუშა-ხელით და ადმინისტრატიულ ტეხნიკურ პერსონალით უზრუნველყოფის მხრით.

3. ა.-კ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, მთელ რიგ მიღწევებს ახალი ობიექტების პროექტების შედგენის, წარმოების მექანიზაციის განვითარების, საამშენებლო მასალის პროდუქციის გადიდების, ახალი მასალის და რაციონალურ კონსტრუქციების გავრცელების დარგში. ამასთან ა.-კ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს მთელ რიგ სერიოზულ დეფექტებს კაპიტალურ მშენებლობის მდგომარეობაში გასულ სამეურნეო წელს;

ა) მშენებლობის გეგმის არა მთლიანათ შესრულება, განსაკუთრებით მსხვილი სამრეწველო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის დარგში;

ბ) ჩამორჩენა იმ ცალკე წამოწყებათა საწარმოო პროგრამებში, რომლებიც ამზადებენ საამშენებლო მასალას, განსაკუთრებით ცემენტის და ხე-ტყის მასალის წარმოების დარგში;

გ) პროექტების შინაურული წესით შემდგენელ წვრილი ორგანიზაციების არსებობა, სპეციალისტების ძალების დაქსაქსვა, პროექტების შედგენის დაგვიანება, ტიპიური პროექტების არა საკმაოდ გამოყენება, საამშენებლო ორგანიზაციების არა თანაბრად დატვირთვა, მისწრაფება მთელ რიგ ორგანოების მხრით—განაგრძონ სამეურნეო მუშაობის არამიზანშეწონილი პრაქტიკა, მოუწესრიგებლობა საამშენებლო მასალის მომარაგებაში, ზედმეტი მარაგის დაგროვება ზოგიერთ მშენებლობაში, დეფიციტიური მასალის არა მიზანშეწონილი ხარჯვა, არსებული ფონდების არა მოხერხებულათ გამოყენება, კვალიფიციური მუშა-ხელის არა საკმაოთ მომზადება ხარისხისა და რაოდენობის მხრივ, დავალებათა შეუსრულებლობა, მშენებლობის ღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების და სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლების დარგში.

II.

არსებულ დეფექტების აღმოფხვრის და ისეთი პირობების შექმნის მიზნით, რომლებიც უზრუნველჰყოფენ 1931 წლის გეგმის რეალიზაციას, ა.-კ. საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. საამშენებლო მუშაობა სწარმოებდეს განუწყვეტლივ მთელი წლის განმავლობაში და წინადადება მიეცეს მშენებელ ორგანიზაციებს შემოიღონ მნიშვნელოვან მშენებლობებში ორცვლიანი მუშაობა.

2. მშენებელმა ორგანიზაციებმა და უწყებებმა ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ 15 დღის ვადაში დაამთავრონ კაპიტალური მშენებლობის ობიექტების სახელწოდებათა სიების შედგენა. ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ თვალყური ადევნოს თავის დროზე შესრულებას.

3. ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ორი დეკადის ვადაში ჩაატაროს პროექტების შედგენა და საამშენებლო ორგანიზაციების სასტიკი სპეციალიზაცია და აიღოს კურსი მათ განმტკიცებაზე და წვრილ საუწყებო უჯრედების ლიკვიდაციაზე.

4. საამშენებლო სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციის უზრუნველსაყოფად იმ საამშენებლო ორგანიზაციების ხაზით, რომლებიც იმყოფებიან ს. მ. უ. ს., ა.-კ. სახკომსაბჭოს და ა.-კ. ს. მ. უ. ს. გამგებლობაში, დაეკისროს „ამიერ-კავკ. მშენგაერთიანებას“, ოპერატიული ფუნქციები, ყველა იმ მშენებელ და პროექტების შემდგენელ კანტორების მიმართ, რომლებიც რესპუბლიკების ს. მ. უ. საბჭოებს ექვემდებარებიან და გარდაიქმნან ისინი „ამიერ-კავკ. მშენგაერთიანების“ ფილიალებათ, ამასთან წინადადება მიეცეს იმ უწყებებს და მშენებლობებს, რომელთაც თავიანთ განკარგულებაში საამშენებლო მანქანები აქვთ, მიიღონ ყოველგვარი ზომები მექანიზაციის გაძლიერებისა და რაც შეიძლება უფრო სრულათ განვითარებისათვის და შემოიღონ ყველა არსებულ მექანიზმების მუშაობის აღრიცხვა.

5. ა.-კ. ს. მ. უ. საბჭომ არა უგვიანეს 15 მარტისა დაამთავროს იმ საამშენებლო ორგანიზაციების დატვირთვის გეგმის შედგენა, რომლებიც ს. მ. უ. ს. გამგებლობაში იმყოფებიან.

6. დაწესდეს სისტემატიური აღრიცხვა და საკონიუნქტურო მიმოხილვების შედგენა ამიერ-კავკასიის და რესპუბლიკების ყველა უწყებების მშენებლობის დარგში და ნაკრები მიმოხილვების შედგენა დაევალოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

7. ყველა იმ დაწესებულებებმა (სახალხო კომისარიატებმა, სამეურნეო გაერთიანებებმა, ტრესტებმა და სხვა), რომლებმაც დასდვეს ხელშეკრულებები საამშენებლო ორგანიზაციებთან საამშენებლო სამუშაოების წარმოების შესახებ, გამოჰყონ პერსონალურათ პასუხისმგებელი პირები 1931 წლის მშენებლობის გეგმის შესრულებისათვის.

8. ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა საამშენებლო ორგანიზაციებთან და მშენებელ მუშების პროფკავშირთან ერთად წარუდგინოს არა უგვიანეს 25 მარტისა სახკომსაბჭოს 1931 წლის განმავლობაში 18.000 კვალიფიციური მუშის მომზადების გეგმა.

9. მშენებლობაში მუშა-ხელის ცვალებადობასთან ბრძოლის მიზნით, „ა.-კ. კავშირმა“ უზრუნველჰყოს ყველა მსხვილ საამშენებლო ობიექტების მუშათა რეგულიარული მომარაგება, თანახმად მომარაგების დამტკიცებული გეგმებისა.

10. საშენი მასალით მშენებლობის უზრუნველყოფის დარგში:

ა) ა.-კ. ს. მ. უ. საბჭომ ერთი დეკადის ვადაში დააზუსტოს საშენი მასალის დამზადების 1931 წლის საწარმოო პროგრამა; ამავე ვადაში შეამოწმოს კრედიტების გამოყენება საშენი მასალის მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში;

ბ) „ა.-კ. საამშენებლო მასალამ“ მაქსიმალურად გამოიყენოს არსებულ საწარმოთა მოწყობილობა აგურის, კირის, გაჯის, კრამიტის ქარხნების და ქვის სატეხის პროდუქციის გასადიდებლად და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს არტიკ-ტუფს, ანი-პემზას, ბაქოს ნიჟარას და კახეთის სახურავ ფიქალს.

გ) აღინიშნოს დაბანდებათა დიდი ზრდა სარეწაო კოოპერაციაში, სარეწაო კოოპერაციის ა.-კ. საბჭომ ყოველნაირად შეამციროს ახალი ობიექტების კაპიტალური მშენებლობის ვადები და განავითაროს შინამრეწველობის წამოწყებათა წარმოება აგურის, გაჯის, კირის, სილის, ხრეშის, კრამიტის და ქვის დარგში და მიიღოს ყოველგვარი ზომები ახალი მშენებლობისათვის გაღებულ სახსრების მთლიანათ და მიზანშეწონილათ გამოყენების მიზნით.

11. მშენებელმა სამეურნეო ორგანიზაციებმა ფართოდ გამოიყენონ საამშენებლო მასალის საკუთრად დამზადების მეთოდი და ერთი დეკადის ვადაში გამოარკვიონ ადგილობრივი საამშენებლო მასალის გამოყენების შესაძლებლობა. დაეკისროს ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას ნაკრებ გეგმების შედგენა 1931 წლისათვის მშენებელ ორგანიზაციების საკუთარი დამზადების ხაზით.

12. ს. მ. უ. საბჭომ, მომარაგების სახალხო კომისარიატმა და მიწსახკომმა ფართოდ გამოიყენონ ლითონის, ხე-ტყის და ცემენტის შემცვლელი ახალი საამშენებლო მასალა—ნარჩენები (პემზას და ტუფის ნარჩენი) და ნაყარი (ბურბუშელა, ნახერხი და სხვა) და აღნიშნულ მასალის გამოყენებაში დაეყრდნონ სამეცნიერო-საგამომკვლევო ინსტიტუტების გამოცდილებას და მიღწევებს.

13. ა.-კ. მომარაგების სახალხო კომისარიატმა უზრუნველჰყოს ვალდებულებათა („სტალი“-ს, „ლესპრომი“-ს, „სოიუზსტროიმატერიალ“-ის და სხვათა ვალდებულებების) შესრულება ა.-კავკასიისათვის გამოყოფილ ფონდების თავის დროზე შემოტანის საქმეში.

14. გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა და ა.-კ. რკინის გზების დირექციამ უზრუნველჰყონ მოძრავი შემადგენლობის მიწოდების გაძლიერება საამშენებლო მასალის გადასაზიდათ, განსაკუთრებით არტიკსა და ანში, ტუფისა და პემზის გამოსატანად.

15. საამშენებლო ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებით ძალზე სუსტად უზრუნველყოფის გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ საგეგმო დავალებების შესრულება მშენებლობის დარგში საგრძნობლათ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი მშენებლობა ტრანსპორტით,—ა.-კ. სახკომსაბჭომ არა უგვიანეს 1-ლ აპრილისა სპეციალურად განიხილოს ეს საკითხი და მიიღოს ზომები საამშენებლო ორგანიზაციების უზრუნველსაყოფათ სატრანსპორტო საშუალებებით.

16. საამშენებლო ორგანიზაციებმა დაიცვან სასტიკი მომჭირნეობა დეფიციტიურ საამშენებლო მასალის ხარჯვაში, განსაკუთრებით, ლითონის, ცემენტის და ხე-ტყის მასალის ხარჯვაში. ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა მეთვალყურეობა გაუწიონ ამას და სამართალში მისცენ დამნაშავენი ხარჯვის არსებულ წესების დარღვევაში.

17. მშენებლობის რეკონსტრუქციის უზრუნველყოფის და მშენებლობის მექანიზაციის გაძლიერების მიზნით:

ა) უწყებებმა და საამშენებლო ორგანიზაციებმა 1931 წელს ფართოთ ჩაატარონ საცდელი მშენებლობა და დააწესონ დაჯილდოება მიღწევებისა და მომჭირნეობისათვის ახალი საამშენებლო მასალის და რაციონალურ გაადვილებულ კონსტრუქციების შემოღების გზით;

ბ) ვინაიდან დიდი მნიშვნელობა აქვს ბეტონის შემადგენლობის სწორ შერჩევას, ყველა მსხვილმა მშენებლობებმა სასწრაფოთ მოაწყონ საუწყებო ბეტონის მოძრავი ლაბორატორიები და დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას თვალყური ადევნოს შესრულებას.

გ) განმტკიცდეს სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობა მშენებლობის დარგში და განვითარდეს ა.-კ. ნაგებობათა ინსტიტუტის, საამშენებლო მასალის ინსტიტუტის, რესპუბლიკების სამეცნიერო-საგამომკვლევო სადგურების და საამშენებლო ორგანიზაციებთან არსებულ სარაციონალიზაციო უჯრედების მუშაობა.

18. საამშენებლო მრეწველობის კადრების მწვავე ნაკლებობის გამო, ა.-კ. საოლქო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების კადრების განყოფილებებმა გააძლიერონ შესაფერი მუშაკებით საამშენებლო ორგანიზაციები.

19. ნაცკომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, ოლქკომებმა და რაიკომებმა მოისმინონ მარტის განმავლობაში ძირითად სამეურნეო ორგანიზაციების მოხსენებები მშენებლობის გაშლისათვის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

20. პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა გაშალონ ფართო მასიური მუშაობა და დარაზმონ მუშათა მასების ყურადღება კაპიტალური მშენებლობის საკითხების ირგვლივ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის შემდგომი გაშლის საფუძველზე საამშენებლო წარმოებაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საკონტროლო ციფრის შესრულებას შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. (ადს).

დაუყოვნებლივ შევასრულოთ თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმა

კოლმეურნეების, ღარიბ-საშუალო გლეხების და მოჯამაგირეების მჭიდროთ დარაზმვით, შემხვედრი გეგმების წამოყენებით, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით, კულაკების მავნებლური ცდების და ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობის ძირშივე აღკვეთით უზრუნველვყოთ თამბაქოს თესვის გეგმის მთლიანად შესრულება.

მეთამბაქოობა აჭარისტანში

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის მიხედვით, 1931 წელს აჭარისტანში უნდა გაშენებულიყო თამბაქოს პლანტაციები 800 ჰექტარზე. ეს გეგმა დამუშავდა ადგილებზე. **რაიონებმა წამოაყენეს თავისი შემხვედრი გეგმა**, რომელიც ითვალისწინებს თამბაქოს გაშენებას 950 ჰექტარზე. აქედან აჭარისტანის კოლექტივებმა უნდა გააშენონ 460 ჰექტარი.

ამჟამად მთავარი ყურადღება ექცევა თამბაქოს პლანტაციების დაკონტრაქტებას, მაგრამ კონტრაქტაცია ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს. 10 მარტისათვის დაკონტრაქტებული იყო კოლექტივებში მხოლოდ 123 ჰექტარი.

მწვავედ სდგას ამასთანავე თამბაქოს ნერგის საკითხი. **არც ერთი რაიონი არ არის უზრუნველყოფილი ნერგით.** აჭარისტანის კოლმეურნეობათა კავშირს წინადადება მიეცა სასწრაფოდ მიიღოს ზომები კოლექტიური სანერგეების მოსაწყობად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს თამბაქოს პლანტაციები ნერგების საჭირო რაოდენობით.

კატასტროფიულ მდგომარეობაშია თამბაქოს ფოთლის საშრობების აგება. უნდა ითქვას, რომ თუ კოლექტივებმა ეხლავე არ მოათავეს საშრობების აგება. საფრთხეში ჩავარდება თამბაქოს მოსავალი: საჭიროა, რომ ბათომის მუშათა კოოპერატივმა და კოლმეურნეობათა კავშირმა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ აჭარისტანის მეთამბაქოეთა კოლექტივებმა დროზე მიიღონ საჭირო ლურსმანი.

ე. ხუციშვილი.

კულაკობა ცდილობს გეგმის ჩაშლას

(აფხაზეთი)

აფხაზეთი განთქმულია საუცხოვო ხარისხის თამბაქოს მოშენებით, სამისო ნიადაგიც აქ საუკეთესოა. წელს გეგმით კონტრაქტაცია უნდა ჩატარებულიყო 18700 ჰექტარ თამბაქოზე, მაგრამ გეგმა ვერ შესრულდა ჯერჯერობით. ათ მარტამდე დაკონტრაქტებულია მხოლოდ 14251 ჰექტარი.

უნდა აღინიშნოს ერთი ჩამორჩენა, რასაც ეხლავე უნდა, მიექცეს ყურადღება, ეს არის კულაკობაზე მტკიცე დავალებათა შესრულება. აფხაზეთში კულაკობას მტკიცე დავალება თამბაქოზე აქვს 2213 ჰექტარი., კულაკობა ცდილობს ეს დავალება არ შესრულდეს. ეწევიან აგიტაციას გლეხობაში კონტრაქტაციის წინააღმდეგ და სხვ.

ცხადია, მათ ასეთ ცდების ანკესზე არავინ ეგება, მაგრამ მაინც საჭიროა მეტი სიფხიზლე და მკაცრი ზომების მიღება კულაკებისა და მათი აგენტურის წინააღმდეგ, რომლებიც ლამობენ თამბაქოს თესვის საგაზაფხულო გეგმის ჩაშლას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ თამბაქოს საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში სოცშეჯიბრება და დამკვრელობა არ არის სათანადოთ განვითარებული და ყველგან არ სწარმოებს დამკვრელობის აღრიცხვა და სხვ.

თამბაქოს დამზადებაც სუსტად სწარმოებს; დღემდე დამზადებულია მხოლოდ **გეგმის 55 პროცენტი.**

საჭიროა მეტი ბოლშევიკური ენერგია თამბაქოს დამზადების გეგმის დაუყოვნებლივ შესრულებისათვის.

აფხაზელი.

ახალციხე სამარცხვინოთ ჩამორჩა

(წერილი ახალციხიდან)

თამბაქოს დამზადება ახალციხეში მიმდინარეობს კუს ნაბიჯით. გეგმით უნდა დაგვემზადებია 39,5 ტონა თამბაქო. დამზადებულია მხოლოდ გეგმის 19 პროცენტი.

რა უშლის ხელს გეგმის შესრულებას? ის, რომ სუსტია ხელმძღვანელობა. მეთამბაქოე გლეხობაში და კოლმეურნეებში არ ჩატარებულა ახსნა-განმარტება თავის დროზე და ამავე დროს კოოპერაციამ სამრეწველო საქონლის მიწოდებით ხელი ვერ შეუწყო დამზადებას ადგილებზე.

თუ ასე გაგრძელდა, ახალციხეში გეგმა ვერ შესრულდება, ამიტომ საჭიროა ეხლავე ზომების მიღება და თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობის ძირშივე აღკვეთა.

თ—ძოვი.

თამბაქოს ნათესების კონტრაქტაცია 10 მარტისათვის

რაიონები	კოლმეურნეობებში გეგმა	დაკონტრაქტებულია 10 მარტამდის	გეგმის შესრულება %%-ში	[illegible] მტკიცე დავალება	ს უ ლ გეგმა	დაკონტრაქტებულია 10 მარტამდის	გეგმის შესრულება %%-ში
აფხაზეთი	6700	2249	33,6	2213	18700	14251	76,3
ახალციხის	6	0,5	8,3	—	100	100	100
ტოლოშის	20	28	140	—	200	153,5	76,8
სიღნაღის	200	273	134	—	750	610	81,5
ყვარელის	80	84	105	—	200	190	95
ლაგოდეხის	974	1249	128,2	60	2170	1818	83,8
ზუგდიდის	200	301	150,5	—	450	457	101,5
ხობის	45	15	33,5	—	90	15	16,7
წალენჯიხის	350	298	85,2	—	600	298	49,7
ჩხოროწყუს	175	65	371	—	350	155	44,3
ჩოხატაურის	600	575	95,8	—	700	707	101
ბათომის	60	62	103,3	—	140	169	140,3
ქედის	200	90	45	—	350	280	80
ხულოს	200	144	72	—	250	256	106,4
ს უ ლ	9810	5433,5	55,4	2273	25050	19459,5	77,7

ზუგდიდის თამბაქოს საბჭოთა მეურნეობა

ზუგდიდის რაიონში, რამდენიმე ვერსით დაშორებით ქ. ზუგდიდზე, სადაც მხოლოდ ჭაობიანი უსარგებლო მიდამო იყო, ახლა თამბაქოს საბჭოთა მეურნეობაა გაჭიმული.

ზუგდიდის თამბაქოს საბჭოთა მეურნეობა მოეწყო 1930 წ. ნოემბერში და განსაკუთრებულ კვარტალში დამუშავდა 30 ჰექტარი მიწა თამბაქოსათვის.

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმაში საბჭოთა მეურნეობას გათვალისწინებული აქვს 450 ჰექტარ თამბაქოს მოშენება და მეზობელ მშრომელ მეთამბაქოე გლეხებზე დახმარების გაწევა როგორც საწარმოო საშუალებებით, ისე მუშა-ხელითაც კი.

ზუგდიდის თამბაქოს საბჭოთა მეურნეობას მანქანა-იარაღები საკმაო რაოდენობით აქვს შეძენილი, გარდა გადასარგავ იარაღებისა. მეურნეობის დირექტორის ამხ. პ. ბიგვავას ენერგიული მუშაობით შეძენილი იქნა 10 ვაგონი ხე-ტყე მეურნეობის მშენებლობისათვის, როგორიცაა მუშათა საცხოვრებელი ბინები, მუშათა კლუბი, სასადილო, თეატრი, სამკითხველო და საშრობი ფარდულები და სხვ მუშაობა უკვე დაწყებულია და ნაწილი მშენებლობისა დამთავრდება ამ დღეებში.

მეურნეობა განიცდის მუშა-ხელის ნაკლებობას. მეურნეობას სჭირდება ათასამდე მუშა. ამჟამად კი ჰყავს 500 მუშა.

როგორია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა? უნდა ითქვას, რომ ამაზე ჯერ იქ არავის უფიქრია, რადგან მუშათა კომიტეტის მუშაობა და კავშირის რაიკომის ხელმძღვანელობა ძალზე სუსტია. ახობით მუშები მუშაობენ, მაგრამ ენტუზიაზმი დიდია გეგმების შესრულების საქმეში. მაგრამ კავშირმა ვერ შესძლო მას სათავეში ჩასდგომოდა.

არც მუშათა მომარაგების საქმეა მოგვარებული. კოოპერაცია სხვათაშორის უყურებს ამ საბჭოთა მეურნეობას და ვერ ითვალისწინებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის თამბაქოს მოშენებას.

ზუგდიდი მეთამბაქოობის რაიონია, გლეხობა სიხარულით ჰკიდებს მას ხელს. მხოლოდ საჭიროა ხელმძღვანელობა, რაც უპირველეს ყოვლისა, უნდა შესძლოს ზუგდიდის თამბაქოს საბჭოთა მეურნეობამ.

ვაშლელი.

საკავშირო საბჭოთა მე-VI ყრილობა

ჩვენი ქვეყანა ხდება ყველაზე მსხვილ, ყველაზე მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად მსოფლიოში

საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარის ამხ. იაკოვლევის მოხსენება საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ

ამხანაგებო! საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად შედეგებს ყველა კარგად იცნობს. ეს შედეგები დაწვრილებით ჩამოყალიბებულია თეზისებში. ძირითადი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი, შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ 9 მილიონზე მეტი გლეხური მეურნეობა საკუთარ გამოცდილებაზე დარწმუნდა კოლმეურნეობის უპირატესობაში. დაახლოებით 30 მილიონმა გლეხმა შეამოწმა საკოლმეურნეო გზის ხელსაყრელობა, შეამოწმა არა წიგნების მიხედვით, არა თეორეტიული მსჯელობის მიხედვით, —საკოლმეურნეო გზის ხელსაყრელობა, მათ შეამოწმეს საკუთარ გამოცდილებაზე და დარწმუნდნენ მის სისწორეში.

ამხ. ლენინს და სტალინს მრავალჯერ აღუნიშნავთ, რომ დასაფასებელია და ნამდვილი მონაპოვარია მხოლოდ ის, რაც შემოწმებულია მილიონთა გამოცდილებაზე, ის, რასაც მილიონები თავისად სთვლიან.

რასაკვირველია, კომუნისტებმა წინადაც იცოდნენ, რომ მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე წვრილი ინდივიდუალური, ამის შესახებ შეგვიძლია ასობით მოვიყვანოთ ლენინის განცხადებები, მაგრამ ერთი საქმეა, როცა ეს იცოდნენ და ამაში დარწმუნებულნი იყვნენ კომუნისტების კადრები და სულ სხვაა, როცა ამაში დარწმუნდნენ თვით გლეხები. და სწორედ ამ თვალსაზრისით, ვიმეორებ მთავარ და ძირითად შედეგს, გადამწყვეტ შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მრავალმა მილიონმა გლეხმა საკუთარ გამოცდილებაზე შეამოწმა საკოლმეურნეო გზა და დარწმუნდა იმაში, რაც წინად ეკონომიკის თეორეტიული შესწავლის საფუძველზე იცოდნენ ათასებმა და ათიათასებმა. კოლმეურნეობების მიღწევები და ის გზა, რომელიც კოლმეურნეობებმა განვლეს უკანასკნელ დროს, შეიძლება გამოიხატოს ხუთი მაჩვენებლით.

პირველი მაჩვენებელი. თუ ავიღებთ ოთხ ასეთ თარიღს: 1928 წელი, 1929 წელი, 1930 წელი და 1931 წლის გაზაფხული და ამ ოთხი თარიღის მიხედვით მოვიყვანთ კოლექტივებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა რიცხვს, მივიღებთ ასეთ ციფრებს: 400 ათასი 1928 წელს, ერთი მილიონი 1929 წელს, 6 მილიონი 1930 წელს და 9 მილიონზე მეტი 1931 წლის მარტის დამლევს. აი, ამხანაგებო, ციფრების პირველი წყება. იგი გვიჩვენებს თუ როგორ იზრდება იმ გლეხთა რიცხვი, რომელნიც რწმუნდებიან საკოლმეურნეო გზის უპირატესობაში.

მეორე მაჩვენებელი. თუ იმავე ოთხი თარიღის მიხედვით (1928 წელი, 1929 წელი, 1930 და 1931 წლის გაზაფხული) მოვიყვანთ კოლმეურნეობების ნათესი ფართობის ციფრებს, მივიღებთ ასეთ სურათს: 2 მილიონი ჰექტარი, 6,5 მილიონი ჰექტარი, 43 მილიონი ჰექტარი და არანაკლებ 65 მილიონი ჰექტარისა მიმდინარე 1931 წლის გეგმის მიხედვით.

მესამე მაჩვენებელი. გლეხების მთელმა მასამ, რომელიც კოლმეურნეობებში გაერთიანდა 1930 წელს, თავისი შემოსავალი გაადიდა სულ ცოტა ერთნახევარჯერ. კოლმეურნეობებმა ამას მიაღწიეს იმით, რომ გამოიყენეს ცხენი ერთნახევარ-ორჯერ უკეთ, ვიდრე ინდივიდუალურმა მეურნეობამ, გამოიყენეს აგრო-ტეხნიკური გაუმჯობესებანი, რომელნიც წვრილ მეურნეობებისათვის მიუწვდომელია დაწყებული სასუქით და გათავებული წმინდა ხარისხობრივი თესლის მთლიან მასივად დათესვით, და ამ საფუძველზე თავიანთი მოსავალი, ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით, 10-15 პროც. გაადიდეს.

მეოთხე მაჩვენებელი. თქვენ შორის იმათ, ვინც დაესწრო საბჭოების მეხუთე ყრილობას, ახსოვთ, რომ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ მაშინ დაასახელა შეჩენკოს სახელობის ერთად-ერთი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, როგორც ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევა. მაშინ მის რუკაზე ბრწყინვალე ვარსკვლავად მოჩანდა ეს სადგური. სამწუხაროდ, ეხლა ჩვენ არ შეგვიძლია გაჩვენოთ ეს სადგურები ასეთივე ელექტრონის გზით, არ შეგვიძლია იმიტომ, რომ ერთ რუკაზე 1.200 სადგურის ჩვენების ყოველგვარი ცდა ამ რუკას გადააქცევს ელექტრონის მთლიან სინათლედ. იმ ერთი სადგურის ნაცვლად, რომელზედაც ლაპარაკი იყო საბჭოების აღნიშნულ ყრილობაზე, 1930 წლის გაზაფხულზე მუშაობდა 159 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, გარდა სამანქანო - სატრაქტორო კოლონების, რომელნიც ორ მილიონ ჰექტარს ამუშავებდნენ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე უკვე მოეწყო 1.200 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლებმაც უკვე დასდევს ხელშეკრულება 17 მილიონ ჰექტარის დათესვის შესახებ. მიმდინარე წლის დამლევს უზრუნველყოფილი იქნება 1.400 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოწყობა.

აი, ამხანაგებო, მეოთხე ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა გზით და რა რაოდენობით ჰქმნის საბჭოთა სახელმწიფო მთლიან ტეხნიკურ ბაზას კოლმეურნეობებისათვის.

მეხუთე მაჩვენებელი. თავისი მასიური განვითარების პირველსავე წელს კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს სამნახევარჯერ მეტი პური, ვიდრე კულაკებმა 1926-27 წელს და ერთნახევარჯერ მეტი იმაზე, რასაც მემამულეები ჰყიდდნენ რევოლიუციამდე.

აი, ამხანაგებო, ის შედეგები რომლებიც უნდა იცოდეს ყველაზე უფრო ჩამორჩენილმა გლეხმაც კი ჩვენს ქვეყანაში, უნდა იცოდეს არა მარტო ამ საერთო ციფრების თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაზრისითაც, თუ რამდენად გამოხატულია ეს ციფრები მისი სოფლის ცხოვრებაში.

ყოველმა კოლმეურნემ უნდა იცოდეს, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის ასეთი შედეგები, პირველ ყოვლისა, აიხსნება იმით, რომ კოლმეურნეობა არის მსხვილი გაერთიანებული მეურნეობა, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს ტრაქტორები და რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები მაშინ, როცა ინდივიდუალური მეურნეობა არის წვრილი მეურნეობა, რომელსაც ასეთი შესაძლებლობა არ მოეპოება.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? რას ნიშნავს კოლმეურნეობების ეს განვითარება, რომლის პარალელურად და უფრო წინ მიმდინარეობს საბჭოთა მეურნეობების განვითარება? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვხდებით ყველაზე მსხვილ, ყველაზე მოწინავე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქვეყნად მსოფლიოში.

ჩვენს თეზისებში ამის შესახებ სწერია შემდეგი:

„ფაქტია, რომ 85 ათასმა მსხვილმა კოლექტიურმა მეურნეობამ, რომელნიც შეიქმნენ 6 მილიონი ღარიბ და საშუალო წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გაერთიანების გზით, 1930 წლის გაზაფხულზე დასთესა 32,8 მილიონი ჰექტარი, იმ დროს, როცა დანარჩენმა ოცამ მილიონმა ინდივიდუალურმა გლეხურმა მეურნეობამ სულ 52,8 მილიონი ჰექტარი დასთესა. ეს ნიშნავს იმას, რომ 85 ათასმა კოლექტიურმა მეურნეობამ შესძლო თავის მინდვრებზე იმ ფართობის ნახევარზე მეტის (62 პროც.) დათესვა, რომელიც ოცმა მილიონმა ინდივიდუალურმა გლეხურმა მეურნეობამ დასთესა“.

აი, ამხანაგებო, ის შედარება, რომელიც ჯამს უკეთებს ყველა ცნობებს საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების შესახებ. ეს, ამხანაგებო, ისეთი ფაქტებია, რომლებსაც თვალყურს ადევნებს მთელი მსოფლიო, ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნის მხრით ჩვენ ვდგებით ყველა ქვეყნებზე წინ. შევადაროთ ის, თუ რა სისწრაფით და ძალით შეუძლიათ მიწათმოქმედების მსხვილ საწარმოო მეურნეობებს - კაპიტალიზმის შექმნა, და ის, თუ რა ძალით, სისწრაფით და რა შედეგებით შეუძლიათ მათ სოციალისტური საბჭოთა წყობილების შექმნა. მაგალითისათვის შორს არ წავალთ.

თქვენ ყველამ იცით, რომ კაპიტალისტური მიწათმოქმედების კლასიურ ქვეყნად ითვლება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. ამ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფაქტს წარმოადგენს შემდეგი: იქ არის 200 ათასი მსხვილი მეურნეობა. ჩვენ „დათმობაზე“ მივდივართ კაპიტალიზმის წინაშე და მსხვილ მეურნეობებს ვუწოდებთ ყველა მეურნეობას 200 ჰექტარზე მეტი ტერიტორიით, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ბევრი კოლმეურნე პროტესტს განაცხადებს ამის წინააღმდეგ და იტყვის: რაღა მსხვილი მეურნეობაა ეს ჩვენთვის, კოლმეურნეებისათვის, მაგრამ კაპიტალისტებისათვის ეს მსხვილი მეურნეობაა. და აი, თუ ავიღებთ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მსხვილ მეურნეობებს, ყველა ისეთ მეურნეობას, რომლის ტერიტორიაც 200 ჰექტარს აღემატება,—ასეთი მეურნეობა არის ორასი ათასი და ყველა ეს 200 ათასი მეურნეობა ერთად ამუშავებს იმის ნახევარს, რასაც ამუშავებს დანარჩენი ექვსი მილიონი წვრილი ფერმერი.

ეს კიდევ ცოტაა. თუ გადავათვალიერებთ როგორ იზრდებოდნენ ეს მსხვილი მეურნეობანი უკანასკნელ ათ წელიწადში, დავრწმუნდებით, რომ მსხვილი სასოფლო მეურნეობის ფართობი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან ნელის ტემპით იზრდება და ამავე დროს იწვევს წინააღმდეგობას წვრილ მეურნეობათა მასის მხრივ, რომლის გაღატაკების ხარჯზედაც იზრდება კაპიტალისტურ ქვეყნებში მსხვილი მეურნეობა. მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის გამო უაღრესად შეზღუდულია კაპიტალიზმის უნარი შექმნას მსხვილი სამიწათმოქმედო მეურნეობა, მიუხედავად იმისა, რომ მის განკარგულებაში არის უდიდესი მატერიალური სახსრები. ხოლო ეს კი ნიშნავს იმას, რომ მსხვილი მეურნეობის შექმნის ჩვენი საბჭოთა გზა არის წვრილ გლეხურ მეურნეობათა არა ჩახშობის, გადაყლაპვის და გაღატაკების გზა, არამედ მათი გაერთიანების გზა, არა კულაკების გამარჯვების გზა, არამედ კულაკობის ლიკვიდაციის გზა. ეს გზა ათჯერ უფრო ეკონომიური, ნაყოფიერი და სწრაფია, ვიდრე კაპიტალისტური გზა.

მთავარი დეფექტები კოლმეურნეობათა მუშაობაში და ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად

ეხლა, ამხანაგებო, ნება მომეცით, გადავიდე იმაზე, რაც შეადგენს ჩემი მოხსენების ცენტრალურ ამოცანას. რა თქმა უნდა, როდესაც ვიხილავთ ამ შედეგებს, როდესაც ყოველი ჩვენგანი ანგარიშობს საბჭოთა კავშირისათვის, თავის რაიონისათვის, თავის რესპუბლიკისათვის და თავის სოფლისთვის კოლმეურნეობათა მიღწევებს — ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ აღმოგვაჩნდა საბჭოთა წყობილების შექმნის უნარი.

რასაკვირველია, სწორი არ იქნება, თუ ჩვენ ამის გამო ერთი წუთით მაინც დავხუჭავთ თვალებს საკოლმეურნეო მოძრაობის სისუსტეებსა და დეფექტებზე. სისუსტეებსა და დეფექტებზე რომ თვალი დავხუჭოთ, მაშინ ჩვენ ბოლშევიკები აღარ ვიქნებით. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთი დეფექტები კოლმეურნეობათა მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა არ არის. მეტიც უნდა ვთქვათ: დეფექტი ძალიან ბევრია, ვინაიდან მათ იწვევს კოლმეურნეობათა გამოუცდელობა. აიღეთ რომელიმე ჩვენი გლეხი — მან იცოდა, როგორ უნდა აეშენებინა თავისი მეურნეობა მიწის სამ ჰექტარზე. მას დაგროვილი ჰქონდა დიდი პრაქტიკული გამოცდილება, ათასი პრაქტიკული წესი გადადიოდა თაობიდან თაობაზე, ათასი ნიშანი, ჩვეულება, მითითება. ეხლა, ყოველ შემთხვევაში, 90 პროცენტი ამისა მტვრად იქცა, გამოუსადეგარია, მიუღებელია მსხვილ მეურნეობაში. კოლმეურნე მეურნეობას აშენებს არა სამ ჰექტარზე, არამედ 200-500-7.000 ჰექტარზე. აქ სხვა წესებია საჭირო, აქ სხვანაირად ეწყობა ადამიანთა დამოკიდებულება წარმოების პროცესებისადმი, სხვანაირად უნდა იქნენ დაყენებული ადამიანები ხვნის დროს, თესვის დროს, ლეწვის დროს, სხვაგვარად უნდა მოეწყოს აღრიცხვა იმისა რაც არის. განა ამის შესახებ უნდა გავიკვიროთ ის, რომ ყოველ კოლმეურნეობაში მკაცრი კრიტიკოსი აღმოაჩენს აურაცხელ შეცდომას, არევ-დარევას, შრომის გაფლანგვას. გამოცდილება მხოლოდ ეხლა იქმნება, ამასთან ეს გამოცდილება იქმნება საკუთარ შეცდომებზე. აი, ამიტომ კითხვაზე — როგორი შეცდომები მოიპოვება კოლმეურნეობაში, მე ისევე დაწვრილებით უნდა შევჩერდე როგორც, მთავრობის დავალებით, დაწვრილებით შევჩერდი საბჭოთა მეურნეობაზე.

ძირითადი დეფექტები საკოლმეურნეო მუშაობაში, რომელთა გამოც ჩვენ ფეხზე უნდა დავაყენოთ ყველა კოლმეურნეები, არის შემდეგი: აღრიცხვის უქონლობა ან მისი ცუდი ხარისხი მოსავლის განაწილება არა შრომის, არამედ სულადობის მიხედვით.

აღრიცხვის გარეშე არ არის კოლმეურნეობა, როგორც მოწესრიგებული მეურნეობა

დავიწყებ აღრიცხვიდან. აქ შეიძლება ვინმე თქვენგანმა სთქვას: „მოითმინეთ, ერთის მხრივ, თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ ვხდებით მსოფლიოში ყველაზე მსხვილ მეურნეობის ქვეყნად და ამავე დროს თქვენი მოხსენების მთავარ ნაწილს იწყებთ ისეთი პატარა საგნებიდან, როგორიც არის აღრიცხვა“.

იმის წინააღმდეგ, ვინც შეეცდება ასეთი რამის თქმას, შეიძლება მოვიყვანო ლენინის მრავალი მითითება ამაზე. ლენინი ამბობდა: „შრომის რაოდენობის, პროდუქტების განაწილების აღრიცხვა და კონტროლი — აი სოციალისტური გარდაქმნის შინაარსი მას შემდეგ, როცა პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა შექმნილი და უზრუნველყოფილია“. ლენინმა მრავალჯერ სთქვა: „სოციალიზმი არის აღრიცხვა“. აი ლენინის ეს სიტყვები უნდა გავიხსენოთ ეხლა და გამოვიყენოთ კოლმეურნეობათა მთელი მასის მიმართ, უნდა გამოვიყენოთ აუცილებლად.

გაიხსენეთ, ამხანაგებო, რაშია მთავარი მნიშვნელობა არტელისა. არტელი ძვირფასი სწორედ იმით არის, რომ იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი მეურნეობის აღრიცხვის სკოლას. არტელებში გლეხები სწავლობენ საზოგადოებრივი მეურნეობის აღრიცხვას. აი, რატომ უნდა გავიმეოროთ აქ ის, რაზედაც ლაპარაკობდა ლენინი მრავალჯერ 1918 წელს ქარხნებისა და ფაბრიკების მეურნეობის მიმართ. თუ გვინდა მტკიცე კოლმეურნეობები, თუ გვინდა, რომ კოლმეურნეობა დღითი-დღე იზრდებოდეს—აღრიცხვის გარეშე ამას ვერ მივაღწევთ, ვინაიდან აღრიცხვის გარეშე კოლმეურნეობა ნაკლებად პროდუქტიულია, აღრიცხვის გარეშე კოლმეურნეობა ვერ გამოიყენებს ყველა იმ შესაძლებლობას, რასაც იძლევა მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა, აღრიცხვის გარეშე ადამიანებს თავგზას დაუბნევს მსხვილი მეურნეობის სირთულე.

აქ მე მოვიყვან იმის ერთ მაგალითს (შემეძლო მომეყვანა მრავალი მაგალითი), თუ რა ხდება იმ კოლმეურნეობაში, სადაც არ არის ელემენტარული აღრიცხვა, არ არის შრომის აღრიცხვა მისი რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არ არის შემოსავლის აღრიცხვა. აი კოლმეურნეობა, რომელსაც მალენოვკა ეწოდება. იქ არ იყო მოწყობილი აღრიცხვა. და აი ეხლა მთელი ორი თვის განმავლობაში ყველა კოლმეურნეები სხედან და აკეთებენ ერთ საქმეს: იგონებენ—ვინ რამდენი იმუშავა და როდის. რა თქმა უნდა, ამის გახსენება ეხლა ძალიან ძნელია, ყოველ შემთხვევაში უფრო ძნელია, ვიდრე მისი ჩაწერა მაშინ, როცა ხალხი მუშაობდა. როდესაც კოლმეურნეებმა „მოგონება“ დაიწყეს, რასაც მრავალი ათი კრება დასჭირდა, აღმოჩნდა შემდეგი: არიან ისეთი ოჯახები ერთი შრომის უნარიანი ადამიანით, რომლებზედაც მოვიდა 300-400 შრომა-დღე (თვითეულ ოჯახზე). ეხლა კოლმეურნეთა კრებებზე ანგარიშით ამტკიცებენ: მაშინაც კი, ერთ ადამიანს რომ ერთ დღეში ორი დღე ემუშავა, არავითარ შემთხვევაში ოჯახს არ გამოუვიდოდა 300-400 დღე. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთის ავანსმა ორჯერ გადააჭარბა იმას, რაც უნდა მიეღო, სხვებმა კი იმის ნახევარიც ვერ მიიღეს, რაც ეკუთვნოდათ. შემოსავალი კი მთლად განაწილებულია. ეხლა გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთი ოჯახები, სამუშაოზე გზავნიდნენ შრომის უნარმოკლებულებს, მიუხედავად ამისა, მათ უწერდნენ შრომა-დღეებს. ზოგიერთი სამუშაოზე მიდიოდა ერთი ორი საათით — მასაც უწერდნენ შრომა-დღეს (სიცილი). სხვა მიდიოდა გამგეობაში, იდგა ან იჯდა მთელ დღეს იქ — ამასაც აგრეთვე უწერდნენ შრომა-დღეს (სიცილი).

სხვათა შორის, მრავალი გამგეობა და კოლმეურნეობა დავათვალიერე და ყველგან ერთსა და იმავე სურათს ვხედავდი: ხალხი ათასობით თავმოყრილია გამგეობასთან. აი, ამხანაგებო, ეს არის ცუდი მაგალითი. ყველა თქვენგანმა უნდა აღიაროს, რომ ასეთი რამ ყველა კოლმეურნეობაში ხდება.

სადაც აღრიცხვა არ არის, იქ მსხვილი მეურნეობა არ არის.

სადაც აღრიცხვა არ არის, იქ არ არის კოლმეურნეობა, როგორც მოწესრიგებული მეურნეობა. აი რატომ გადაიქცა დღეს გადამწყვეტ ამოცანად აღრიცხვის საქმის მოწყობა კოლმეურნეობებში.

ასეთია მსხვილი მეურნეობის მთელ რიგ სენებიდან, საყმაწვილო სენებიდან პირველი სენი, რომლის სამკურნალოდაც ფეხზე უნდა დავაყენოთ კოლმეურნეთა მთელი მასა და მთელი საკოლმეურნეო აქტივი.

ვინც მეტს და უკეთესად მუშაობს, ის მეტს მიიღებს, ვინც არ მუშაობს, ის არაფერს არ მიიღებს

კოლმეურნეობების მუშაობაში 1930 წელს ყველაზე უფრო მავნე დეფექტი იყო საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება არა კოლმეურნის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, არამედ სულების მიხედვით. ბევრი რაიონი აქამდის ყოველნაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას ეს სულობრივი განაწილება არ ჰქონია შემოღებული, ასეთი რაიონების შესამოწმებლად ჩვენ უშუალოდ შევეკითხეთ მრავალ კოლმეურნეობას იმის შესახებ, თუ როგორ ანაწილებდნენ ისინი შემოსავალს. კოლმეურნეებმა მოგვწერეს ყველა კუთხიდან. პასუხების დიდი უმრავლესობა ამბობს: „სულობრივად“, „მჭამელის მიხედვით“. ამ საკითხს საკოლმეურნეო მოძრაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გამოცდილებამ დაგვანახა, რომ იქ, სადაც შემოღებულია შემოსავლის სულობრივად განაწილება, შეუძლებელია კოლმეურნეების, ნამდვილად დაინტერესება შრომის შედეგებით, ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ იქ არ შეიძლება ყველა იმ უპირატესობათა სავსებით გამოყენება, რომლებსაც მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა იძლევა.

თეზისები ამ საკითხზე პირდაპირ და აშკარად გვეუბნებიან: „მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით შუა ვოლგის, ჩრდილოეთ კავკასიის და ციმბირის კოლმეურნეობებში, ადგილი ჰქონდა შემოსავლის განაწილებას სულობრივად და არა კოლმეურნის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით, რაც ასუსტებდა კოლმეურნის მატერიალურ დაინტერესებას საკოლმეურნეო წარმოების შედეგებით, თვალსაჩინოდ ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას და სამუშაოზე გასულ კოლმეურნეთა რიცხვს, ხოლო ყოველივე ამის შედეგი იყო კოლმეურნეობების შემოსავლის შემცირება“. მე აქაც შემიძლიან ასობით მოვიყვანო იმის მაგალითი, რომ შემოსავლის განაწილება სულობრივად და არა შრომის მიხედვით უდიდეს ზიანს აყენებს კოლმეურნეობებს. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს, ვინაიდან იგი ტიპიურია და ამავე დროს ამ მაგალითს მოვიყვან თვით კოლმეურნეთა სიტყვებიდან ეხლა როცა ისინი დარწმუნდნენ შემოსავლის სულობრივად განაწილების უვარგისობაში, თითონვე გადმოგვცემენ თავიანთ შესახებ: „მუშაობა ჩვენში მოწყობილი იყო ამ გვარად: ჩამოივლიან დილით გამგეობის წევრები, გაიწვევენ სამუშაოდ. ზოგი გადის და ზოგიც არა, ერთის სიტყვით, იქცევიან ისე, ვისაც როგორ სურს. ამავე დროს არ ხდება მუშაობის აღრიცხვა არც ხარისხის და არც რაოდენობის მიხედვით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უწესოდ და დაუდევრად შედგენილ ქაღალდებს“.

რა მივიღეთ ამის შედეგად? საუკეთესო კოლმეურნეები თავგამოდებით მუშაობდნენ, სხვები კი სრულებით არაფერს აკეთებდნენ. სამაგიეროდ, როცა პურის გაყოფის დრო მოვიდა, ყველანი ამოძრავდნენ, ყველას მიეცა სულზე 18 ფუთი, ამასთან მხედველობაში მიიღეს ის სულებიც, რომელნიც ჯერ არ დაბადებულან, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობის ვარაუდით მალე უნდა დაბადებულიყვნენ (სიცილი). ზოგიერთ ოჯახს ერგო 180 ფუთამდე ხორბალი. სამაგიეროდ, როცა დამზადება დაიწყო აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის მისაყიდი პური აღარ იყო. დაიწყეს გამოანგარიშება ხელახლა. აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეთა ერთმა ჯგუფმა მეტი მიიღო 2 ათასი მანეთის ხორბალი, მეორე ჯგუფს კი დააკლეს 3.000 მანეთის. აი წესი, რომელიც შემოსავლის სულობრივად განაწილების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს.

ამიტომ სავსებით სწორია ის, რაც ამის შესახებ ნათქვამია თეზისებში. თეზისებში კი ნათქვამია: „ისეთ კოლმეურნეობებში (სადაც შემოღებულია შემოსავლის სულობრივად განაწილება) კოლმეურნეთა ერთი ჯგუფი, უფრო შეგნებული და საერთო საქმისადმი უფრო ერთგული, მუშაობდა პატიოსნად, ხოლო დანარჩენები ცდილობდნენ თავიდან აეცდინათ მუშაობა და კოლმეურნეობას იყენებდნენ, როგორც საშუალებას ეცხოვრათ სხვისი შრომით, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტად ესარგებლათ საერთო შრომის ნაყოფით და რაც შეიძლება ნაკლები ემუშავათ“.

როგორც ხედავთ, ჩვენ აქ არაფერს არ ვფარავთ. კოლმეურნეებს მივმართავთ უშუალოდ და აშკარად. ჩვენ პირდაპირ მოგვყავს იმის მაგალითები, თუ როგორ შეიძლება გაფუჭდეს დიდი საკოლმეურნეო საქმე, რომელმაც, მიუხედავად ყველა დეფექტებისა და კოლმეურნეების გამოუცდელობისა, პირველსავე წელს ერთ ნახევარჯერ გაადიდა კოლმეურნეთა შემოსავალი, როგორ შეიძლება გაფუჭდეს ეს საქმე, თუ მეურნეობას საფუძვლად დაუდებთ უაღრესად საზიანო პრინციპს — შემოსავლის განაწილებას არა შრომის მიხედვით, არამედ სულობრივად, რასაც ხშირად ქადაგებენ კულაკები.

არ დავფარავთ, შეიძლება გამოჩნდნენ ეგრეთწოდებული „თეორეტიკოსები, რომელნიც იტყვიან: „აბა რას სჩადიხართ? გვაბრუნებთ უკან. ჩვენ გვინდა წავიდეთ წინ და კომუნიზმისკენ, გვინდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველანი თანასწორად ღებულობდნენ. თქვენ კი მთავრობის დავალებით იცავთ შემოსავლის განაწილებას კოლმეურნის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით“. უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია ამ თეორიაზე უფრო დიდი სისულელე. არ არის მართალი ის, რომ კომუნისტურ საზოგადოებაში ყველა მიიღებს თანაბრად. კომუნისტურ საზოგადოებაში, რომელიც მაღალი შრომის ნაყოფიერების საზოგადოება იქნება, თვითეული მიიღებს მოთხოვნილების მიხედვით, ვინაიდან ყველაფერი და ყველასათვის სამყოფი იქნება და შრომა ადამიანთა ჩვეულებად გადაიქცევა. ხოლო სანამ ყველაფერი ყველასთვის სამყოფი არ არის, სანამ მეურნეობის არსებობისათვის საჭიროა მშრომელის მატერიალური დაინტერესება მისი შრომის ანაზღაურების რაოდენობაში, შემოსავლის განაწილების ერთად-ერთ სოციალისტურ ფორმას წარმოადგენს განაწილება შრომის მიხედვით (მისი რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვით). აი, რა უნდა უპასუხოთ იმათ, ვინც შეეცადა ამ უბადრუკი „თეორიის“ გამოგონებას. ზოგან კულაკები ეუბნებიან კოლმეურნეებს, რომ განაწილება შრომის მიხედვით არის უკან გადადგმული ნაბიჯი, ვითომ ნამდვილი კომუნიზმი ნიშნავს ყველაფრის თანასწორად განაწილებას. ნამდვილად კი რა გამოდის? თანასწორად, „სულობრივად და მჭამელის მიხედვით განაწილება ნიშნავს უდიდეს უთანასწორობას, ვინაიდან იქ, სადაც შემოსავალი ნაწილდება სულობრივად, ვინც მუშაობს, ის არ იღებს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც მან დაიმსახურა, ხოლო წამგლეჯი, რომელსაც კოლმეურნეობა მიაჩნია სხვისი შრომის ხარჯზე საცხოვრებელ საშუალებად, მოგებული რჩება. ეს ფაქტია, კულაკი კი დადის და გესლიანად იღიმება. ის ეუბნება იმას, ვინც ბევრს მუშაობს: „მუშაობა სულელებს უყვართ, ტყუილად რისთვის მუშაობ, სულ ერთია, მეტს ვერ მიიღებ“. იმას კი, ვინც არ მუშაობს იგი ეუბნება: „რისთვის უნდა იმუშაო, რისთვის უნდა ხარჯო ტყუილად ენერგია, სულ ერთია შენსას მიიღებ“. ასეთ ლაპარაკს გაიგონებთ ყოველ კოლმეურნეობაში. ის კულაკური ჰანგებია, ასეთი კულაკური ჰანგების წინააღმდეგ ჩვენ უნდა ავამხედროთ ყველა კოლმეურნეობანი, ხოლო იმ „თეორეტიკოსებს“, რომელნიც შემოსავლის სულობრივად განაწილებას იცავენ, ჩვენ ვუწოდებთ იმას, რასაც ისინი ნამდვილად წარმოადგენენ — კულაკების დამქაშებს.

ზოგიერთები იმასაც ამბობენ, ვითომ შემოსავლის განაწილება შრომის მიხედვით და არა სულობრივად საზარალოა ღარიბი მოსახლეობისათვის. ხშირად გვესმის ასეთი აზრი, მაგრამ სწორია თუ არა ეს? მოდით და გავარჩიოთ, განა ღარიბ გლეხს და მით უმეტეს მოჯამაგირეს არ შეუძლიან მუშაობა? რატომ უნდა მუშაობდეს იგი სხვებზე ცუდად? განა მოჯამაგირეს არ გაუვლია 18 საათის შეუსვენებელი შრომის სკოლა კულაკთან? განა შრომაში შეჯიბრების დროს ღარიბი გლეხი და მოჯამაგირე სხვებზე უფრო ცუდად იმუშავებენ? რასაკვირველია, არა, და თუ ისინი სხვებზე ცუდად არ იმუშავებენ, არც სხვებზე ცუდად მიიღებენ. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს ის მოსაზრება, თითქოს ღარიბ გლეხებს იცავენ ისინი, რომელნიც ქადაგებენ შემოსავლის განაწილებას სულობრივად. არაფერი ამის მსგავსი. ისინი იცავენ არა ღარიბ გლეხს, არამედ კულაკს, ვინაიდან კულაკს სჩვევია სხვისი შრომით ცხოვრება.

ნამდვილად ვისთვის იქნება საზარალო შემოსავლის სულობრივად განაწილების გადაჭრით უარყოფა? იმისათვის, ვისაც არ სურს მუშაობა, იმისათვის, ვინც კოლმეურნეობაში შევიდა, როგორც წამგლეჯი და არა როგორც მუშა, ვინც კოლმეურნეობაში შევიდა, მაგრამ ნამდვილად არ სურს იყოს კოლმეურნე, ასეთები კი არიან კულაკები და მოკულაკონი. კულაკს ძველთაგანვე სჩვევია სხვისი შრომით ცხოვრება, რადგან იგი კულაკი იყო, იგი იყო მუქთა ხორა, რომლისთვისაც მუშაობდნენ ღარიბი გლეხები. აი, სწორედ ასეთი მუქთა ხორების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ გამოიყენონ კოლმეურნეობა, რათა იცხოვრონ მშრომელი მეზობლის, კეთილ სინდისიერი კოლმეურნის ხარჯზე, — სწორედ ასეთი მუქთა ხოროების წინააღმდეგ მოვუწოდებთ ჩვენ კოლმეურნეებს.

კულაკი ცდილობს კოლმეურნეობაში შეძრომას იმისათვის, რომ იქაც განაგრძოს პრაქტიკულად განხორციელება თავისი წესების, ასე ვთქვათ, თავისი ცხოვრების მეთოდების, ჩვენ კი გვაქვს ჩვენი წესები, ლენინური წესი. ლენინი ამბობდა: „ვინც არ მუშაობს, არც უნდა სჭამდეს“. აი, სოციალიზმის პრაქტიკული მცნება.

სწორედ ეს არის ნათქვამი ჩვენს თეზისებში, სწორედ ამის დამტკიცებას გთხოვთ. ჩვენს თეზისებში ნათქვამია: „ვინც უფრო მეტს და უკეთესად მუშაობს, ის მეტს მიიღებს, ვინც არ მუშაობს, ის არაფერს არ მიიღებს“. ეს, ამხანაგებო, მთავარ წესად უნდა გადაიქცეს კოლმეურნეობაში მეურნეობის ორგანიზაციის დროს. ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ თუ მიიღებთ ამ ჩვენ წინადადებას ყრილობამ ამ საკითხში მხარს დაუჭერს კოლმეურნეთა მთელი მასა. მხოლოდ კულაკი იქნება წინააღმდეგი, ვინაიდან იგი ყოველნაირად ცდილობს მხარი დაუჭიროს კოლმეურნეობებში მუშაობის ორგანიზაციის და განაწილების ისეთ წესს, რომელიც ცხადჰყოფს არა კოლმეურნეობის უპირატესობას, არამედ, პირიქით, მის ცუდ და სუსტ მხარეებს. ყოფილი ღარიბი გლეხი და საშუალო გლეხი, ეხლანდელი კოლმეურნე, მით უფრო კოლმეურნეთა მთელი შეგნებული აქტიური ნაწილი იმისი მომხრე იქნება, რომ წელსვე ეხლანდელი გაზაფხულიდანვე ბოლო მოეღოს მოსავლის განაწილებას სულადობის მიხედვით.

ნარდი მუშაობისათვის

მოსავლის განაწილების ორგანიზაციასთან კოლმეურნეობაში მჭიდროდ არის დაკავშირებული საკითხი იმის შესახებ, თუ შრომის ორგანიზაციის რომელი წესი უნდა მივიღოთ კოლმეურნეობებში, რათა მთლიანად გამოაშკარავდეს კოლმეურნეობის ყველა უპირატესობა, რათა ნამდვილი, მტკიცე საფუძველი შევუქმნათ მოსავლის განაწილებას არა სულადობის მიხედვით, არამედ შრომის მიხედვით. აქ, ამხანაგებო, არაფრის გამოგონება არ არის საჭირო. აქ მხოლოდ საჭიროა დავუკვირდეთ იმას, რას გვიჩვენებს საუკეთესო კოლმეურნეობების გამოცდილება. ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ერთად-ერთ სწორ წესს წარმოადგენს ნარდი მუშაობა, ვინაიდან ამ შემთხვევაში ყოველი კოლმეურნე დაინტერესებულია შრომის შედეგებით. გარდა ამისა, ნარდი მუშაობის დროს შეუძლებელია მოსავლის განაწილება სულადობის მიხედვით.

ნარდი მუშაობის უპირატესობა

თუ დავუკვირდებით — რას წარმოადგენს ნარდი მუშაობა საუკეთესო კოლმეურნეობებში, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ ნარდი მუშაობის შინაარსი შემდეგშია: თუ შენ, მაგალითად, დახანი ამდენი და ამდენი ჰექტარი, ამისათვის გეთვლება ერთი შრომა-დღე, თუ ერთნახევარჯერ მეტი დახანი, ერთნახევარჯერ მეტი შრომა-დღეები გეთვლება.

თუ მზიდავი ხარ და დღეში 15 ურემი მოიტანე, ხოლო მეორე კოლმეურნემ 3 ურემი მოიტანა, ორივე ერთ დღეს მუშაობდა, ორივეს შეუძლია სთქვას: „ჩამიწერე შრომა-დღე, მე მთელი დღე ვიმუშავე“-ო; მაგრამ რაკი ერთი მუშაობდა, ხოლო მეორე ზარმაცობდა, იმას, ვინც 15 ურემი მოიტანა 5-ჯერ მეტი უნდა ჩაეწეროს ვიდრე 3 ურმის მომტანს. აი მთელი შინაარსი.

თუ დაუკვირდებით იმას, რასაც საუკეთესო კოლმეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, დავრწმუნდებით, რომ ნარდ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ მომენტებში, როცა ადგილი აქვს მუშა ხელის მწვავე სიმცირეს და როცა ბევრი სამუშაოა. ავიღოთ, მაგალითად, მოსავლის აკრეფა. აკრეფა სას.-სამეურნეო წარმოების ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენს, რომელიც ყველაზე მეტ დარაზმულობას მოითხოვს. აქ კოლმეურნეობის ორგანიზაციის დეფექტები და სუსტი მხარეები განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება. აქ სწარმოებს ერთბაშად რამდენიმე სამუშაო: ძნის შეკვრა, გალეწვა, საანეულო ხვნა, საშემოდგომო თესვა, პურის მიტანა შესაგროვებელ პუნქტებში და სხვა. აქ ადვილია დაბნევა. კოლმეურნეობაში შრომის გამოყენების შესწავლის დროს გამოვარკვიეთ, რომ ისეთ მწვავე მომენტებშიაც კი, როგორიცაა ადგილის დამუშავება მწკრივებს შორის, გალეწვა, ძალზე ცუდად სწარმოებს კოლმეურნეობაში არსებული მუშა-ხელის გამოყენება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გალეწვის დროს იქ ადგილი არ ჰქონდეს არაჩვეულებრივ ფაცაფუცს, მე ბევრ კოლმეურნეობაში ვყოფილვარ გალეწვის დროს. თუ ზერელედ შეხედავთ, გეჩვენებათ, რომ ყველას საქმე აქვს, ყოველ შემთხვევაში ყველა დარბის, ფუსფუსებს, მაგრამ როცა საკოლმეურნეო ინსტიტუტმა მთელი რიგი კოლმეურნეობების მაგალითებზე გამოიანგარიშა—რამდენი ადამიანის გამოყენება შეიძლება ასეთ მომენტში, რამდენია შრომის უნარის მქონე და რამდენი მუშაობს ფაქტიურად, გამოირკვა, რომ არსებული მუშა-ხელის მარაგიდან ფაქტიურად იყენებენ მხოლოდ ერთი მესამედიდან ორ მესამედამდე. ეს აშკარად მოწმობს იმას, თუ რას ნიშნავს ნარდი მუშაობის გამოუყენებლობა; ხალხი ფუსფუსებს, დარბის, თითქოს ყველა მთელი 100 პროც. მუშაობს, ნამდვილად კი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნარდი მუშაობის გამოუყენებლობა უკავშირდება მოსავლის განაწილებას სულადობის მიხედვით, უმნიშვნელო რაოდენობით ხდება არსებული მუშა ხელის გამოყენება.

აი, ამიტომ ნარდ მუშაობაზე გადასვლის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა კოლმეურნეობამ გამოიყენოს ის, რასაც ამჟამად მხოლოდ საუკეთესო კოლმეურნეობები იყენებენ, ეს საკითხი ჩვენი ყრილობის მთავარ საკითხს წარმოადგენს.

რას გვიჩვენებს გამოცდილება იქ, სადაც კოლმეურნეები ნარდ მუშაობაზე გადავიდნენ? მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

კოლმეურნეობაში შრომის ხელფასის გასტუმრება დაიწყეს დროის მიხედვით, შემდეგ გადავიდნენ ნარდ მუშაობაზე. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ერთი კაცი დღეში, ერთი მესამედი ჰექტარის ნაცვლად, ნახევარ ჰექტარს ხნავდა.

ლენინის კოლმეურნეობაში გადავიდნენ ნარდ მუშაობაზე და სამუშაოზე გამოსვლა ერთბაშად ერთ ნახევარჯერ გაიზარდა.

ამხ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გადავიდნენ ნარდ მუშაობაზე და მაშინვე შრომის უნარის მქონეთა სამუშაოზე გამოსვლა 60-დან 100 პროცენტამდე გაიზარდა.

კოლმეურნეობაში, როცა ნარდი მუშაობა არ იყო, დღეში თოხნიდნენ ერთი მესამედიდან ნახევარ ჰექტარამდე, ნარდ მუშაობაზე გადასვლის შემდეგ დღეში ჰექტარ ნახევარს თოხნიან.

ყირიმის კოლმეურნეობებში დღიურათ მუშაობის დროს ერთ ჰექტარ თამბაქოს დარგვას 180 კაც-დღეს ანდომებდნენ. გადავიდნენ ნარდ მუშაობაზე და 40-60 კაც-დღეს ანდომებენ.

კოლმეურნეობაში „გზა სოციალიზმისაკენ“ ერთი ჰექტარის დამუშავებას 25 კაცი სჭირდებოდა 10 საათიან სამუშაო დღეში. გადავიდნენ თუ არა ნარდ მუშაობაზე, გამოირკვა, რომ იმავე ჰექტარს იმავე 10 საათიან სამუშაო დღეს 8-10 კაცი ამუშავებს.

იმავე კოლმეურნეობაში წყლის მზიდველი ნარდ ხელფასზე გადასვლამდე დღეში ორ კასრ წყალს ეზიდებოდა; მას შემდეგ, როცა ნარდ მუშაობაზე გადავიდა, იგივე წყლის მზიდველი იმავე ცხენით 14 კასრს ეზიდება (სიცილი).

მეცხოველეობის კოლმეურნეობაში „ლენინის გზა“ მწველავი ქალი 10-12 ძროხას სწველიდა. ნარდ მუშაობაზე გადასვლის შემდეგ უკვე 14-15 ძროხას სწველის.

ჩ.-კავკასიაში მებამბეობის კოლმეურნეობაში კოლმეურნე ქალები ნარდ სამუშაოზე გადასვლის შემდეგ ორჯერ მეტ ბამბას აგროვებენ.

როცა გამოვიანგარიშეთ რამდენი შრომა-დღე დასჭირდა მარცვლეულის კოლმეურნეობებში ერთი ჰექტარის დამუშავებას, გამოირკვა, რომ ერთ კოლმეურნეობაში დაიხარჯა 25, მეორეში 20, 13, 8 და სხვა. რაშია საქმე? სულ უბრალო რამეში. იქ, სადაც ნარდი მუშაობაა, საკმარისია 13-14 შრომა-დღე, სადაც ნარდი მუშაობა არ არსებობს — 25-იც არ კმარა. არავითარი სასწაული არ ხდება, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ შრომის როგორი ორგანიზაციაა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომ მოისპოს მოსავლის განაწილება სულადობის მიხედვით, რომ მოსავლის განაწილებას შრომის მიხედვით შეუქმნათ ის საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა შრომის ორგანიზაცია საუკეთესო კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობათა ცენტრმა ამ ცოტა ხნის წინად მოიწვია საუკეთესო კოლმეურნეობათა თათბირი, ე.ი. იმ კოლმეურნეობების, რომლებმაც საუკეთესო შედეგები მოგვცეს შრომის ორგანიზაციის საქმეში. რა გამოირკვა? იქ, სადაც კოლმეურნეობა კარგად არის მოწყობილი, შრომის ორგანიზაციას საფუძვლად უდევს ნარდი მუშაობა. თვით კოლმეურნეების ცნობების მიხედვით, იმ კოლმეურნეობაში, სადაც ნარდი მუშაობა არ არსებობს, ასეთი წესებია: კოლმეურნე დგება დილის 8 საათზე, როცა გახურებული მინდვრის მუშაობაა; ამის შემდეგ იგი მთელ საათებს ესაუბრება მეზობელს, ეძებს ცხენს, ეძებს გუთანს, ასწორებს ცხენის მოწყობილებას, გრეხავს მავთულს და მინდორში სამუშაოთ გადის იმ დროს, როცა საშუალო გლეხის ძველი ჩვეულების მიხედვით უკვე სადილობის დროა.

იქ, სადაც ნარდი მუშაობა არ არის, ფართოთ არის გამოყენებული მოსავლის განაწილება სულადობის მიხედვით, ასეთ ფაქტებს სწორედ იქ აქვს ადგილი; ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამას ბოლო უნდა მოეღოს (ხმები: მართალია!).

ნარდი მუშაობის გამოყენება სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია

რათა სავსებით ნათელვყოთ ეს საკითხი, განვიხილოთ ნარდი მუშაობის გამოყენების საწინააღმდეგო მოსაზრებანიც. ნარდი მუშაობის საწინააღმდეგო მოსაზრებებს შორის ხშირად გაიგონებთ, რომ ნარდი მუშაობა ვითომ გამოსადეგია მარტო ფაბრიკაში მუშაობის დროს.

ვიმეორებ, კოლმეურნეობათა ცენტრმა მოიწვია საუკეთესო კოლმეურნეობათა სპეციალური თათბირი შრომის ორგანიზაციის შესახებ კოლმეურნეობებში. ამ თათბირმა თავის დადგენილებაში აღნიშნა, ის, რასაც უკარნახებდა მას საუკეთესო კოლმეურნეობების პრაქტიკა. აღმოჩნდა, რომ ნარდ მუშაობას პრაქტიკულად ახორციელებენ და მას წინ არ ეღობება რაიმე დიდი დაბრკოლება.

თათბირმა მთავარი სამუშაოები გაჰყო 5 ჯგუფად, დაახლოებით შემდეგნაირად. მან აღნიშნა, რომ მუშაობის განაწილება ჯგუფებს შორის შეიძლება ასეთი იყოს: მსუბუქ სამუშაოს ეკუთვნის ნაკელის და თესლის გატანა, ჩალის გადაზიდვა ლეწვის დროს, დამხმარე მუშაობა თესვის დროს. საშუალო სამუშაოს ეკუთვნის დაახლოვებით შემდეგი: მუშაობა კულტივატორებით, ძირნაყოფა მცენარეების მოთხრა ხელით, ძნის შეკვრა, მინერალური სასუქის მოპნევა. მძიმე სამუშაოებს ეკუთვნის დაახლოვებით შემდეგი: მცენარეთა ძირების მოთხრა, ძროხების მოწველა, ცხენების მოვლა, კვალიფიციურ სამუშაოს ეკუთვნის ტრაქტორისტების მუშაობა, თესვა ხელით, მჭედლების მუშაობა, ძნების მიწოდება კალოზე და სხვა. ყოველი მუშაობა, იმის და მიხედვით, თუ რომელ ჯგუფზეა მიკუთვნებული კოლმეურნეობის მიერ, სათანადოთ უნდა იქნას შეფასებული შრომა-დღეებით. მაგალითად, ერთი ჰექტარის დაფარცხვა შეიძლება შეფასდეს 20 შრომა-დღედ, ერთი ჰექტარის დათესვა 30 შრომა-დღედ, ერთი ჰექტარის საკის სისტემის გუთნით მოხვნა—ერთი შრომა-დღედ და სხვა. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ მაგალითია, რადგან, თავის თავად ცხადია, რომ ასეთი ნორმები შეიძლება დაწესებულ იქნას მხოლოდ ყოველი ცალკე კოლმეურნეობის მიერ, ისიც გამგეობის მიერ მისი წინასწარი დამუშავების და კოლმეურნეთა საერთო კრებაზე დამტკიცების შემდეგ.

შეიძლება წინდაწინ დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ თუ ამ ნორმებს შევამოწმებთ როგორც საჭიროა და გავითვალისწინებთ ადგილის თავისებურებას, არსებული მანქანების ღირსებას და ცალკე სამუშაოების მნიშვნელობას თვითეულ კოლმეურნეობისათვის, ყოველ კოლმეურნეობას შეუძლია უფრო მიზანშეწონილი შეფასება მისცეს სხვადასხვა სამუშაოს, ვიდრე ის ხანიმუშო შეფასება, რომლის შესახებაც აქ გვქონდა ლაპარაკი, და თუ მე მაინც მომყავს იგი აქ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაგანახვოთ, თუ როგორ უნდა იქნას დაყენებული ნარდად მუშაობა კოლმეურნეობებში. თუ ერთ ჰექტარზე ჩატარებულ მუშაობას შევაფასებთ შრომა-დღეებად ან ერთ ფუთ დაფქვილ პურად, მაშინ, რასაკვირველია, ძნელი არ იქნება შრომა-დღეებით შევაფასოთ თვითეული კოლმეურნის მუშაობა.

ვთქვათ, თქვენ გყავთ ბრიგადა, რომელსაც დავალებული აქვს—დასთესოს 40 ჰექტარი, მან კი დასთესა 50. რა გამოვა ამ შემთხვევაში? თუ მთესველი იყო 10 კაცი და თუ ერთი ჰექტარის დათესვა შეფასებულია 30 შრომა-დღედ, სულ კი დაითესა 50 ჰექტარი, მაშინ მთესველებმა უნდა მიიღონ 15 შრომა-დღე. თუ მთესველი იყო 10 კაცი, მაშინ თვითეულს უნდა დაეწეროს ერთნახევარი შრომა-დღე, ნაცვლად ერთი შრომა-დღისა, რომელიც დაეწერებოდათ მათ იმ შემთხვევაში, ბრიგადას რომ დაეთესა არა 50, არამედ 40 ჰექტარი.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, ეს არ არის ძნელი საქმე. ამისათვის არ არის საჭირო რთული ბუხჰალტერია, ამისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა უბრალო ანგარიში. ამისათვის საჭირო არ არის სპეციალურ მოსამსახურეთა დიდი შტატი, აქ აღრიცხვის ძირითადი სამუშაო შეუძლიათ და უნდა შეასრულონ კიდეც წერა-კითხვის მცოდნე კოლმეურნეებმა.

აი რა მდგომარეობაა იმ მხრივ, თითქოს სოფლის მეურნეობაში შეუძლებელია ნარდი მუშაობის გამოყენება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა გამოკვლევა საქართველოში

თანახმად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებისა, მთელ საქართველოში უნდა მოხდეს კულტურულ- განმანათლებელ დაწესებულებათა გამოკვლევა, იმათი მდგომარეობის **შესწავლა-შემოწმება.** აქ ლაპარაკია მხოლოდ **კლუბებზე, ქოხ-სამკითხველოებზე და წითელ კუთხეებზე.** ეს გამოკვლევა ხდება თანახმად საკავშირო ცაკის ეროვნებათა საბჭოს დადგენილებისა და საქართველოში **ის უნდა დამთავრდეს აპრილის 25-დე.**

მიზანი და მნიშვნელობა ამ გამოკვლევისა აშკარა და ნათელი უნდა იყოს ყველასათვის. საქმე იმაშია, რომ არც ერთი ზევით დასახელებული კულტ-განმანათლებელი დაწესებულება როგორც სოფლად, ისე ქალაქად, არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გარეშე იმ დიადი სოციალისტური მშენებლობისა, რომელიც დღეს ჩვენ ქვეყანაში მიმდინარეობს. თითოეული კლუბი, თითოეული ქოხ-სამკითხველო ან წითელი კუთხე, სადაც ის არ უნდა იყოს, მოწოდებულია მიიღოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნაში სათანადო მონაწილეობა. ჩვენ კლუბებს, ქოხ-სამკითხველოებს და წითელ კუთხეებს უნდა აინტერესებდეთ ყველა ის ამოცანები და ბრძოლის საკითხები, რომლებიც დღეს დგანან კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე: **სოციალისტური მრეწველობის და სოციალისტური მიწათმოქმედების ჩქარი ტემპით განვითარება,** და აქედან გამომდინარე პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ამ უდიდეს ამოცანების თავის დროზე შესრულებას, როგორც, მაგ., **სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, შემხვედრი სამრეწველო-ფინანსიური გეგმა, ფულად საშუალებათა მობილიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და უპირველეს ყოვლისა შემოდგომის და გაზაფხულის თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარება** და სხვა. ის კლუბი, ქოხ-სამკითხველო ან წითელი კუთხე, რომელიც არ იღებს ყველა ამაში სათანადო მონაწილეობას, დღევანდელ პირობებში ვერ გაამართლებს თავის არსებობას, და ამის მიხედვით უნდა შეიცვალოს მისი მუშაობა მომავალში.

იმ გამოკვლევამ, რომელზედაც აქ ლაპარაკია, უნდა ნათელყოს, ჩვენი კლუბების, ქოხ-სამკითხველოების და წითელ კუთხეების მუშაობა სწორედ აი ამ თვალთახედვის წერტილიდან. ესაა მთავარი მიზანი ამ გამოკვლევისა. მაგრამ არა მარტო ამ მიზანს ვისახავთ ჩვენ ამ შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ ჩვენ დღემდის არ ვიცით სისწორით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენში ის დაწესებულებები, რომლებზედაც აქ ჩვენ ვლაპარაკობთ. ამის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება შესაფერი მასალა, რადგანაც ასეთი საერთო გამოკვლევა ამ დაწესებულებისა დღემდის ჩვენ არ მოგვიხდენია.

მეტია აქ ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ასეთი გამოკვლევა. ეს გამოკვლევა, გადაგვიშლის რა ჩვენ თვალწინ ჩვენი კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მდგომარეობის ცოტად თუ ბევრად ნამდვილ სურათს, იმათი მდგომარეობის, იმათი მუშაობის გადასახალისებლად და იმათზე დაკისრებულ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

აი, რისთვის არ ითმენს დაყოვნებას ეს გამოკვლევა. და ეს მით უფრო, რომ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს, რომ გამოკვლევა ჩავატაროთ თითქმის ყოველივე ხარჯის გაუღებლად. ცენტრიდან სოფლებში მრავალი მუშაკები იგზავნებიან სხვადასხვა ფრიად საყურადღებო და მეტად რთულ დავალებათა შესასრულებლად, რომლებთან შედარებით იმ კულტ.-განმანათლებელ დაწესებულებათა მდგომარეობის გამოკვლევა, რაზედაც აქ ლაპარაკია, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ასე რომ ჩვენ აქ არ მოგვიხდება არც ცალკე სპეციალური მუშაკების ან სპეციალური ჯგუფების თუ ბრიგადების დაგზავნა.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა აქ გარკვეულად განვაცხადოთ შემდეგი: კლუბების, ქოხ-სამკითხველოების და წითელ კუთხეების გამოკვლევის ჩატარებისათვის **მთელი პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვთ რაიონულ აღმასკომებს და სოფლის საბჭოებს იმათი პრეზიდიუმების და თავმჯდომარეების სახით.** იმათ უნდა აიღონ ეს საქმე თავის ხელში და უხელმძღვანელონ მას. კლუბების, ქოხ-სამკითხველოების და წითელ კუთხეების მდგომარეობის შესწავლა, იმათი მუშაობის შემოწმება პარტიისა და ხელისუფლების დღევანდელ ამოცანებთან და დირექტივებთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა ხომ რაიონულ და სოფლის ხელისუფლებისათვისაა საჭირო? ამიტომ ისინი უნდა დაინტერესდნენ ამ საქმით, როგორც თავისი საკუთარი საქმით. რაც შეეხება ცენტრიდან დროებით მივლინებულ მუშაკებს, ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ისინი მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ გამოკვლევის საქმეში. ყველამ უნდა შეიგნოს ამ გამოკვლევის დიდი მნიშვნელობა. მე ზევით აღვნიშნე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მუშაობის მნიშვნელობა საერთოდ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმეში. აქ უნდა აღვნიშნოთ იმათი მუშაობის მნიშვნელობა განსაკუთრებით **კულტურული რევოლიუციის** დარგში, სახელდობრ აღნუსხვა იმის, თუ როგორია კლუბის, ქოხ-სამკითხველოს და წითელ კუთხის როლი—ერთი მხრით წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის დარგში და მეორე მხრით—საყოველთაო სავალდებულო სწავლების ირგვლივ წარმოებულ მუშაობაში.

ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ სხვა დავალებებთან ერთად ეს დავალებაც ნაყოფიერად და წარმატებით იქნება შესრულებული. სწორედ დანიშნულ ვადისათვის, რომ რაიონები და სოფლები ერთმანეთს გამოიწვევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ დავალების ვადაზე და უკეთ ჩატარების საქმეში. დასასრულ, კლუბებისათვის უნდა აღვნიშნო, რომ საჭირო მასალა (ბლანკები, ინსტრუქციები და მითითებანი) უკვე დაგზავნილია ადგილებზე.

შ. მახარაძე

საკავშირო საბჭოთა მე-VI ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვი. 17 მარტი, დღეს, საღამოს 9 საათზე საკავშირო საბჭოთა მე-6 ყრილობამ დაამთავრა მუშაობა, თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. კალინინმა აღნიშნა ყრილობის განსაკუთრებული ერთსულოვნება მთავრობის პოლიტიკის საკითხებში. ყრილობამ გვაჩვენა,—განაცხადა ამხ. კალინინმა, — რომ ეს პოლიტიკა მთლიანად გამოხატავს მშრომელი მასების ინტერესებს და მისწრაფვებს.

ყრილობას ესწრებოდა 2403 დელეგატი, მათ შორის 1570 გადამწყვეტი ხმით. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 66 ეროვნებანი.

ეროვნებათა საბჭოში დამტკიცებულ იქნა 137 წევრი. საკავშირო საბჭოში ყრილობამ აირჩია 469 კაცი, მათ შორის ამხ. **ბლიუხერი, ბრიუხანოვი, ბუბნოვი, ბუდიონი, ბუხარინი, ვარეიკისი, ვოროშილოვი, გამარნიკი, გოლოდედი, გორკი, გრინკო, ენუქიძე, კაგანოვიჩი, კალინინი, კარახანი, ქართველიშვილი, კიროვი, კისელევი, კრესტინსკი, კრჟიჟანოვსკი, კრუპსკაია, კუიბიშევი, ყურულაშვილი, ლაკობა, ლარინი, ლებედი, ლიტვინოვი, ლობოვი, ლომოვი, მამულია, მახარაძე, მეჟლაუკი, მელიქ-ფაშაევი, მენჟინსკი, მიქოიანი, მოლოტოვი, მუსაბეკოვი, ორახელაშვილი, ორჯონიკიძე, პავლუნოვსკი, პეტერსი, პეტროვსკი, პოლონსკი, პოსტიშევი, რუძუტაკი, რუხიმოვიჩი, რიკოვი, სოკოლნიკოვი, სტალინი, სულიმოვი, ტერ-გაბრიელიანი, ტომსკი, ტუხაჩევსკი, უბორევიჩი, ხანჯიანი, ხინჩუკი, ხოჯაევი, ციხონი, ჩერვიაკოვი, ჩუბარი, შვერნიკი, მარო შენგელია, ელიავა, იაგოდა, იაკირი, იაკოვლევი, იანსონი და იაროსლავსკი.**

კანდიდატთა სიის გამოქვეყნებას ყრილობა ტაშით ხვდებოდა. ამხ. სტალინის სახელის გაგონებაზე დელეგატები ფეხზე ადგნენ და გამართეს ოვაცია.

ყრილობა დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

16 მარტის დილის სხდომა

მოსკოვი, 17 მარტი. დილით, 16 მარტს დამთავრდა კამათი კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების ირგვლივ.

„ბევრი ფიქრობდა — ამბობს ამხ. ლარინი, რომ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია — ეს შორეული მომავლის მუსიკაა, რომ ამისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება თავისუფალი ელექტრონის ენერგიაო. ასე იყო რამდენიმე წლის წინათ. ამჟამად აგებულია 37 რაიონული ელსადგური, ზაფხულის ხუთი თვის განმავლობაში გამოუყენებელი რჩება ამ სადგურების 1.600 ათასი კილოვატი, ე. ი. დაახლოვებით ერთი მილიონი ცხენის ძალა. ეს ენერგია გამოყენებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობაში. ელექტრონი გააიაფებს სასოფლო - სამეურნეო წარმოებას და რამდენიმე მილიონი ტონა ნავთის პროდუქტების ეკონომიას მოგვცემს ტრაქტორებისათვის. ელექტრონის გუთნით მუშაობა გაცილებით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ტრაქტორით. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია მოითხოვს ტრაქტორების და ელექტრო-მოტორების მუშაობის შეთანხმებას. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს მეცხოველეობისა და მებოსტნეობისათვის ელექტრონის გუთნების და სხვადასხვა ელექტრო - მოწყობილობის სპეციალური ქარხნების მშენებლობას“.

ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა უზენაეს სასამართლოს წევრის ამხ. **ანტონოვ-სარატოვსკის** სიტყვა.

იგი შეჩერდა მენშევიკური გზის განვითარებაზე, რომელსაც ახასიათებს მუშათა კლასის ღალატი და გამცემლობა. მენშევიკების პროცესმა ცხადჰყო მათი ინტერვენციონისტული გეგმები პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, მენშევიზმმა დაამთავრა თავისი სამარცხვინო გზა-მეორე ინტერნაციონალი ყოველნაირად უჭერდა მხარს ინტერვენციის მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „საკავშირო ბიუროს“ პროცესმა გამოაშკარავა მე-2 ინტერნაციონალის ნამდვილი მოღალატური სახე.

მუშათა კლასი, კოლმეურნეები და ღარიბი და საშუალო გლეხების მთელი მასა, რომლებიც ხედავენ ინტერვენციის საფრთხეს, კიდევ უფრო მტკიცედ უნდა შემჭიდროვდნენ კომუნისტური პარტიის ირგვლივ. მსოფლიო პროლეტარიატი სათანადოთ შეაფასებს მეორე ინტერნაციონალს და თავის დასკვნას გამოიყვანს.

საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხების შესახებ ყველა მომხსენებლების სახელით საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. **იურკინი,** მან წამოაყენა მთელი რიგი საკითხები, რომელთაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისათვის. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა აღრიცხვის მოწესრიგება. აღრიცხვის ფორმები იმდენათ მარტივი უნდა იქნეს, რომ ყოველ წერა - კითხვის მცოდნე კოლმეურნეს შეეძლოს მისი წარმოება. კოლმეურნეობათა ცენტრმა უკვე შეიმუშავა აღრიცხვის მეტად მარტივი ფორმა, რომელიც უნდა გატარდეს პრაქტიკაში. საკოლმეურნეო ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ დაუფლებიან წარმოებას. საჭიროა საკოლმეურნეო აპარატის მუშაობის გარდაქმნა და მთელი ყურადღების მიპყრობა წარმოების საკითხებზე.

მზადება გაზაფხულის თესვისათვის სუსტად სწარმოებს ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობს სათესლე ფონდების შეგროვება, საჭიროა ყველა საშუალებების მობილიზაცია გაზაფხულის თესვის უზრუნველსაყოფად სათესლე ფონდით. ამ ფონდების შესაქმნელად კოლმეურნეებმა საჭირო შემთხვევებში, უნდა გამოჰყონ ნაწილი თესლის მარაგიდან, რომელიც მათ საკუთარ განკარგულებაშია. საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შრომის დისციპლინას. ყოველმა კოლმეურნემ სავსებით უნდა შეიგნოს კოლმეურნეობაში თავისი მუშაობის მთელი პასუხისმგებლობა. შრომის დისციპლინა — ყოველი კოლმეურნის ღირსების საქმეა.

ვოლგის ქვემო და შუა მხარეთა, ჩრდილო კავკასიის და უკრაინის დელეგაციების წინადადებით ყრილობა იაკოვლევის მიერ საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების და თანამოხსენებების თეზისებს ღებულობს, როგორც საფუძველს.

საბოლოო დამუშავებისათვის ყრილობამ აირჩია კომისია ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით, კომისიაში შედის 33 კაცი.

16 მარტს, საღამოს სხდომა არ შემდგარა.

საბჭოების მე-6 ყრილობის მორიგი დილის სხდომა 17 მარტს არ შემდგარა.

ყრილობის მორიგი სხდომა გაიმართა საღამოს.

დღის წესრიგი: საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის საკითხები, ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება, რეზოლიუციების მიღება ყრილობის დღის წესრიგის საკითხების შესახებ. საბჭოთა კავშირის ცაკის შექმნა. საკავშირო საბჭოს წევრების არჩევა, ეროვნებათა საბჭოს წევრების დამტკიცება.

გერმანელმა ფაშისტებმა მოჰკლეს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენელი

ფაშისტების თავხედობას გერმანიის პროლეტარიატი უპასუხებს თავიანთი რიგების კომპარტიის ირგვლივ კიდევ უფრო შემჭიდროებით და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებით

ბერლინი, 16 მარტი. 15 მარტს, ღამე, რამდენიმე ტყვიით მოჰკლეს ჰამბურგის პარლამენტის კომფრაქციის წევრი, მუშა ჰენინგი, რომელიც ავტობუსით ბრუნდებოდა ჰამბურგის მახლობლად გამართულ კომუნისტურ მიტინგიდან. მძიმედ დაიჭრა მუშა-კომუნისტი კამბლეი, რომელიც ჰენინგს ახლდა.

მათ გარდა დაიჭრა ავტობუსზე მყოფი ორი ქალი. პოლიციამ დააპატიმრა მკვლელები, სამი კაცი, ნაციონალ-სოციალისტური (ფაშისტური) პარტიის წევრები. ერთ-ერთი მკვლელი ჰამბურგის პოლიციის ყოფილი უნტერ-ოფიცერია.

კომუნისტის მოკვლამ დიდი მღელვარება გამოიწვია ჰამბურგის მუშებს შორის. ჰამბურგისა და მის მიდამოებში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც მუშებმა მიიღეს რეზოლიუციები ფაშიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

იმ მიტინგზე, რომელიც გაიმართა სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულნი არიან რევოლიუციონურ ბრძოლაში დაღუპული ჰამბურგელი მუშები, სიტყვით გამოვიდა ტელმანი, რომელმაც განაცხადა, რომ **წითელი ჰამბურგი და მთელი გერმანიის პროლეტარიატი გაანადგურებენ ფაშიზმის დამპალ პარტიას.** ნაციონალ-სოციალისტები ვერ ბედავენ კომუნისტებთან საკამათოდ გამოსვლას ღია კრებებზე. ამის ნაცვლად ისინი მიმართავენ ზურგიდან, იდუმალად საზიზღარ თავდასხმას.

ტელმანმა მოუწოდა მუშებს მასიური პროტესტისაკენ. მოუწოდა—გადაჭრით გაუსწორდნენ ფაშისტ მკვლელებს.

ბევრ ქარხანაში და შრომის ბირჟებში გაიმართა მუშების მიტინგები, რომლებზედაც გადასწყვიტეს—გააძლიერონ ბრძოლა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ.

მუშების უდიდეს აღელვებას უკვე მოჰყვა ახალი შეტაკებები. ჰამბურგის მახლობლად მუშებმა სროლის დროს **მძიმედ დაჭრეს ორი ნაციონალ-სოციალისტი,** მუშები აღშფოთებულნი არიან ჰამბურგის პოლიციის უფროსის, სოც.-დემოკრ. შენფელდერის საქციელით. მან რამდენიმე დღის წინად განკარგულება გასცა დაეპატიმრებინათ ათას მუშაზე მეტი, რათა ხელი შეეშალა იმისთვის, რომ მათ მონაწილეობა არ მიეღოთ ნაციონალისტურ მიტინგში.

კომპარტია მოუწოდებს ბერლინის მშრომელებს—მასიური მონაწილეობა მიიღონ წითელი ბერლინის ანტი-ფაშისტურ დემონსტრაციაში, რომელიც 20 მარტს გაიმართება.

კომპარტია ამ მოწოდებაში აღნიშნავს, რომ მკვლელობა ჰენინგის და ბერლინელი კომკავშირელის პატანისა (გარდაიცვალა იმ ჭრილობისაგან, რომელიც მიაყენეს მას ფაშისტებმა ბერლინში) წითელი ბერლინისთვის წარმოადგენს ნიშანს—გადაჭრით გააძლიერონ ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.

ჰელზენკირხენის მიდამოებში რევოლიუციონურ მუშებთან შეტაკების დროს დაიჭრა 7 ნაციონალ-სოციალისტი.

დიუსელდორფში შეტაკების დროს დაიჭრა ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის „ფოლადის მუზარადის“ რამდენიმე წევრი. (ადს).

საქ. ა.ლ.კ.კ.-ის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ 20 მარტს

შესდგება

საქ. ა.ლ.კ.კ.-ის ცეკას პლენუმი

დღის წესრიგი:

1. საგაზაფხულო თესვა და საქ. ა.ლ.კ.კ.-ის ამოცანები.
2. საყოველთაო სავალდებულო სწავლება და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.
3. საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმი გაიხსნება თბილისის აღმასკომის დარბაზში საღამოს სრულ 6 საათ. ცეკას წევრების და კანდიდატების, ცენტ. სარევიზიო კომისიის წევრების და რაიკომების მდივნების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ა.ლ.კ.კ.-ის ცეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი საბჭოთა აჭარისტანს
მისი არსებობის ათი წლის თავზე

აჭარისტანის ოქტომბერი

დღეს აჭარისტანი დღესასწაულობს თავისი არსებობის 10 წლის თავს. ამ 10 წლის წინად განთავისუფლდა საქართველო და მასთან ერთად, აჭარისტანი მენშევიკების ბატონობისაგან.

18 მარტი ამიტომ აჭარისტანის მშრომელთა განთავისუფლების თარიღია. ამ დღიდან დაიწყო აჭარისტანის აღორძინება და კულტურული წინსვლა, შეტევა საუკუნოებრივი ჩამორჩენილობის დასაძლევად.

აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ზაქერია ლორთქიფანიძე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავს აჭარისტანი ეგებება უდიდესი მიღწევებით მშენებლობის ყველა ფრონტზე. 10 წლის განმავლობაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აჭარისტანის მუშები და მშრომელი გლეხები აწარმოებდენ მედგარ ბრძოლას—იკაფავდენ გზას სოციალიზმისაკენ.

რას წარმოადგენდა აჭარისტანი საბჭოთა ხელისუფლებამდე?

აჭარისტანი იყო დამონავებული და სიბნელის ბურუსში გახვეული. აქ სუფევდა აუტანელი ექსპლოატაცია. მეფის მთავრობა და მენშევიკების გვარდიელები ანადგურებდენ აჭარისტანის სოფლებს, ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდენ აჭარელ გლეხებს, როდესაც ეს უკანასკნელნი, მოთმინებიდან გამოსულნი, ბედავდენ ხმის ამოღებას. ზევრჯერ აჯანყდა აჭარისტანის ფუხარა ხალხი ბატონების წინააღმდეგ, მაგრამ ყოველი აჯანყება ჩაქრობილ იქნა სასტიკი ზომებით.

მხოლოთ საბჭოთა ხელისუფლების დროს ამოისუნთქა თავისუფლად აჭარისტანის მშრომელმა ხალხმა და შეუდგა მშვიდობიან შრომას.

დღეს, თავის არსებობის 10 წლის თავზე, აჭარისტანს შეუძლია თამამად იამაყოს უდიდესი მიღწევებით. აჭარისტანის სოფლები მოფენილია სკოლებით, ქოხ-სამკითხველოებით, კლუბებით. დღითი დღე იზრდება კულტურული დაწესებულებების რიცხვი. აჭარისტანის სოფლებში შეიჭრა წიგნი და რადიო.

იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რიცხვ., ამასთან დაკავშირებით სწარმოებს აჭარელთა ჩაბმა ფაბრიკა-ქარხნებში. სხვა და სხვა საქარხნო-საფაბრიკო სკოლების და კურსების საშუალებით მზადდება აჭარელთა კადრები მრეწველობისათვის.

აჭარელი მუშები და გლეხები დაწინაურებულნი არიან საპასუხისმგებლო-სახელმძღვანელო თანამდებობებზე.

სოფლის მეურნეობაში ხდება უდიდესი გარდატეხა. აჭარისტანი საუკეთესო კუთხეა თავის ჰავით და მდებარეობით ძვირფასი და სუბტროპიკული მცენარეების გასაშენებლად. თანდათანობით იდევნება აჭარისტანის მიდამოებიდან სიმინდი, რომლის ალაგს იპყრობენ ჩაი, თამბაქო, მანდარინი, გერანი, რამი და სხვა ძვირფასი კულტურები.

გაცხოველებული ტემპებით მიმდინარეობს საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა. ჩაის საბჭოთა მეურნეობების გვერდით შენდება მანდარინის, გერანის და სხვა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობები.

ამჟამად აჭარისტანში არსებობს 159 კოლექტივი, რომელშიაც გაერთიანებულია 3.545 მეურნეობა 2.178 ჰექტარი მიწით. ამგვარად კოლმეურნეობებში გაერთიანებულია გლეხური მეურნეობების 24 პროც.

კოლექტივების რიცხობრივ ზრდასთან ერთად სწარმოებს მათი განმტკიცება, გამსხვილება და რთულ ფორმებზე გადასვლა.

10 წლის თავზე აჭარისტანის მშრომელებს აქვთ უფლება განაცხადონ ყველას გასაგონად, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა აჭარისტანი ბეგების აღვირახსნილი ექსპლოატაციისაგან და სოციალისტური მშენებლობის გზაზე დააყენა.

სწორედ ამიტომ 18 მარტი—აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე—ჩვენი ოქტომბერია.

აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარე—
ზაქერია ლორთქიფანიძე.

ბრძოლისა და გამარჯვების ათი წელი

18 მარტი აჭარისტანისათვის უდიდესი ზეიმის დღეა. 10 წლის წინად ბოლო მოეღო მენშევიკური მთავრობის ბატონობას აჭარისტანში. ამ დროიდან აჭარისტანის მუშები და ფუხარა ხალხი სოციალისტური ქვეყნის მშენებელი და საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე დამცველი ხდება. 18 მარტი აჭარისტანის მუშათა და გლეხთა ბრწყინვალე გამარჯვების დღეა.

განვლილ 10 წლის მანძილზე აჭარისტანი მოიფინა სკოლებით, აჭარელი ახალგაზრდობა ათასობით ჩაება სწავლა-განათლების საქმეში. დღეს ჩვენ გვყავს აჭარელი აგრონომები, პედაგოგები, ექიმები, ინჟენერები. უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში აჭარელ სპეციალისტთა რიცხვი დიდათ გაიზრდება.

სოფლის მეურნეობის დარგში აჭარისტანმა სავსებით შეიცვალა თავის პირვანდელი სახე. ხორბლეული კულტურების ნაცვლად ბოლშევიკური ტემპით ვითარდება მაღალ ხარისხოვანი კულტურები: თუ წარსულში აჭარისტანის სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგს სიმინდის თესვა და, მცირეოდენი რაოდენობით, ჩაის გაშენება შეადგენდა, დღეს ჩაის პლანტაციებით მოფენილია აჭარისტანის ტერიტორიის დიდი ნაწილი. ჩაის გარდა, სწრაფი ნაბიჯით სწარმოებს გერანის, არახისის, თამბაქოს და სხვა კულტურების გაშენება.

დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა ვითარდება სოციალისტური გზით. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ აჭარისტანის სოფლის მეურნეობის ძირითად დასაყრდენს. კოლმეურნეობებში ჩაბმულია გლეხურ მეურნეობათა 24%. გარდა ამისა, ჩამოყალიბებულია 12 საბჭოთა მეურნეობა, სადაც მუშაობს აჭარელთა დიდი რაოდენობა.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დარგში. 10 წლის თავზე აჭარისტანში გვაქვს 160-მდე კოლმეურნეობა 4 ათასი წევრით, რაც პარტიის ხაზის ურყევად გატარებისა და აჭარისტანის ფუხარა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო მაჩვენებელია.

სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ სოციალისტური მრეწველობის განვითარება. ამის მაჩვენებელია ახალი ქარხნების მშენებლობა აჭარისტანში, როგორც არის აზნავთშენის გიგანტები, ჩაის ახალი ქარხნები, აჭარისწყლის ჰიდრო-ელსადგური, აგურის და ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები.

საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისადმი. ქალაქში გაიხსნა ახალი დისპანსერები, ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი და სხვა და სხ. ამბულარიები. სოფლად მოეწყო მთელი რიგი საექიმო პუნქტები, საავადმყოფოები, დედათა და ბავშთა კონსულტაციები. ბათომის მუშები, რომელთა შორის მრავალი აჭარელია, ჩვენი კავშირის სხვა ქალაქებთან ერთად გასკეცებული ენერგიით იბრძვიან ხუთწლედის 4 წელში განსახორციელებლად, სოციალისტური მშენებლობის გასაძლიერებლად.


აზნავთშენი — ნავთის გადამმუშავებელი № 2 ქარხანა ბათომში

აჭარისტანი გიგანტური ნაბიჯით მიდის წინ—ახალი მიღწევებისაკენ. თუ დღეს საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონებთან შედარებით იგი ჯერ კიდევ ჩამორჩენილია სოციალისტური მშენებლობის რომელიმე დარგში, უდავოა, რომ ხუთწლედის ბოლოს აჭარისტანი იქნება ერთ-ერთი მოწინავე რაიონი, რადგან შეუჩერებლივ იზრდება მისი მეურნეობა, მტკიცდება მისი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა.

ა. ქავთარაძე.

განთავისუფლებული აჭარელი ქალი

საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცე საძირკველი ჩაუყარა აჭარელი ქალის განთავისუფლებას საუკუნოებრივი მონობისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქალი აჭარისტანში იმყოფებოდა აუტანელ მდგომარეობაში: საბჭოთა ხელისუფლებას კი გამოყავს აჭარელი ქალი ამ მდგომარეობიდან და აბამს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აჭარისტანის ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში ჩაბმულია 2.000 ქალი, რომელთა შორის 30 აჭარელი ქალია.

დაარსებულია 50 ჭრა-კერვის სკოლა, სადაც მუშაობს 700-მდე აჭარელი ქალი.

ქალებისათვის ჩამოყალიბებულია სატრიკოტაჟო სახელოსნო, ჩულქის და ხალიჩების საქსოვი სახელოსნოები, სადაც მუშაობენ რამდენიმე ათეული აჭარელი ქალი.

სკოლებში ყოველწლიურად იზრდება აჭარელ ქალების რიცხვი. აჭარელ ქალებისაგან მზადდება პედაგოგების კადრი. აჭარისტანის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 30 აჭარელი ქალი, პედაგოგიური ტეხნიკუმი ამზადებს 60 აჭარელ ქალს მასწავლებლად.

აჭარელ ქალთა ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს ბათომში არსებული „აჭარელ-ქალთა კლუბი“. კლუბთან ჩამოყალიბებულია სხვადასხვა პოლიტიკური და საგანმანათლებლო წრეები. კლუბის სცენაზე დროგამოშვებით იდგმება წარმოდგენები აჭარელ ქალთა ძალებით.

კლუბთან არსებობს ამბულატორია, საბავშო ბაღი, ქალების და ბავშების საკონსულტაციო კაბინეტი.

ქალები აქტიურად ებმებიან საბჭოების მუშაობაში. ის ფაქტი, რომ საბჭოების საანგარიშო - საგადარჩევო კამპანიას დაესწრო 1644 აჭარელი ქალი, ნათლად მეტყველებს იმ უდიდეს მუშაობაზე, რომელსაც პარტია და ხელისუფლება აწარმოებენ აჭარელ ქალთა განსათავისუფლებლად.

აჭარელი.

მისალმებები
საბჭოთა აჭარისტანის მშრომელთ

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტისაგან

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი, მენშევიკების კონტრრევოლუციონური ხელისუფლების დამხობის და საბჭოების ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე, ბოლშევიკურ სალამს უგზავნის საბჭოთა აჭარისტანის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელებს

სოციალისტური მშენებლობის წარმატებებმა უზრუნველყვეს გადამჭრელი გარდატეხა საბჭოთა აჭარისტანის სამეურნეო და კულტურულ განვითარებაში და მისი მჭიდრო ძმური კავშირი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყველა ხალხებთან.

ა.-კ. საოლქო კომიტეტი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა აჭარისტანის მუშები და კოლმეურნე—ღარიბი - საშუალო მასები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელში მიაღწევენ ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ი აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის აჭარისტანის მშრომელებს. პარტიის ხელმძღვანელობით აჭარისტანის მშრომელთა ბრძოლა ინგლისელ ოკუპანტების და მათი ლაქიების — სოციალ - ფაშისტ მენშევიკების წინააღმდეგ ათი წლის წინად ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. საქართველოს ყველა მშრომელებთან ერთად საბჭოთა აჭარისტანი ათი წლის განმავლობაში შეუპოვრად იბრძოდა სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, ინდუსტრიალური ბაზის შექმნისათვის, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისთვის.

მძლავრი ნავთის გადამმუშავებელი ქარხნების აგება, ჩაის კულტურისა და მრეწველობის უდიდესი ზრდა, სპეციალური კულტურების განვითარება — ყველაფერი ეს მთლიანად უცვლის სახეს აჭარისტანის სოფლის მეურნეობას. ეს წარმატებანი შესაძლებელი გახდა პროლეტარული დიქტატურის პირობებში, საბჭოთა აჭარისტანის მუშების, კოლმეურნეების, ფუხარა და საშუალო გლეხების შემოქმედებითი აღფრთოვანების საფუძველზე, შეურიგებელ ბრძოლაში კულაკებისა და ბეგების წინააღმდეგ. ამავე დროს შეიქმნა ყველა წინასწარი პირობები კულტურული რევოლუციის განსახორციელებლად.

საბჭოთა აჭარისტანის მიღწევები, საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელთა მიღწევები განვლილი ათი წლის განმავლობაში გვინერგავს რწმენას, რომ მუშაობა სოციალიზმის საძირკვლის აგებისათვის, პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარი გადახრისა და გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველზე წარმატებით დამთავრდება.

გაუმარჯოს საბჭოთა აჭარისტანს!

საქართველოს კ.პ. (ბ) ც. კ-ი.

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმი მიესალმება აჭარისტანის მშრომელებს აჭარისტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დიდი საბჭოთა კავშირის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების წრეში არსებობის ათი წლისთავის დღეს. აჭარისტანს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს, ათი წლის განმავლობაში ბრწყინვალე მიღწევები აქვს სოციალისტური სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე, აჭარისტანის მშრომელები ლენინიზმის დროშის ქვეშ და პარტიის გენერალური ხაზით დასახული გზით ასრულებენ ხუთწლიან გეგმას ოთხ წელში, ზოგიერთ დარგში კი უფრო ადრეც, ა.-კ. ცაკი დარწმუნებულია, რომ აჭარისტანის მშრომელები შემდეგშიაც ასეთივე წარმატებით განახორციელებენ პარტიის გენერალურ ხაზს, უკუაგდებენ კლასობრივი მტრის ყოველგვარ შემოტევას, გამარჯვებით გაივლიან ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ეტაპს და დიდი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებთან ერთად დაამთავრებენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს.

გაუმარჯოს წითელ საბჭოთა აჭარისტანს!

გაუმარჯოს ა.-კ. ფედერაციას—მოძმე რესპუბლიკების გაერთიანებას ლენინიზმის დროშის ქვეშ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს—მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს საკ. კ.პ. (ბ)—მუშათა კლასის ლენინურ ავანგარდს.

ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
ა.-კ. ცაკის მდივანი—**სულთანოვი.**

საქართველოს ცაკისაგან

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი საქართველოს მუშების და გლეხების სახელით ძმურ სალამს უძღვნის აჭარისტანის მთელ მშრომელ მოსახლეობას, გულწრფელად ულოცავს აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავს და უსურვებს შემდგომში, კიდევ უფრო წარმატებით წინსვლას სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ. ათი წელიწადი შესრულდა, რაც აჭარისტანის მშრომელმა მასამ სამუდამოდ გაანადგურა ბეგების და მათი აგენტების—მენშევიკების ბატონობა და დაამყარა მუშათა და ფუხარა გლეხთა ხელისუფლება. ათი წლის განმავლობაში მშრომელი საბჭოთა აჭარისტანი შეუჩერებლივ ანხორციელებს კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანებს აჭარისტანის სახალხო მეურნეობის და კულტურულ ფრონტზე.

გაუმარჯოს სოციალისტურ მშენებლობას!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხთა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს აჭარისტანის ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

აჭარისტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ათი წლის თავის დღეს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე პროლეტარულ ძმურ სალამს უგზავნის აჭარისტანის მუშებს, კოლმეურნეებს და ყველა მშრომელებს. აჭარისტანმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას მიაღწია სასტიკი კლასობრივი ბრძოლით ცარიზმთან და სამოქალაქო ომის ცეცხლში, ქართველ მენშევიკების და აჭარისტანის ბეგებისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლით. ცარიზმის დროს, როცა მეფის სატრაპებისა და მეფის მოადგილეების თვითნებობა მძვინვარებდა, განსაკუთრებით ძლიერად განიცადა აჭარისტანი ჩაგვრას. მეფის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების მხრით. მენშევიკების ბატონობის დროს აჭარისტანი წარმოადგენდა საერთაშორისო იმპერიალიზმის სათარეშო ასპარეზს, მენშევიკები, რომლებიც თავიანთი ნაციონალური პოლიტიკით მშრომელ მასებს სწამლავდნენ შოვინიზმის და ნაციონალური შუღლის შხამით, უფრო სასტიკად ანხორციელებდნენ ამ პოლიტიკას აჭარისტანის მშრომელი მასების მიმართ, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გაანთავისუფლა აჭარისტანის მუშები და გლეხები ნაციონალური ჩაგვრისაგან, იმპერიალიზმის მტაცებლობისაგან, ბეგებისაგან, მემამულეებისაგან და დაამყარა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ერებს შორის. საბჭოთა აჭარისტანი, რომელიც საქართველოს პროლეტარიატთან და მშრომელებთან ერთად განთავისუფლდა, ათი წლის განმავლობაში გაიზარდა და განმტკიცდა საქართველოს, ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მთელი საბჭოთა კავშირის ზრდასთან ერთად. საბჭოთა ხელისუფლების დროს აჭარისტანი დაადგა სოციალისტური განვითარების გზას, აქ ათი წლის განმავლობაში მან დიდ წარმატებას მიაღწია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ზრდის საქმეში და კულტურული განვითარების დარგში. ნავთის პროდუქტების გადამმუშავებელი ქარხნების მშენებლობა, ჩაის დიდი საბჭოთა მეურნეობების და ფაბრიკების მშენებლობა, საკოლმეურნეო მშენებლობა, უდიდესი მიღწევები ნაციონალური კულტურის დარგში,—აი აჭარისტანის სოციალისტური მშენებლობის უდაო მაჩვენებლები. ეს წარმატება შედეგად მოჰყვა სწორი ლენინურ ნაციონალური პოლიტიკის გატარებას, პარტიის გენერალური ლენინური ხაზის მტკიცედ გატარებას, გადამწყვეტ ბრძოლას ორ ფრონტზე—მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, და მენშევიკურ ტროცკისტული კონტრ-რევოლუციის „მემარცხენე“ გადახვევების და მათდამი შემარიგებლობის წინააღმდეგ. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ აჭარისტანის მუშები, კოლმეურნეები და მშრომელი მასები ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებით, კულაკების, შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლით, შემდეგშიაც შეუსუსტებლად იმუშავებენ მოძმე საქართველოსთან ერთად ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის, ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის და სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს დაამთავრებენ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში.

გაუმარჯოს მოძმე საბჭოთა აჭარისტანს!

გაუმარჯოს ოქტომბრის მონაპოვარს, ეროვნულ მშვიდობიანობის და სოციალისტური მშენებლობის მძლავრ იარაღს ა.-კ. ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას და საერთაშორისო პროლეტარიატის და მთელი ქვეყნის ჩაგრული ხალხების სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინის პარტიას, რომლის დროშით მუშათა კლასი მივა სოციალიზმის გამარჯვებამდე მთელს მსოფლიოში!

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა თავმჯდომარე
სუხიშვილი.

რა მიღწევებით ხვდება საბჭოთა აჭარისტანი
თავისი არსებობის ათი წლის თავს

მრეწველობა

აჭარისტანში არის ფაბრიკა-ქარხნები, რომლებიც იმყოფებიან აჭარ. სახ. მეურნ. საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ. ამასთან ერთად, აჭარისტანის ტერიტორიაზე არის საწარმოები, რომლებსაც აქვთ საერთო საკავშირო მნიშვნელობა. ასეთ საწარმოებს ეკუთვნიან აზნავთშენი, „საკ. ნავთი“, „აჭარტყე“, თამბაქოს ქარხანა.

აჭარისტანის ს. მ. საბჭო აერთიანებს 7 ქარხანას. ეს ქარხნებია: თუჯის ჩამომსხმელი, თუნუქის, ტყავეულობისა, ქიმიური, არაყის სახდელი, ფეხსაცმელების და პოლიგრაფ-წარმოება.

ეს ქარხნები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ხანებში იმყოფებოდნენ უნუგეშო მდგომარეობაში. თანდათანობით მათი მდგომარეობა გამოსწორდა და ამჟამად დასმულია ზოგიერთი ქარხნის გაფართოების საკითხი.

აჭარისტ. სახ. მეურნ. საბჭოს ქარხნებში გაერთიანებულია 466 მუშა.

სახ. მეურნ. საბჭო იღებს ზომებს აჭარელთა ჩასაბმელად წარმოებაში და აჭარელთაგან კვალიფიციურ მუშების მოსამზადებლად. გახსნილია საქ.-საფ. სკოლა, რომელიც მიმდინარე წელს იქნება გაფართოებული.

აჭარისტანის მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ქარხნების გაფართოებას და ახალი ქარხნების მშენებლობას.

გაერთიანებული იქნება თუჯის ჩამომსხმელი და თუნუქის ქარხნები ერთ მძლავრ ერთეულად, 475 მუშით. გაერთიანებული ქარხნისათვის აგებული იქნება ახალი შენობა.

ქობულეთში 1932 წლისათვის აგებული იქნება ბეტონიტის ქარხანა.

ქობულეთში (ოჩხამურის ახლო) და ბათომის რაიონში (ს. ფეიზიე) აგებული იქნება აგურის ქარხნები, სადაც იმუშავებს 324 მუშა.

ფეხსაცმლების, ტყავეულის და ქიმიური ქარხნები მომარაგებული იქნებიან ახალი, გაუმჯობესებული მანქანებით და ხელსაწყოებით.

ახალი ქარხნების მშენებლობა, ცხადია, გამოიწვევს მუშა-ხელის ზრდას. მუშებისათვის ბინების ასაგებად 1931 წელს გადადებულია 850.000 მან., 1932 წელს—700.000 მანეთი.

1931 წლის დამლევს, ხუთწლიანი გეგმის მიხედვით აჭარისტანის მრეწველობაში დაბანდებული იქნება 564 მუშა, 1932 წელს—1.091 მუშა, 1933 წელს—1.265 მუშა.

კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობაში იძლევა შემდეგ სურათს: 1931 წ.—1.215.000 მან., 1932 წ.—1.975.000 მან., 1933 წ.—1.135.000 მანეთი.

აჭარისტანის გლეხობა კოლექტივიზაციის გზით

კოლექტივიზაციის ძლიერმა ტალღამ მიაღწია აჭარისტანის მთებამდე და ფუხარა ხალხში ჰპოვა სათანადო გამოძახილი.

1928 წელს აჭარისტანში იყო 22 კოლექტივი, რომლებიც აერთიანებდნენ 237 წევრს. 1929 წელს კოლექტივების რიცხვი უდრიდა 60-ს. 1930 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის, აჭარისტანში იყო 86 კოლექტივი 1837 წევრით და 1230 ჰექტარი მიწით.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივები იყვნენ უმარტივესი ფორმის. ისინი წარმოადგენდნენ ამხანაგობებს, რომლებიც გაერთიანებული ძალით ამუშავებდნენ სხვადასხვა კულტურებს, როგორიც არის ჩაი, თამბაქო, გერანი და სხვ.

ამხანაგობების წევრებს არ ჰქონდათ გაერთიანებული არც მიწა, არც საქონელი და სას.-სამ. იარაღი.

გარდატეხა საკოლმეურნეო მოძრაობაში დაიწყო 1931 წელს, კოლმეურნეობების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის დროს, და გაზაფხულის თესვისათვის მზადების პერიოდში.

1931 წლის 1-ლ მარტისათვის აჭარისტანში გვაქვს უკვე 159 კოლექტივი, რომლებშიაც გაერთიანებულია 3.545 წევრი. 2173 ჰექტარი მიწით.

აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავისათვის კოლექტივებში გაერთიანებულია მთელი მოსახლეობის 24 პროც.

ამასთან, ერთი მხრივ, მიმდინარეობს—კოლექტივების გამსხვილება, მეორეს მხრივ—მათი გადასვლა არტელის ფორმებზე.

ამჟამად უკვე არის 21 არტელი 1.123 ჰექტარი მიწით. არტელის წევრებმა გაართიანეს ყველა მიწები, საქონელი და სას.-სამ. იარაღ-მანქანები.

არტელის ფორმაზე გადასვლამ დიდათ შეუწყო ხელი შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

კოლექტივიზაცია აჭარისტანში იმარჯვებს. ღარიბი გლეხობა მიილტვის კოლექტივებისაკენ, რადგან ხედავს, რომ კოლექტივიზაცია არის ის გზა, რომელიც იხსნის მას სიღარიბისა და უკულტურობისაგან.

აჭარისტანის კოლექტივების ერთ - ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს მომზადებული მუშაკების უყოლობა. კოლექტივები არ არიან უზრუნველყოფილი სპეციალისტებით, მოანგარიშეებით. კადრების მოსამზადებლად კოლექტივებისათვის უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯი, იხსნება კურსები სპეციალისტების მოსამზადებლად. ხულოს, ქედის, ქობულეთის რაიონებში ჩამოყალიბებულია კურსები მოანგარიშეთა მოსამზადებლად კოლმეურნეობის წევრებისაგან და სხვ.

ფართო გზა ტეხნიკურ კულტურებს

აჭარისტანი აგრარული ქვეყანაა. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარებას მისთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

აჭარისტანი თავისი მდებარეობით და ჰავით წარმოადგენს საუკეთესო ადგილს ძვირფასი ტეხნიკური და სუბტროპიკული კულტურების გასავრცელებლად.

წარსულში არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ძვირფას კულტურების გავრცელებას. აჭარისტანში მეფობდა სიმინდი.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად გადადგა ნაბიჯი ძვირფასი კულტურების გასაშენებლად აჭარისტანში და მიაღწია კიდეც საგრძნობ შედეგებს. აჭარისტანის გლეხობა ნათლად ხედავს ძვირფასი ტეხნიკური კულტურების მოშენების სარგებლობას და სიმინდის ნაცვლად იგი უთმობს ადგილს თავის მიწაზე ჩაის, თამბაქოს, მანდარინს, გერანს და სხვ.

უდიდესი ყურადღება ექცევა საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, რადგან ეს მეურნეობები იქნებიან მაგალითის მაჩვენებლები გლეხობისათვის და, მეორე მხრივ, ისინი შეიქმნებიან ნედლეულის ბაზად, რომელიც ესაჭიროება საბჭოთა ქვეყანას.

ამჟამად აჭარისტანში არის 12 საბჭოთა მეურნეობა (ჩაის, მანდარინის, გერანის, ბამბუკის, მეფრინველეობის, მებოსტნეობის), რომლებსაც უკავიათ 11.715 ჰექტარი ფართობი.

აჭარისტანის მიდამოებიდან იდევნება მარცვლეული კულტურები და მათ ადგილს იჭერენ ტეხნიკური და სუბტროპიკული მცენარეები.

1931 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა მარცვლეულ და ცერცოვან კულტურების ზრდას ითვალისწინებს მხოლოდ 2,3 პროცენტით. თუ გასულ წელს ამ კულტურებს ეჭირათ 17.185 ჰექტარი, წელს მათ დაეთმობათ 17.588 ჰექტარი.

ტეხნიკური კულტურების ნათესების ზრდა გათვალისწინებულია 295 პროცენტით. გასულ წელს ამ კულტურებს ეკავათ მხოლოდ 923 ჰექტარი, 1931 წელს ისინი უნდა გაშენდნენ 3.647 ჰექტარზე.

1931 წელს აჭარისტანის ტერიტორიაზე გაშენდება: თამბაქო—950 ჰექტ., არახისი—200 ჰექტ., სოია—2000 ჰექტ., რამი—17 ჰექტარი, ეთეროვანი მცენარენი—130 ჰექტ., ჩაი—1350 ჰექტ., ბამბუკი—50 ჰექტ., ტუნგოს ხე—200 ჰექტ., ციტრუსოვანი მცენარენი—418 ჰექტ., მიმოზები—200 ჰექტ., კაფურის ხე—5 ჰექტ., ევკალიპტები—20 ჰექტ., პრობკის ხე—10 ჰექტ., კრიპტომერია—15 ჰექტ.

ყოველწლიურად იზრდება ფართობი, რომელიც დათმობილი აქვს ტეხნიკურ და სუბტროპიკულ კულტურებს. ამასთან ერთად უმჯობესდება გლეხობის მატერიალური მდგომარეობა, ვინაიდან ტეხნიკური კულტურები იძლევიან მეტ შემოსავალს, ვიდრე სიმინდი.

1. ას. ჩხეიძე—აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკის დირექტორი, **2. ხან. ბეჟანიძე**—ფაბრიკა „მკერავი“-ს დამკვრელი მუშა-ქალი, **3. თ. პაპუნაშვილი**—ქობულეთის საქსოვი ფაბრიკის დამკვრელი მუშა-ქალი, **4. მ. კელენჯერიძე**—არტელ „ბავშვის გასართობი“-ს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

კულტურული რევოლუცია

აჭარისტანი წარსულში სწავლა-განათლების მხრივ წარმოადგენდა ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანას. რა თქმა უნდა, არც მეფის მთავრობა, არც მენშევიკები თავს არ იტკივებდნენ აჭარისტანის კულტურულ ამაღლებაზე, აჭარისტანში სწავლა-განათლების გავრცელებაზე. ამ 10 წლის წინად აჭარისტანის მშრომელთა უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ძირძოდ, რაც შეეხება ქალებს, მათ შორის წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებნელი იყო. 1921 წელს ყოფ. ბათომის ოლქში არსებობდა მხოლოდ 38 სკოლა (აქედან სკოლების უმრავლესობა ბათომზე მოდიოდა). მოწაფეთა რიცხვი სოფლის სკოლებში არ აღემატებოდა 300—400, რაც შეადგენდა მთელი მოსახლეობის 2,3 პროც.

საშინელი სიღატაკე, გონებრივი ჩამორჩენილობა, ქალის უმწეო, კარჩაკეტილი მდგომარეობა—აი ძველი აჭარისტანის სურათი.

10 წლის მანძილზე აჭარისტანში მოხდა უდიდესი გარდატეხა. საბჭოთა ხელისუფლება არ შეჩერდა არავითარი დაბრკოლების წინაშე და შეუდგა ენერგიულ მუშაობას აჭარისტანის კულტურული დონის ასამაღლებლად.

1921 წელს აჭარისტანში (ბათომში) არსებობდა მხოლოდ 1 საბავშო ბაღი. 1930-31 წლისათვის კი არის: საბავშო ბაღი—11 (აქედან სოფლად 8 ბაღი), საბავშო სახლი—1, კუთხე—1, ბაგა—2 (ერთი სოფლად), ბავშთა კოლონია—1.

შეუჩერებლივ ფართოვდება სასკოლო ქსელი როგორც ქალაქად, ისე სოფლად. თუ 1921 წელს იყო სოფლად პირველი საფეხურის 23 სკოლა და 1 შვიდწლედი 135 მოწაფით, 1931 წლისათვის უკვე არის 205 პირველი საფეხურის და 12 კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლა, რომლებშიაც მეცადინეობს 10.775 მოწაფე.

ქალაქად კი არსებობს 4 დამოუკიდებელი და 13 შვიდწლედებთან არსებული პირველი საფეხურის სკოლა და 13 შვიდწლედი. ამ სკოლებში ჩაბმულია 7.912 მოწაფე.

აჭარისტანს თავისი არსებობის 10 წლის თავზე აქვს 11 ტეხნიკუმი, 1 პარტსკოლა, მუშათა უნივერსიტეტი, სუბტროპიკული და ინდუსტრიალური მუშფაკები.

აჭარისტანის სკოლებში ყოველწლიურად იზრდება აჭარელ ქალთა რიცხვი. 1921-22 წელს სკოლებში არ იყო არც ერთი აჭარელი ქალი. ამჟამად კი ქალების რიცხვი უდრის მოწაფეთა მთელ შემადგენლობის 29,5 პროცენტს.

აჭარისტანის ტერიტორიაზე ამჟამად არსებობს 12 კლუბი, 24 ქოხ-სამკითხველო, 10 წითელი კუთხე.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების რიცხვი 420 უდრის, მათში მეცადინეობს 9.810 კაცი, რომელთა შორის 2.287 ქალია. არსებობს 44 სკოლა მცირემცოდნეთათვის 1.182 მოსწავლით.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლება შემოღებულია ჯერ-ჯერობით ბათომში და ჩაქვში. ამ მხრივ მოცემული გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით: პირველ საფეხურის სკოლებში ჩაბმულია 15.108 ბავშის მაგივრად — 16.252 ბავში.

აჭარისტანში საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების საკითხი უკვე მომწიფებულია. ამას მოწმობენ შემდეგი ციფრები: ხულოს რაიონში გეგმის მიხედვით სკოლაში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 2.877 ბავში, ფაქტიურად ჩაბმულია 2.935 ბავში, ქედის რაიონში, გეგმით გათვალისწინებულ 1065 ბავშის მაგიერ, 1.307 ბავში, ქობულეთის რაიონში, 3.010 ბავშის მაგიერ,—3.436 ბავში და ბათომის რაიონში 2.576 მაგიერ—2.634.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა.

1921 წელს აჭარისტანში იყო: 1 საავადმყოფო 80 საწოლით, 1 სამკურნალო, 3 კერძო აფთიაქი, 3 საექიმო პუნქტი, 1 სამალარიო სადგური.

საბჭოთა ხელისუფლება აქცევდა და აქცევს უდიდეს ყურადღებას მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. ყოველწლიურად იზრდება საავადმყოფოების და სამკურნალო დაწესებულებათა რიცხვი. ბათომის გარდა, უდიდესი ყურადღება ექცევა სოფელს, რომელიც წარსულში მიტოვებული იყო უპატრონოდ.

ათი წლის თავზე აჭარისტანში არსებობს: 6 საავადმყოფო 270 საწოლით, 26 საექიმო პუნქტი, 1 დისპანსერი (ვენეროლოგიური), 1სამალარიო სადგური, სანატორიუმი, ქიმ. ბაქტერ. ლაბორატორია, ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი, ცენტრალური და ბავშთა პოლიკლინიკა, ეპიდემიური ბარაკი, 4 ამბულატორია, 2 ბიომეტრიული კაბინეტი.

ე. ხუციშვილი.

მიეცით ტრანსპორტს ჯანსაღი ორთქლმავალი

სასწრაფოდ და გადაუხვევლად გავატაროთ ცხოვრებაში საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვა ტრანსპორტის შესახებ

სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანა მარტის პირველ დეკადაშიაც ჩამორჩა საწ.-საფინანსო გეგმის შესრულების მხრივ

მთელი ძალები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად

სტალინის სახელ. ორთქლმავალთა ვაგონების შემკეთებელ ქარხანამ მარტის გეგმით ყველა სახის შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 29 ორთქლმავალი.

მარტის პირველ დეკადაში, ე. ი. 3-დან 13 მარტამდე (ქარხანაში საანგარიშო დეკადა დაიწყო თვის სამი რიცხვიდან) ქარხანას შეკეთებიდან უნდა გამოეშვა 10 ორთქლმავალი, გამოუშვა 6, სამგზავრო სავაგონო საამქრომ მარტის გეგმით მთავარი შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 16 სამგზავრო ვაგონი, მარტის პირველ დეკადაში უნდა გამოეშვა 5, გამოუშვა 2, სამგზავრო ვაგონი. მარტის გეგმით წლიური გასინჯვით უნდა გამოუშვას 44 სამგზავრო ვაგონი, პირველ დეკადაში უნდა გამოეშვა 14, გამოუშვა 15 სამგზავრო ვაგონი. საბარგო სავაგონო საამქრომ მარტის გეგმით კონვენციური შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 315 საბარგო ვაგონი, პირველ დეკადაში უნდა გამოეშვა 102, გამოუშვა 109 ვაგონი.

მარტის გეგმით კონვენციური გასინჯვით იზოტერმიული (საყინულე) ვაგონი უნდა გამოუშვას 6, პირველ დეკადაში უნდა გამოეშვა 2, გამოუშვა 1 და ერთიც აღდგენითი შეკეთებიდან.

მარტში მაზუთის და ნავთის მილების გადაკეთებით ქარხანამ უნდა გამოუშვას 159 ქვაბი (ცისტერნა), პირველ დეკადაში გამოუშვა 61 ქვაბი.

ცხრილის მიხედვით ამჟამად ქარხანაში შესაკეთებლად უნდა იდგეს 9 ორთქლმავალი, ფაქტიურად კი დგას 16 ორთქლმავალი; მთავარი შეკეთების სამგზავრო ვაგონი უნდა იდგეს 6, დგას 17, წლიური გასინჯვის სამგზავრო ვაგონი უნდა იდგეს 7, დგას 10, კონვენციური გასინჯვის საბარგო ვაგონი უნდა იდგეს 40, დგას 41, კონვენციური გასინჯვის იზოტერმიული ვაგონი შეკეთებაში უნდა იდგეს 1, დგას 9. წლიური გასინჯვის იზოტერ. ვაგონი უნდა იდგეს 1, დგას 4, ამას გარდა შესაკეთებლად დგას სამი აღდგენითი შეკეთების იზოტერმიული ვაგონი და 17 ქვაბი (ცისტერნა).

შესაკეთებელი ვაგონების დაგროვება გამოწვეულია უმთავრესად ზოგიერთი ნაწილების სიმცირით.

„კომუნისტი“-ს ბრიგადის წევრი
დ. ჯღარკავა.

მოძრავი „სამკუთხედები“

ამ დღეებში შესდგა თბილისის რკ. გზის კვანძის მოძრაობის დარგის (კონდუქტორების) გაერთიანებული ჯგუფური კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. ვოკინის მოხსენება მატარებლებზე „სამკუთხედების“ შექმნის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე მატარებლის მუშაობის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთავარ კონდუქტორს, რომელსაც არ შეეძლო გადაეჭრა ყველა ის საკითხები, რომლებიც მატარებლის მსვლელობის დროს მის წინაშე ისმებოდა, რაც აფერხებდა მატარებლის ნორმალურ მუშაობას. აგრეთვე მთავარი კონდუქტორები გულგრილად ეპყრობოდენ მატარებლის მსვლელობის დროს წამოჭრილ დეფექტების აღმოფხვრის საქმეს, რის შედეგათაც ვღებულობდით მატარებლების მიმოსვლის ცხრილის დარღვევას.

კონდუქტორების ჯგუფურმა კრებამ სავსებით მოიწონა მატარებლებზე სამკუთხედების შემოღება და აღნიშნა, რომ ამ გზით შეიძლება სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპარტიის ც. კ. მიმართვის შესრულება და ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება. ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის 10 მარტიდან შემოღებულია საცდელად „სამკუთხედები“ ზოგიერთ მატარებლებზე.

ამ სისტემის უკეთესად გატარების მიზნით სადგურ თბილისმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს, განჯის, სამტრედიის, ხაშურის და ლენინაკანის სადგურის მუშები და პარტიულ - პროფესიონალური ორგანიზაციები.

პ. ვაჩეიშვილი.

ფართოდ გავშალოთ საწარმოო შეფობა რკინის გზის ტრანსპორტის საწარმოებზე

სამტრედიის რაიპროფსაბჭოს ბათომის, ფოთის, ქუთაისის, ზესტაფონის და ჭიათურის საწარმოების მუშებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

— ტრანსპორტი შეიქნა სახალხო მეურნეობის „ვიწრო ადგილად“ ს. კ. პ. (ბ) ც.კ. და მთავრობის მიმართვა რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ მოუწოდებს ყველას ბრძოლისაკენ სოციალისტურ ტრანსპორტისათვის.

ამ მიმართვის საპასუხოდ რკინისგზელთა მასები მაღლა სწევენ ბრძოლის უნარს შეკეთების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჯანსაღ ორთქლმავლისათვის და ტრანსპორტზე ყველა ვიწრო ადგილების ლიკვიდაციისათვის. მაგრამ ტრანსპორტის დასახმარებლად უნდა მოვიდენ მუშები მრეწველობის სხვა დარგებიდანაც.

რუსეთში „გეოფიზიკის“, „წითელი ბოგატირის“ და მალინიკოვის სახელობის ქარხნის მუშების მიერ მოწყობილმა ლაშქრობამ გამოსასვლელ დღეებში მოსკოვ-ყაზანის რკინის გზაზე დაჩქარა გამოშვება შეკეთებიდან ორი ორთქლმავლისა და 25 ვაგონის.

საკ. პროფკავშირთა საბჭო და გზათა სახალხო კომისარიატი მიესალმა მუშების ამ ბოლშევიკურ ნაბიჯს და მოუწოდა ყველა სამრეწველო წარმოებებს აიღონ საწარმოო შეფობა რკინის გზ. ტრანსპორტზე. პირველ საამშენებლო რაიონის მუშები უკვე გამოეხმაურნენ ამ მიმართვას და აიღეს საწარმოო შეფობა სამტრედიის დეპოზე. რაიპროფსაბჭო 8500 კავშირის წევრის სახელით მოგმართავთ ბათომში აზნეფტსტროის და „აჭარპრომის“ მექანიკურ ქარხნის, ფოთში გემთა შემკეთებელ ქარხნის, ქუთაისში—მაუდის ქარხნის, მექანიკურ სახელოსნოს და რიონჰესის, ზესტაფონში—ფეროსმარგანეცის ქარხნის და ჭიათურის მაღაროს მუშებს აიღოთ საწარმოო შეფობა თქვენთან ახლო მდებარე საყუდიან სადგურზე და აქტიური, პრაქტიკული დახმარებით უმოკლეს ვადაში შევასრულოთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და სახკომსაბჭოს დადგენილება რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ.

რაიპროფსაბჭო დარწმუნებულია, აღნიშნული ქარხნების მუშები მხურვალედ გამოეხმაურებიან რკინის გზის ტრანსპორტის გაუმჯობესების საქმეს და იბრძოლებენ მისი „ვიწრო ადგილიდან“ გამოყვანისათვის.

ბათომის რკინისგზელები იბრძვიან ტრანსპორტის ხუთწლედის სამ წელში შესრულებისათვის

ბათომის დეპოს საამქროებში და მოძრაობის დარგის საწარმოო ჯგუფურ კრებებზე დამუშავებული იქნა საკავშირო მთავრობის და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. მიმართვა რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ. ბათომის რკინის გზის კვანძის დამკვრელ მუშებმა თავის თავზე მიიღეს მთელი რიგი ვალდებულებანი, რომ ამით დაჩქარდეს ტრანსპორტის ხუთწლიანი გეგმის შესრულება სამ წელში.

43 კვალიფიციურმა მუშამ თავი გამოაცხადა დამკვრელად. თვითეულმა მათგანმა მიიღო თავზე ვალდებულება ხელი შეუწყოს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას. მუშები მიემაგრენ წარმოებას ხუთწლედის ბოლომდე. ფართოდ გაიშალა სოცშეჯიბრება. ბათომელ რკინისგზელებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სამტრედიის რკინისგზელები და დასდვეს პირობა —მინიმუმამდე შეამცირდეს მოძრავ შემადგენლობის შეკეთების დაგვიანება. ბათომის დეპოს და მოძრაობის დარგის მუშები აღუთქვამენ კომპარტიის ც. კ. (ბ), რომ ისინი მედგრად იბრძოლებენ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წლის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის და უზრუნველყოფენ ტრანსპორტის 5 წლედის 3 წელში შესრულებას.

ვინ აფერხებს შავი ზღვის რკ. გზის მშენებლობას
(ჩვენი ზუგდიდელი კორესპონდენტისაგან)

შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობას უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც ამიერ-კავკასიისათვის, ისე მთელი საბჭოთა კავშირისათვის.

მთავრობის გადაწყვეტილებით და მშენებლობის გეგმით, რკინის გზის ხაზი 1932 წლის 1 იანვრისათვის სოხუმამდე უნდა იქნეს მიყვანილი, ხოლო მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის კი—ოჩემჩირამდე და კვეზანამდე. ეს უდიდესი ამოცანა მოითხოვს მშენებლობის მაღალ ტემპებს და სოციალისტური შეჯიბრების, დამკვრელობის და საზოგადოებრივი ბუქსირის—მუშაობის ამ ახალი კომუნისტური ფორმების ფართოდ გაშლას იმისათვის, რომ 10 თვის განმავლობაში დამთავრდეს სოხუმამდე რკინის გზის მიყვანა. შედგენილია მშენებლობის 1931 წლის საწ.-საფ. გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი არტელამდე და თვითეულ მუშამდე. მშენებლობაში ზუსტათ არ არის გამოყენებული შინაგანი რესურსები და მექანიკური მოწყობილობანი. თვისობრივი მაჩვენებლების, აღრიცხვა სუსტად სწარმოებს, რაც ხელს უშლის შრომის დისციპლინის აწევას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ოქუმსა და ონარიას შუა მშენებლობას ხელს უშლის მავნებელი ინჟენერი ხოვანსკი, რომელიც მშენებლობის ვადაზე ადრე დამთავრებისათვის მუშების დარაზმვის მაგიერ, მუშებს უსაქმოდ ასეირნებს. მუშები მოითხოვენ სამუშაოს, ხოვანსკი ამაზე უპასუხებს: „რა გენაღვლებათ, ისეირნეთ და ფულს სახელმწიფო მაინც მოგცემთო“. ხოვანსკი თავის „სახელმძღვანელო“ საამშენებლო უბანში მუშებს არ აძლევს ბინებს და ხელს უშლის მუშათა მომარაგებას.

ხოვანსკიმ აიყვანა ვიღაც სუკაროვი, ტეხნიკის თანამდებობაზე „დააწინაურა“, რომელსაც ამ სპეციალობის არაფერი არ ესმის. ხოვანსკის და მისი „ტეხნიკ“ სუკაროვის ხელმძღვანელობით გაკეთებულ პიკეტების ქვეშ ჩვენ ვხედავთ ღრუებს. ხოვანსკი ყურადღებას არ აქცევს მუშათა წინადადებებს.

იმისათვის, რომ მშენებლობა ვადაზე ადრე დამთავრდეს, საჭიროა სოც-შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლა საკ. სახკომსაბჭოს და ცეკას მიმართვის ფართოდ დამუშავების საფუძველზე. ეს მიმართვა ოჩემჩირის სატრანსპორტო კომიტეტს ჯერ არ დაუმუშავებია.

მუშები დღესაც არ იცნობენ ცეკასა და სახკომსაბჭოს მიმართვას.

სადგურ ინგურში ოთხი თვეა უმოქმედოთ სდგას ვაგონი № 4. ამავე სადგურში უპატრონოთ გდია რამოდენიმე ყუთი რელსების ხრახნილები, რგოლები, ლურსმნები და სხვა. ცდება აგრეთვე ნავთის დიდი ცისტერნები № 339661 და № 5 და რეზერვუარები. განა ეს შინაგანი რესურსების მობილიზაციაა?! ამას კი ყურადღებას არავინ აქცევს, ეს მაშინ, როდესაც ზუგდიდის სახერხ ქარხანას საექსპორტო ხე-ტყის გადასაზიდათ მოთხოვნილი აქვს 16 ვაგონი და სინამდვილეში კი უგზავნიან მხოლოდ 8 ვაგონს. აი როგორ ესმის მშენებლობის ხელმძღვანელებს და რკინის გზის სამმართველოს ტვირთზიდვის გაუმჯობესების საქმე.

საჭიროა შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობაში მოხდეს გარდატეხა. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რომ მთავრობის დავალება—შავი ზღვის რკინის გზის 1932 წლის იანვრისათვის სოხუმამდე მიყვანის შესახებ შესრულებული იქნეს.

ი. იზორია,

თბ. დეპო. კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადა მუშაობს ორთქლმავლის შეკეთებაზე

დადგენილება
სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების იმ პირებზე გავრცელების შესახებ, რომელთაც აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წლის მარტის 18-მდე ჩაიდინეს საზოგადოებრივათ საშიში ქმედობა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამნისტიის თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. თებერვლის 24-ის დადგენილების მოქმედება („კომუნისტი“-ს 1931 წ. 48 №-ი) გავრცელებულ იქნეს იმ პირებზე, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული და მცირე დანაშაული აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის ტერიტორიაზე 1931 წ. მარტის 18-მდე, უკვე თუ ეს პირნი მსჯავრდადებულნი არიან აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სასამართლო ორგანოების მიერ ან უკეთუ მათ ადმინისტრატიული ან დისციპლინარული გადასახდელი დაადვეს აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სათანადო ორგანოებმა.

2. დადგენილება ეს სამოქმედოთ შემოღებული იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

სრულიად საქ. ცენტრ. აღმასრულებელი ლი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**
1931 წ. მარტის 13.
ქ. ტფილისი.

ლენრაიკომის პლენუმი

17 მარტს საღამოს 7 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ლენ რაიკომის და რაიონული საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ლენრაიკომის კომუჯრედების მდივნებთან ერთად, პლენუმის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. ქართველიშვილი.

პლენუმის ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

კულტურული აღმშენებლობა

კულტესტაფეტამ აამოძრავა მასები

მოსამზადებელი მუშაობა ბოლშევიკური ტემპებით ტარდება

აღმოვფხვრათ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი კულტმუშაობიდან. გარდავქმნათ კულტმუშაობა სოცაღმშენებლობის მსახურად

კულტესტაფეტა

ესტაფეტა უცხო სახელია. ის კოლექტივების შეჯიბრებას ნიშნავს, წინასწარ მითითებულ დავალებათა მიხედვით. როგორც ყოველგვარი შეჯიბრება, აგრეთვე ესტაფეტაც განსაზღვრულ დროში მიმდინარეობს. ესტაფეტას დასაწყისს —სტარტს უწოდებენ, ხოლო დასასრულს კი ფინიშს. ასეთი შეჯიბრება მასებს შორის სწარმოებს კულტურულ ფრონტზეც. ამიტომ მას კულტესტაფეტას უწოდებენ.

კულტურულ რევოლიუციის ისეთი დიდი საკითხის გადაწყვეტა, როგორიც არის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარება, კადრების პრობლემა, სკოლის ასაკამდე აღზრდა და სხვა, შეუძლებელია ისე, თუ მაქსიმალური მობილიზაცია არ ეყო საზოგადოებრივობას, თუ ამ საკითხების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობა არ მიიღეს ფართო მუშათა მასებმა.

კულტესტაფეტა კულტლაშქრობის მაღალი საფეხურია. კულტესტაფეტამ გარკვეულობა და სიმარტივე შეიტანა კულტლაშქრობაში, მან ის სოცშეჯიბრებით და დამკვრელობით გააშინაარსიანა. კულტესტაფეტას მასიური მუშაობის ელემენტები შეაქვს კულტურულ მშენებლობის ფრონტზე. მუშები ისე ებმიან და იბრძვიან კულტურულ მუშაობის გეგმის შესრულებისათვის, როგორც სამრეწველო საფინანსო გეგმის განხორციელებისათვის. ეს სავსებით დაადასტურა პირველად კულტესტაფეტის ჩატარების ცდებმა მოსკოვსა და სხვა სამრეწველო ქალაქებში. ჩვენ კი ამ საქმეში ძალზე ჩამოვრჩით. კულტესტაფეტა ჩვენთვის ჯერ კიდევ **ახალი**, უნახავი ფორმაა კულტმუშაობის დარგში.

მაგრამ სჯობს, გვიან ვიდრე არასოდეს. კომკავშირის ორგანიზაციამ, რომელიც კულტესტაფეტის სული და გული უნდა იყვეს, პარტიის ხელმძღვანელობით, პროფკავშირებსა და განათლების კომისარიატთან ერთად, უკვე მოჰკიდა ხელი კულტესტაფეტის ჩატარებას საქართველოში.

კულტესტაფეტის რესპუბლიკანური შტაბის დადგენილებით პირველი კულტესტაფეტა მიზნათ ისახავს სამ მარშრუტს — სამ ამოცანას: 1. წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას, 2. საყოველთაო სავალდებულო სწავლების გატარებას, პოლიტეხნიზაციას და 3. სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის ხელის შეწყობას.

კულტესტაფეტა სამ პერიოდათ იყოფა. პირველი პერიოდი მოსამზადებელი პერიოდია, რომელიც სტარტით, ე. ი. კულტესტაფეტის დაწყებით მთავრდება. ამ პერიოდში სწარმოებს სააგიტაციო მუშაობა. ყველა ქარხნებში, ფაბრიკებში, ცეხებში, ბრიგადებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ტარდება საუბრები, მოხსენებები, მფრინავი მიტინგები კულტურულ რევოლიუციის საკითხებზე მე-16 პარტყრილობის დადგენილებათა და მიმდინარე კულტესტაფეტის ამოცანების შესახებ. ამავე პერიოდში რაიონებსა, წარმოებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებთან ყალიბდება კულტესტაფეტის შტაბები. მთელი სააგიტაციო მუშაობა, მოხსენებებსა და საუბრებს გარდა, პლაკატები, ლოზუნგები, კინო, რადიო, მოწოდებები —იმგვარად ტარდება, რომ მან მაქსიმალურად დარაზმოს ფართო საზოგადოებრივობა კულტესტაფეტის ამოცანათა გადაწყვეტის ირგვლივ. კულტესტაფეტა მუშაობის ნახევრად მხედრული მეთოდია და ამიტომ კულტესტაფეტაში მონაწილეთ კულტარმიის წევრებს უწოდებენ, რომელნიც ჯგუფების, რაზმების და შტაბის უფროსთა ბრძანებებს ემორჩილებიან. მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში, ვიდრე სტარტი გამოცხადდებოდეს, სწარმოებს კულტარმიაში ჩაწერა. კულტმოლაშქრეთა შეკრება სწარმოებს კრებებზე, კედლის გაზეთების საშუალებით, პირადი აღრიცხვით, გამოწვევით, შეჯიბრებით და სხვა. კულტმოლაშქრეთა რიცხვი არ განისაზღვრება, მით უფრო უკეთესია, რაც უფრო მეტს მივიზიდავთ კულტურულ არმიაში. უნდა ვეცადოთ, რათა ესტაფეტაში ფართოდ ჩავაბათ მუშები, მუშა ქალები და საუკეთესო დამკვრელები. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ კონკრეტულად კულტესტაფეტის მარშრუტებით ჩატარება?

ვსთქვათ რომელიმე წარმოებაში ან სოფელში წინასწარი მუშაობის წარმატებით ჩატარების შედეგად, მობილიზაცია ვუყავით, ანუ მისი სურვილით აღრიცხვაზე ავიყვანეთ 300 კაცს, რომელთაც სახელად კულტმოლაშქრეთ ვუწოდებთ. 300 კაცი მარშრუტების მიხედვით გაიყოფა სამ თანასწორ ნაწილად. რას აკეთებს პირველი რაზმი პირველი მარშრუტისა საყ. სავ. სწავლებისა და სკოლების პოლიტეხნიზაციის გასატარებლად?

პირველი მარშრუტის რაზმი, ესტაფეტის დაწყების (სტარტის) დღიდან, მაგალითად, 10 მარტიდან, ვიდრე ესტაფეტის დასრულებამდე, ვთქვათ პირველ მაისამდე, არკვევს მოცემულ სოფლისა ან წარმოების ფარგლებში, როგორ ტარდება მთავრობის დადგენილება საყოვ. სავ. სწავლების შესახებ. რამდენი იყო ბავშვი სკოლის ასაკისა და ასაკგადაცილებულ, რამდენია ამჟამად ჩაბმული სკოლებში, რამდენი სკოლის გარეთაა დარჩენილი. უზრუნველყოფილია თუ არა სკოლა მასწავლებლებით, შენობით, ინვენტარით, გათბობით, წიგნებით, რვეულებით, ფანქრებით, მოწყობილია თუ არა ბავშვებისათვის ცხელი საუზმე, ღარიბთა ფონდი, აქვს თუ არა სკოლას პოლიტეხნიზმის გატარებისათვის იარაღ-მანქანები, არიან თუ არა მიმაგრებული რომელიმე წარმოებაზე ან კოლმეურნეობაზე, როგორია ბავშვთა შინაორგანიზაცია, ხომ არ აქვს ადგილი ბავშვების სკოლიდან ჩამოშორებას, და სხვა მრავალი. ყველა ეს საკითხები უკვე მოცემულია კულტესტაფეტის დირექტივებში.

მაგრამ ეს რაზმი ამჟღავნებს არა მარტო დეფექტებს, არამედ კულტესტაფეტამ უნდა გამოაშკარაოს და ბოლშევიკური ლახვარი ჩასცეს კლასობრივ მტერთა წინააღმდეგობას. მან უნდა გამოამჟღავნოს ზოგ პირთა აპოლიტიკური განწყობილება კულტურული რევოლიუციის საკითხებისადმი.

ესტაფეტის ფინიში, დასასრული მუშათა საერთაშორისო დღეს უკავშირდება. ის პირველ მაისს მთავრდება. ამ ხნის განმავლობაში ცალკე რაიონულ შტაბებსა, რაზმებსა, ჯგუფებსა, წარმოებებსა და სოფლებს შორის ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება. მუშაობის წახალისების მიზნით რაიონული შტაბები ქმნიან გარდამავალ დროშას. გარდამავალი დროშა წარმოებიდან წარმოებაში, სოფლიდან სოფელში გადადის იმის მიხედვით, ვინ-ვის აჯობა ესტაფეტის წარმოებაში დეკადის განმავლობაში. ამავე მიზნით რაიონულ შტაბებისათვის იქმნება ერთი რესპუბლიკანური გარდამავალი დროშა, რომელსაც კულტესტაფეტის რესპუბლიკანური შტაბი ანიჭებს ესტაფეტის საუკეთესოდ ჩამტარებელ რაიონულ შტაბს. რაიონიდან რაიონზე რესპუბლიკანური დროშის გადაცემის შემთხვევები ქვეყნდება პრესაში.

კულტესტაფეტას გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა კულტურულ რევოლიუციის საკითხების ბოლშევიკურად გადაწყვეტის საქმეში. ამიტომ პროფკავშირის, კომკავშირის და განათლების ორგანოების მუშაკებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ესტაფეტის წარმატებით ჩატარებაში.

ს. მინდაძე.

ბრძანება № 1

კულტესტაფეტის რესპუბლიკანური შტაბისა კულტესტაფეტის მსვლელობის შესახებ.

რესპუბლიკანური შტაბი აღნიშნავს, რომ მთელი რიგი რაიონებისა, განსაკუთრებით კომკავშირის თბილისის რაიკომები, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯერაც არ ჩაბმულან კულტესტაფეტის ჩატარების საქმეში, რის გამო შტაბი ბრძანებას იძლევა:

1. კომკავშირის რაიკომებმა დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბონ შტაბები იქ, სადაც ასეთი არ გამოყოფილა.

2. ჩამორჩენილმა რაიონებმა იმგვარად უნდა გაშალონ ახსნა-განმარტებითი სააგიტაციო მუშაობა (კრებები, მიტინგები, კულტმოლაშქრეთა მობილიზაცია), რომ ამ რაიონებში კულტესტაფეტის სტარტი (დასაწყისი) გამოცხადდეს 18 მარტს.

3. კულტესტაფეტის დირექტივის გატარებაში დასახმარებლად მიმაგრებულ იქნას შტაბის წევრები: ამხ. **მინდაძე** —ლენრაიკომთან, ამხ. **შახბატიანი**, „26“ სახ. რაიკომთან და ამხ. **ბერიძე** ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომთან.

4. ადგილებზე ორგანიზაციების დასახმარებლად გაიგზავნოს ოც რაიონში ბრიგადები 7 დღით.

რაიონულ შტაბებს წინადადება ეძლევა გადაგზავნონ რესპუბლიკანურ შტაბში პატაკი ჩატარებულ მუშაობის შესახებ არა უგვიანეს 20 მარტისა.

კულტესტაფეტის რესპუბლიკანურ შტაბის უფროსის მაგიერ: **შახბატიანი.**

გურჯაანი წინ უსწრებს სხვა რაიონებს

პ ა ტ ა კ ი

კულტესტაფეტის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ შტაბის უფროსს

კულტესტაფეტის ჩატარების შესახებ ცნობის და დირექტივების მიღებისთანავე 1-ლ მარტიდან შევუდექით მოსამზადებელ მუშაობის ჩატარებას.

გამოვყავით შტაბი 11 ამხანაგის შემადგენლობით (პარტკომის კულტპროპის გამგე, პროფსაბჭოს თავმჯდომარე, სოც. კულტ.-განყ. გამგე, კოოპერატივის კულტმომუშავე, ადგილობრივ პედ. ტეხნიკუმის გამგე, კოლმეურნეობის წარმომადგენელი, დამკვრელი მუშები და სხვა).

შტაბის პირველი სხდომა შესდგა 2 მარტს. შტაბმა შეიმუშავა მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებელი პრაქტიკული ღონისძიებანი და კულტ-ესტაფეტის მარშრუტი.

გურჯაანის რაიონში კულტესტაფეტის მარშრუტად შტაბმა დაამტკიცა: 1) საყ. სავალდ. სწავლებისათვის, 2) მცირე მცოდნეთა და წ. კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებისათვის, 3) შრომის სკოლის პოლიტეხნიზაციისათვის, 4) კოლმეურნე ახალგაზრდობის და ქალთა პროფსკოლებისაგან ნამდვილი კადრების მომზადებისათვის, 5) მასიურ კულტურული მუშაობის გარდაქმნისათვის (ქოხსამკითხველოები, რადიო, კლუბები, სახალხო სახლები, წითელი კუთხეები და სხვა) პირით მობრუნების საფუძველზე —სამეურნეო მშენებლობისაკენ, 6) მეორე ბოლშევიკური გაზაფხულის სას. - სამ. კამპანიის და კოლმეურნეობების კულტურული მომსახურების გაძლიერებისათვის.

2 მარტსვე მოვიწვიეთ მასწავლებელთა და პროფაქტივის თათბირი კომკავშირის რაიკომის აქტივთან ერთად, სადაც ჩავატარეთ კულტესტაფეტის ჩატარების საკითხებზე საინსტრუქციო მოხსენება. ამავე თათბირზედ გამოვყავით 13 ბრიგადა (თითო ბრიგადაში 3 კაცი), რომელნიც მივამაგრეთ სასოფლო საბჭოების ცენტრებში.

ბრიგადები 10 მარტამდე ატარებდენ მოსამზადებელ მუშაობას: აყალიბებდენ სასოფლო საბჭოებთან კულტესტაფეტის ჩამტარებელ შტაბებს, რის შემდეგაც ჩაატარეს კრებების, თათბირების და კონფერენციების საშუალებით —ახსნა განმარტებითი მუშაობა კულტესტაფეტის მნიშვნელობაზე. ამასვე დაუკავშირდა საქ. პროფსაბჭოს, საქ. ალკკ ცეკას და განათლების კომისარიატის 1 მარტის მომართვის დამუშავება.

კულტესტაფეტის ჩატარებისათვის მზადება ბოლშევიკური ტემპებით მიმდინარეობს ჩვენს რაიონში. ამ ტემპებს უფრო გავაძლიერებთ.

კულტესტაფეტის გურჯაანის რაიონული შტაბის **უფროსი.**

ბრძანება № 2

კულტესტაფეტის რესპუბლიკანური შტაბისა

ძალთა და საშუალებების დაქსაქსულობის თავიდან აცილების მიზნით, რესპუბლიკანური შტაბი წინადადებას აძლევს **გურჯაანის** რაიონულ შტაბს მტკიცედ დაიცვას მოცემული დირექტივა მარშრუტების რაოდენობის შესახებ. უბრძანებს გამორიცხოს კულტესტაფეტის მარშრუტებას რიგებიდან შემდეგი მარშრუტები: 1. კადრებისათვის, 2. მასიურ კულტურულ მუშაობის გარდაქმნისათვის, ხოლო მარშრუტი სკოლების პოლიტეხნიზაციისათვის შეუერთოს საყოვ. სავ. სწავლებისათვის მარშრუტს.

რესპუბლიკანური შტაბი ესალმება გურჯაანის რაიონის ინიციატივას კულტესტაფეტის მარშუტების რიცხვში ახალ მარშრუტის —საგაზაფხულო თესვის კამპანიის კულტმომსახურეობისათვის —დამატებას.

რესპუბლიკანური შტაბი წინადადებას აძლევს ყველა რაიონულ შტაბებს შეიტანონ კულტესტაფეტაში ახალი — 4 მარშრუტი —საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის. მე-4 მარშრუტის დავალებანი შტაბის მიერ გამოქვეყნებულ იქნება დამატებით.

კულტესტაფეტის რესპუბლიკ. შტაბის უფროსის მაგიერ: **შახბატიანი.**

ყურადღება მატყლის კონტრაქტაციას

საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატის ცნობით, მატყლის კონტრაქტაცია წელს მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კონტრაქტაცია წელს 1 მარტისთვის უნდა დამთავრებულიყო. ფაქტიურად ამ დროისთვის კონტრაქტაციის ჩამტარებელ ერთ ორგანიზაციას—მესაქონლეთა კავშირს—შესრულებული ჰქონდა გეგმის მხოლოდ 55 პროცენტი, 1600 ტონის ნაცვლად დაკონტრაქტებული ჰქონდა მხოლოდ 883,5 ტონა მატყლი. როგორ მიმდინარეობს კონტრაქტაცია სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, ვინაიდან ცეკავშირს არავითარი ცნობები არა აქვს მიღებული ადგილებიდან.

მომარაგების კომისარიატის განმარტებით, მატყლის კონტრაქტაციის ასეთი ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ მესაქონლეთა კავშირმა დიდი დაგვიანებით დაიწყო კონტრაქტაცია და სამომხმარებლო კოოპერაცია ამ დამზადებაზე დაშვებული იქნა დიდი დაგვიანებით, გარდა ამისა ადგილობრივი ორგანიზაციები მთლიანად ჩაბმული იყვნენ სხვა დამზადებებში და მატყლის კონტრაქტაციას ჯეროვან ყურადღებას ვეღარ აქცევდნენ.

შეიძლება ამ მიზეზებმა ნაწილობრივი გავლენა მართლაც მოახდინეს გეგმის შეუსრულებლობაზე. მაგრამ მთავარი მიზეზი აქ ის არის, რომ დამამზადებელი და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები აშკარა მემარჯვენე ოპორტუნისტულად მიუდგნენ საქმეს. ამას ნათლად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი რაიონული ორგანიზაციები თავიდანვე მოითხოვდნენ მიცემულ გეგმების შემცირებას. წალკის, თიანეთის, ყვარლის, ბაშკიჩეთის, გურჯაანის და სხვა რაიონებში **კულაკურ მეურნეობებს ან სრულიად არ მისცეს მტკიცე დავალებები ან მისცეს დიდი შემცირებით.** მატყლის დამამზადებელი ორგანიზაციები კამპანიას სათანადოთ მომზადებული ვერ შეხვდნენ. მათ ვერ მოახერხეს მატყლის კონტრაქტაციის საქმეში ადგილობრივი ორგანიზაციებისა, კოლმეურნეობების და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასების ჩაბმა. კონტრაქტაციის საქმეში სრულიად არ ყოფილა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ორგანიზაციებსა, კოლმეურნეობებს, სოფლებს, რაიონებს და ცალკე ღარიბ და საშუალო მეურნეობათა შორის. არ ხდება აგრეთვე შემხვედრი გეგმების წარმოდგენა.

მესაქონლეთა კავშირმა მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო ზომები (მოხსნა მუშაობიდან უვარგისი და უინიციატივო მუშაკები, ზოგიერთს გამოუცხადა საყვედური, წამოაყენა ახალი კადრები და სხვ.) მაგრამ ამით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

კონტრაქტაციის წარმატებით ჩატარების მიზნით მომარაგების კომისარიატთან ჩამოყალიბებულია სპეციალური შტაბი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ამ კამპანიას და ადგილებს პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინოს.

ამიერ-კავკასიის საამშენებლო ორგანიზაციათა წარმომადგენლობის თათბირი

საამშენებლო სეზონისათვის მზადება საქართველოში

16 მარტის სხდომაზე თათბირმა მოისმინა მოხსენებები საქართველოში დაწყებული კაპიტალური მშენებლობის შესახებ.

ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საამშენებლო ობიექტთაგანს წარმოადგენს თბილისის დიდი მექანიკური ქარხნის მშენებლობა. ეს მშენებლობა უკვე სწარმოებს დიდუბეში და იგი უნდა დამთავრდეს 1932 წლის იანვრისათვის. ქარხნის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ მოსმენილ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქარხნის ზოგიერთი საამქროების აგება უკვე დამთავრებულია. მშენებლობას აბრკოლებს მხოლოდ ხე-ტყის თავ-თავის დროზე და საკმაო რაოდენობით მიუწოდებლობა. მიუხედავათ მთელი რიგი დადგენილებებისა, ხე-ტყის მიწოდება მშენებლობისათვის ვერ მოგვარდა და ეს გარემოება იწვევს ტემპების შენელებას.

ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობები ნაწილობრივ დამზადებული იქნება საქ. ლითონტრესტის მიერ, ხოლო ნაწილობრივ საბჭოთა კავშირის ქარხნებში შეკვეთილი. ქარხნის მოწყობილობის ნაწილი, უმთავრესად კი რთული მექანიკური დადგმულობები, შეკვეთილია უცხოეთში. მშენებლობის დამთავრება შესაძლებელია დააგვიანოს შეკვეთილი მოწყობილობის თავის დროზე მიუღებლობამ, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად ზომებს არავინ ღებულობს.

შემდეგ მოისმინეს იქნა მარგანეცის ტრესტის წარმომადგენლის მოხსენება მარგანეცის მრეწველობაში დაწყებული ახალი მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. მარგანეცის მრეწველობაში დაწყებულია რგანის კანატის საჰაერო რკინის გზის გაყვანა, რომლის დამთავრებასაც აბრკოლებს გზის გასაყვანად საჭირო რკინის კონსტრუქციების დანიშნულ ვადაზე მიუღებლობა.

განსაკუთრებულ საფრთხეშია საამშენებლო მასალათა ტრესტის ხაზით დაწყებული მშენებლობა და მათ შორის ღრმა-ღელის აგურის ქარხანა.

შემდეგ განხილულ იქნა ბიტუმის ქარხნის, კურსების ქვის ქარხნის, ლიტოგრაფიული ქვის დამუშავების, სურამის კირის ქარხნის, სახურავი ფიქალის დამუშავების მდგომარეობის და მთელი რიგი წვრილ საამშენებლო სამუშაოთა მდგომარეობის საკითხები.

მეტი ყურადღება დამკვრელი მუშების გაწვევას პროლეტარულ მწერლობაში

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. სულავას მოხსენება დამკვრელი მუშების პროლეტარულ მწერლობაში გაწვევის შესახებ და დაადგინა:

1. გაწვევა ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ლოზუნგი „პირით დამკვრელისაკენ“ უკვე გარკვეული შინაარსით ივსება და ხდება მისი რეალიზაცია. დამკვრელ მუშების მწერლობაში გაწვევა ნიშნავს პროლეტარულ მწერლობის ბოლშევიზაციას, ასოციაციის მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნას, პროლეტ. მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის შემუშავებას, პროლეტარული მწერლობის რეკონსტრუქციის ტემპებისაგან ჩამორჩენის დაძლევას. ამიტომ მთელი პროლეტარული საზოგადოებრივობის ყურადღება გაწვევისაკენ უნდა იქნას მიმართული.

2. გაწვევის საქმეში გამომჟღავნდა პროლეტარული მწერლობის ერთი ნაწილის მიერ გაწვევის პოლიტიკურ-ლიტერატურულ მნიშვნელობის შეუფასებლობა, რაც წარმოადგენს მემარჯვენე ოპორტუნიზმის სახეობას; მეორე მხრივ—გაწვევის გადაფასებას, რაც არანაკლებ დამაბრკოლებელი მოვლენაა პროლეტარულ - ლიტერატურული მოძრაობის განვითარებისათვის მოცემულ ეტაპზე. უნდა აღინიშნოს, რომ მწერლობის ერთმა ნაწილმა ვერ შესძლო კარჩაკეტილ, კუსტარულ მუშაობის დაძლევა, რომლის ნიადაგზე წარმოიშვა გულგრილი დამოკიდებულება გაწვევის საქმისა და ბრიგადების მუშაობისადმი.

3. ბრიგადების მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს: სტალინის სახელობის შემკეთებელ ქარხანაში, ტყავტრესტში, ტრამვაიში და სხვ. აღინიშნოს სუსტი მუშაობა მაუდის ქარხანაში, 26 კომუნარის ქარხანაში, აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში და დეპოში.

4. გაწვევის საქმისადმი უარყოფითად დამოკიდებულებისა და ბრიგადაში მუშაობაში პასიურობისათვის უკანასკნელი გაფრთხილება მიეცეს შემდეგ ამხანაგებს: **პ. ხამსონიძეს, გ. კაჭახიძეს, ბ. ჩხეიძეს;** მითითოს: **ა. მაშაშვილს, კ. ლორთქიფანიძეს, ირ. აბაშიძეს, გ. ნატროშვილს და კ. მელაძეს.** გაწვევისადმი უყურადღებო დამოკიდებულებისათვის (მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა) გამოირიცხოს ასოციაციის რიგებიდან: ხერგო აბულაძე და ალიოშა ადამია.

შაქრის მარტის ნორმას მოსახლეობა მთლიანად მიიღებს

ბათომის ნავთსადგურში გემი „ელბრუსით“ ამიერ-კავკასიისათვის მოვიდა 40 ვაგონი შაქარი. გარდა ამისა, ამ დღეებში მოელიან გემ „ვოლგა-დონ“-ის მოსვლას რამდენიმე ათეული ვაგონი შაქრით.

გემების მოსვლა შეფერხდა ზღვაზე დიდი ღელვის გამო.

თბილისის მისამართით გადმოტვირთულია აგრეთვე რამდენიმე ათეული ვაგონი შაქარი, რომელთაგან 7 ვაგონი უკვე მიღებულია თბილისში.

შაქრის ნორმის დარიგება დაიწყება 18 მარტიდან, პირველ რიგში შაქარი მიეცემათ მუშებს. მთელი მშრომელი მოსახლეობა შაქრის ნორმას მთლიანად მიიღებს (ადს).

პარტიული კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) საორგ.-საინსტ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხანაგებს— ვ. კოპლავაშვილს (საქტევზი), მამარდაშვილს (აფთიაქების სამმართველო), ვ. ფირცხალაძეს (კავშირგაბმულობის საოლქო სამმართველო), ივ. ხუბერევს (სააღმშ. ინსტ.), და პ. ხადარეიშვილს (მესაქონლეობის კავშირი)—18 მარტს, დილის 11 საათზე გამოცხადდენ ცეკას საორგ.-ინსტრ. განყოფილებაში (ოთახი № 15).

— : —

— **19 მარტს**, საღამოს 7 საათზე, მარქსიზმისა და ლენინიზმის ინსტიტუტში (რუსთაველის პრ. № 21) შესდგება საქართველოს მებრძოლ მატერიალისტ-დიალექტიკოსების საზოგადოების კრება. დღის წესრიგი: ამხ. შარიას მოხსენება—„ჩვენი ამოცანები ფილოსოფიის ფრონტზე“. შესვლა თავისუფალია.

— : —

— ც. კ. კულტპროპი კატეგორიულ წინადადებას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ყველა პროპაგანდისტებს და პარტგანათლების ქსელის ხელმძღვანელებს, დღეს, საღამოს 7 საათზე გამოცხადდენ, წითელი არმიის სახლში (რუსთაველის თეატრის პირდაპირ), სადაც შესდგება კონსულტაცია თემაზე:—„წითელი არმიის ქართული ნაწილების 10 წლის თავზე“. დასწრება ყველა პროპაგანდისტებისათვის აუცილებელია.

— : —

— **18 მარტს**, საღამოს საათის 7-ზე, შეწვეულია იუსტსახკომის თანამშრომლებს და საბჭ. აღმ. და სამართლის ინსტიტუტის სტუდენტთა გაერთიანებული საზეიმო კრება—პარიზის კომუნის 60 წლის თავის აღსანიშნავად.

—:—

— **საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილებაში დღეს, 18 მარტს,** დღის 12 საათზე შესდგება თათბირი სამრეწველო კადრების მომზადების საკითხზე. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლების გამგეები, ინდუსტრიალურ და საგზაო ტეხნიკუმების გამგეები, საამშენებლო ინსტიტუტის დირექტორი, ფინ-კოოპერატ. ინსტიტუტის დირექტორი, საქ. სახ. მეურნ. უმ. საბჭოს კადრების განყოფილების გამგე, მუშგლეხინის სახკომის წარმომადგენელი, საქ. ავტოგზას წარმომადგენელი.

საქართვ. კ.პ. (ბ) 26 კომუნარის სახელობის რაიკომი

იუწყება, რომ ა. წ. 18 მარტს, საღამოს 6 საათზე, მშენებელთა კლუბში (კახეთის ქ., № 1) შესდგება

26 კომუნარის სახელობის რაიონის პარტაქტივის კრება

დღის წესრიგი: საქ. კ.პ. (ბ) ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ქართველიშვილის მოხსენება

რაიკომის და რაიონული საკონტროლო კომისიის წევრები შედიან თავიანთი მანდატებით.

უჯრედების მდივნები პარტაქტივის კრებაზე შესასვლელ ბილეთების მისაღებად უნდა გამოცხადდენ რაიკომში.

რაიკომის მდივანი ტერ-ვართანოვი.

---

15 მარტიდან, საღამოს 6 საათზე, წითელ ჯვრის ცეკას დარბაზში (კრილოვის ქუჩა № 15)

დაიწყება საქ. წითელი ჯვრის ცეკას და მის დაწესებულებათა თანამშრომლების

საჯარო წმენდა

გამწმენდი კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ აცილება და რაიმე მასალები აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლებზე, დაესწრონ წმენდას, ან გამოგზავნონ ასეთები გამწმენდ კომისიის თავმჯდომარის სახელზე.

3—3 ნ. 569 გამწმენდი კომისიის თავმჯდომარე: ა. ხუბოვი.

საქ. ს. მ. უ. ს. არსებულ საამშენებლო მასალათა ტრესტის გამწმენდი კომისია

შეუდგა წმენდის ჩასატარებლად მოსამზადებელ მუშაობას

ვთხოვთ ყველა ორგანიზაციებს და პირთ, რომელთაც მოეპოვებათ რაიმე მასალა, რომლითაც ხასიათდება საერთოდ აპარატის და ცალკე მუშაკების მუშაობა გამოგზავნონ ასეთი ამხ. **ჩარგეიშვილის** სახელზე. ქ. თბილისი ა/კ. ფედერაციის ქ. № 2, საამშენებლო მასალათა ტრესტის გამწმენდი კომისია, მეორე სართ., ოთ. 4. 1926

სახელმწ. ოპერა

დღეს, 18 მარტს	ხუთშაბათს, 19 მარტს	პარასკევს, 20 მარტს
მე-2 აბ. მე-8 წარმ. ნ. ნ. სერედას გამოსათხოვარი გამოსვლა ხ. ი. მიგაის მონაწ. **რიგოლეტო**	მე-8 აბონ. მე-9 წარმ. ხ. ი. მიგაის და ალ. პიროგოვის მონაწ. უკანასკნელად **თავადი იგორი**	მე-16 აბონემ. მე 10 წარმ. ახალი ქართული ოპერა **რაზმელები** (1905)

დღის წარმოდგენების ციკლი — სახელმწიფო ოპერა

პარასკ., 20 მარტს	კვირას, 22 მარ.	სამშაბ., 24 მარ.	ოთხშაბ., 25 მარ.	პარასკ., 27 მარ.
ალ. პიროგოვის მონაწილეობით **ტრილბი**	ძ. პ. მაქსაკოვას და ხ. ი. მიგაის მონაწილეობით **ევგენი ონეგინი**	ხ. ი. მიგაის და ალ. პიროგოვის მონაწილეობით **სევილიელი დალაქი**	მ. პ. მაქსაკოვას მონაწილეობით **კარმენი**	**შოთა რუსთაველი**

ყველა გამოცხადებულ წარმოდგენებზე ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დღის 11 საათიდან 2-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

წარმოდგენების დასაწყისი დღის სრულ 12 საათ. და 30 წ. ნ. 623

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

ა პ ო ლ ო — I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. — ახალი მხატვრული ფილმი **კაცი მარტო დარჩა**

სპარტაკი დღის სეანსები — I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს. — მხატვრული ფილმი **კომუნარის ჩიბუხი**

სპარტაკი საღამოს სეანსები — I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30. — ახალი მხატვრული სურათი **1-ლი კომკავშირული**

საზამთრო დარბაზი — I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30. — საზღვარგ. მხატვრული სურათი **„11 ე შ მ ა კ ი“**

ქართული სახელმწიფო თეატრი მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

19 მარტს	20 მარტს
მე-6 აბონ. მე-6 წარმოდ. **ლიანდაგი გუგუნებს**	მე-8 აბონ. მე-6 წარმ. **ხ ა ტ ი ჯ ე**

სავალდებულოა საბონემენტო ხაფასურის მე-5 შემოსატანის დაფარვა.

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მინიონი) I-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ. — არაჩვეულებრივი მხატვრ. ფილმი „ხოიუზკინო“-ს გამოშვება **ქალაქები და წლები** მთ. როლში ბერნგარდ გეტცკე.

კ ი ნ ო პ ა ლ ა ს ი — I-ლი სეანსის დასაწ. 6—30 — ახალი მხატვრული ფილმი „ხოიუზკინო“-ს გამოშვება **არის კაპიტანი** რეჟისორი ა. ივანოვი.

სახელმწ. ცირკი

უკანასკნელი დღეები ერნესტ შუს გასტროლებისა მისი 7 ლომით და პირველი სენსაციური სანახაობა ცეკვა ლომებს შორის

შეასრულებს უშიშარი მოცეკვავე ქალი ანიტა კნი. ახალი დებიუტები: 9 დანვაინტი 9, არაბული დასი. ბიმ-ბომის უკანასკნელი გასტროლები ახალი რეპერტუარით, მონაწილეობს სახელმწიფო ცირკის მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. სალარო ღიაა 11 ნახ. საათიდან 2 საათამდე და საღ. 5 საათიდან.

დღეს დილით გრანდიოზული წარმოდგენა

საამშენებლო მასალათა ტრესტს ესაჭიროება პროვინციებში

სამუშაოდ ბუხჰალტრები

პირობების გასაგებად მიმართეთ ტრესტის შრომის და ეკონომიკის განყოფილებას (ველიამინოვის ქ. № 2). 2001

ექიმი ივ. ა. ჩოხელი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყ. დილის 8—9 ს. და საღ. 6—7-მდე. ბარნოვის 4 (ყოფ. გუნიბის) ქ. № 44. ელსმენი 2 – 44 25—1 916

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი

ვასწავლი მათემატიკას

ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკას **და ვამზადებ მოწაფეებს** უმაღლეს სასწავლებლისათვის, სამხედრო აკადემიაში, ყველა სპეციალობის დარგზე პროგ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ.უნივერ., საბუღჰალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფებსაც მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1 - 7 საათამდე. 3—2 1350

მასწავლებელი ამზადებს მოწაფეებს

ყველა საგნებში: შვიდწლედების მოწმობისათვის, საბუხჰალტერო კურსებზე, შვიდწლედებში, მუშფაკებში და ტეხნიკუმებში მისაღებად. ასწორებს აგრეთვე სუსტებსაც. მისამართი: გოგებაშვილის მე-2-ე შესახვევი № 20 (ყოფილი პეტროვის მე-2 შეს. ბელინსკის ქუჩიდან). დილით 10—2 და საღ. 4—6 ს.-დე. 3—2 1759

თანახმად საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 223 დადგენილებისა, თბ. ალმასკომის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ ქ. თბილისში მცხოვრ. მოქ. აკაკი ივანეს-ძე გირკელიძეს შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის გირკელიძის ახალ გვარზე მამალაძეზე გამოცვლის შესახებ. 1957

ნატალია ალმასხანის ასული ლორთქიფანიძისა, ექიმი კონსტანტინე, ბესარიონ, დავით, გიორგი და შალვა ლორთქიფანიძენი ცოლშვილით, ანიკო და პეტრე ქავთარაძენი შვილებით და ივანე ცაგარელი შვილებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი

გიორგი მიხეილის-ძის ლასხიშვილის

გარდაცვალებას. ნ. 624

ელისაბედ და ევალდ გროსს, მარიამ და კოტო ფარესიშვილები, ნინო და გიორგი ტოროშელიძეები, ნინო და შალვა, ნინო და გიორგი თავთქიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 15 მარტს, ღამე, გარდაიცვალა მათი საყვარელი ბიძა

გიორგი მიხეილის-ძე ლასხიშვილი

1967

შვილები: ნინო, თამარი, მარგარიტა და ვეტა, სიძეები: ნ. კუპრაძე, ა. გერსამია, რ. ყუფარაძე და ვ. ფოლკიშვილი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 15 მარტს, ღამის 11 საათზე გარდაიცვალა

გიორგი მიხეილის-ძე ლასხიშვილი

სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე—ვარდისუბნის ქუჩა № 7. დაკრძალვა 19 მარტს, საღ. 5 საათზე. 2003

დამწუხრებული მეუღლე ვასასი, ძმები: ემილე, ხარლამპი, გრიგოლი, დები: კატუშა, სონია, შვილები: მურა, თათუშა, ვალოდია, ქოტო თოფურიები, სიძეები: უშანგი, კიტია და ისმენტი ჩხეტია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ილია ისიდორეს-ძე თოფურია

დასაფლავება 19 მარტს, ხუთშაბათს, 4 საათზე, ქ. ახალსენაკში. ნ. 626

ახალ-სენაკის გლეხკომის თანამშრომლები: კლიმენტი ჩაჩიბაია, ვანო შამათავა, ბიქტორ პაპასკირი, თეოფანე ძიძიგური არსენი სანაია, თირკია და ვარლამი ბარკაია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე გლეხკომის თანამშრომლ.

ილია ისიდორეს-ძე თოფურიას

გარდაცვალების გამო. დასაფლავება ხუთშაბათს, 19 მარტს, 4 საათზე, ქ. ახალ-სენაკში. ნ. 626

თავზარდაცემული და გულმოკლული მშობლები მარო და ალექსანდრე პატარა თენგიზით რუსაძეები დასტირიან თავის სიცოცხლით სავსე

პატარა თინიკოს (თინა)

სამოქ. პანაშვიდი საღ. 6 საათზე, ლენინის ქ. № 76, ზოოლოგიური პარკი. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1990

გულმოკლული: ბებია ციხადორე, დეიდა ნიია, ბიძია გოგი, მეუღლე ოლღა პატარა ბაზიკოთი ტუოაშელიძეები დასტირიან უდროოდ დაკარგულ თავიანთ მუდამ სიცოცხლით სავსე

პატარა თინიკო რუსაძეს

სამოქ. პანაშვიდი საღ. 6 საათზე, ლენინის ქ. № 76, ზოოლოგიური პარკი. 1990

თავზარდაცემულნი: ცოლი მარიამი, შვილები სერგო და გალინა ბენდიაშვილები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათი საყვარელი

ილიკო გიორგის-ძე ბენდიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ოთხშაბათს, 18 მარტს 5 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან საბჭოს ქ. № 143. 1972

თავზარდაცემული იულია დაუშვილისა მეუღლე მინათი, ლადო, სილო ცოლით გალინაით, ეფისტოლე და შალიკო ბენდიაშვილები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათი საყვარელი ბიძის

ილიკო გიორგის-ძე ბენდიაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ოთხშაბათს, 18 მარტს, 5 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—საბჭოს ქ. № 143. 1972

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი ნათლულები თამარა და ელენა ყიფიანები დასტირით თავის საყვარელ ნათლიას

ილიკო გიორგის-ძე ბენდიაშვილს

1981

ღრმად დამწუხრებულნი ეკატერინე იულოს ას. ვაჩეიშვილისა შვილებით ნათელა და არჩილით აცნობებს მეგობრებს და ნაცნობებს მისი ქმრის

შალვა ვაჩეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის I საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანის), 18 მარტს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1988

მწუხარებაში მყოფნი დედა ტერეზი, და ნატალია, ძმები: ალექსანდრე და ვასილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს

შალვა კონსტანტინეს-ძე ვაჩეიშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის I საავადმყოფოდან 18 მარტს, ვერის ახალ სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე. 1988

მარიამ და ალექსანდრე ვაჩეიშვილი შვილებით გივიკოთი და კოტიკოთი აცნობებენ მეგობრებს და ნაცნობებს

შალვა კონსტანტინეს-ძე ვაჩეიშვილის

გარდაცვალებას. 1988

მარტვილის რაიკოლმეურნეობის კავშირი აცხადებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მებრძოლი ბოლშევიკი, რაიკოლმეურნეობის კავშირის თავმჯდომარე ამხანაგი

პარმენ ქვარცხავა

დაკრძალვა დაბა მარტვილში დღეს, 18 მარტს, ძმათა სასაფლაოზე. 2007

უახლოესი ამხანაგები: ქოლუ ჩხაიშვილი, ვახო გაბუნია, ანდრო ქორიავა, ლიდა საბახტარაშვილი, მათიკო ჩიქოვანი და თინა ძიძელაძე იუწყებიან, რომ 15 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ დაიკარგა მარტვილის რაიკოლმეურნკავშირის გამგეობის თავმჯდომარე

ამხ. პარმენ ქვარცხავა

დასაფლავება ოთხშაბათს, 18 მარტს. დ. მარტვილში, ძმათა სასასაფლაოზე. 1976

გარდაცვალებულ მებრძოლ ბოლშევიკის ამხანაგ

პარმენ ქვარცხავას

დაკრძალვა მოხდება დღეს, დღის 2 საათზე, დაბა მარტვილში, ძმათა სასაფლაოზე. 2007

თავზარდაცემული ცოლი ვარდო შვილებით: ბესარიონი, მარიამი, კობა და ნინო, რძლები: ნადია და ვერა შვილიშვილებით ლენიკო და გურამი, ძმა მელიტონი ცოლით გონე და შვილებით ნინიძეები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გერასიმე ნიკოს-ძე ნინიძე

დაკრძალვა 19 მარტს, 4 საათზე, ჩოხატაურში (გურია). 1962

ღრმად დამწუხრებული სიმამრი ფილიპე, სიდედრი ბუჟუტი, ცოლისძმა ემელიანე ცოლით ლიუბათი და შვილებით, ცოლისდები ნიკო და მაშო კალანდაძეები, ქვისლი მიხაკო მევრელიძე შვილებით იუწყებიან მათთვის დაუვიწყარი სიძის

გერასიმე ნიკოს-ძე ნინიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება ხუთშაბათს, 19 მარტს 4 საათზე, ჩოხატაურში (გურია). 1965

სიო და ოლღა შვილებით: ტიხონი, სარა, პროკლე, ლიუდმილა, ჯენიოსი, კატუშა, რძალი თამარა შვილებით ლამარა და ნინუთი ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ საუკეთესო ადამიანის, სიყრმეში ჩვენი აღმზრდელი ბიძის

გერასიმე ნიკოს-ძე ნინიძის

გარდაცვალების გამო. დასაფლავება 19 მარტს, დ. ჩოხატაურში. 1945

მიხეილ გიორგის ძე ხაბაზაშვილი იუწყება საყვარელ სიმამრის

ივანე ზაქარიას-ძე ქობულაშვილის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 18 მარტს, დღის 1 საათზე. 2000

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: და ნინო, სიძე ვანო შვილებით: ვასილ, მიხეილ და შოთა გოგიშვილები იუწყებიან ძვირფას და დაუვიწყარ

ივანე ქობულაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. დიღომში 18 მარტს. დღის 1-ლ საათზე. 1990

გულმოკლული მეუღლე მარიამ, შვილები: ელენე, ლიუბა, ანეტა, გიორგი, ვლადიმერ, ძმა დავით მეუღლე ელენეთი ქობულაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე ზაქარიას-ძე ქობულაშვილი

დასაფლავება სოფ. დიღომში, 18 მარტს. 1982

გულდათუთქულნი: ბებია თებრონე, მამიდები დონია და ანასტასი, ბიცოლები: ნინა, ბუცუნია, ლოლა, ოლინკა შვილებით, და-ძმანი: ლილოსია, დარიჯანი და გივი, ბიძაშვილები: ქეთო, რუსუდანი, კუკური, ნინა, გივი ჭეიშვილები, მამიდაშვილები: დათიკო, საშა და მიშიკო აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის საყვარელ

თინიკოს

უდროოდ დაკარგვას. 1992

გაუბედურებული გამზდელი მამიდა დონია და ბიძია საშა ჩიხლაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მათი საყვარელი

თინიკო ჭეიშვილის

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. ქვიტირში 21 მარტს. 1992

უახლოესი მეგობრები: ვასილ დონდუა, კუკუშა ბეჟანიშვილი, გიგლა აბზიანიძე, ელიზბარ კვაჭანტირაძე და სოლომონ შარაძენიძე უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ სიცოცხლით აღსავსე ძვირფას ამხანაგის

თინა ჭეიშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 1985

დამწუხრებული შვილები მიშა და ოლია დანელიები, რძალი ანიჩკა, შვილისშვილები ლუცია და ვახტანგი დანელიები, ძმისწული ალიოშა, ვლადიმერი და მარო გაბუნიები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ფოტინე ნიკოს ას. გაბუნია-დანელიასი

დაკრძალვა 19 მარტს, სოფ. ნაჯახოვოში. 1955

დამწუხრებული მეუღლე მატრონა, შვილები: ლავრენტი, დათიკო, ვალერია და ტატიანა, რძლები: სონია, დარია და საშა, ძმა ონისიმე ბარბაქაძეები, სიძეები: ვარლამ ბარაბაძე და ბორის გოგიაშვილი აუწყებენ საზოგადოებას

სოკრატი ბეჟანის-ძე ბარბაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 მარტს, 4 საათზე, სოფ. სა-არაში. ნ. 627

ღრმად დამწუხრებული შვილი ნინო გიორგის ასული ივანოვა ქმრით ადიკო კვალიაშვილით იუწყებიან, რომ 16 მარტს გარდაიცვალა

გიორგი სიმონის-ძე ივანოვი

გამოსვენება პლეხანოვის პრ. № 69, დაკრძალვა 18 მარტს 5 საათზე. კუკიის სასაფლაოზე. 1991

თავზარდაცემული მშობლები ექვთიმე და მარია, ცოლი ფაჩა, დები: ჭანტუ, პაშა და ცუბუ, სიძეები გრიშა პაპასკირი და კონდოატე ხოფერია, დეიდა მელანია და დეიდაშვილები ვალიკო და სონია სიჭინავები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს მათთვის უსაყვარლესი

ბაგრატ ექვთიმეს-ძე ჭიჭინაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 19 მარტს, სოფ. ლესიჭინეში. 1998

სამუდამოდ გაუბედურებული მშობლები: ილია და მარიამი, ძმა ვახტანგი ტატიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მოსკოვში ტრაგიკულად დაღუპულ მე 4 კურ. სტუდენტ

ალექსანდრე (შურა) ილიას-ძე ტატიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ხუთშაბათს, 19 მარტს, საღამოს 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (გადმოსვენებულია კუკიის სასაფლაოდან). 2008

იუსტინა, კალისტრატე, ლიუბა, ტიტიკო, ქსენია, პაჭუ, ფუცა, პიერი, ვალენტინა და პაატა კობახიძენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან საუკეთესო მეგობრების კოლია, ჰიჭიკო და ვანო რაფავების მამის

ნარიქი რაფავას

გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ზუგდიდში. 2002

სენაკის ოთლ. სადაზღვეულ სასადილოს თანამშრომლები: გ. ხარანდია, გ. გაბეჩია, ზ. ადანაია, კ. კუპრავა, ბ. ჩარგაზია, ი. ჭანტურია, ბ. თურქია, ი. კუჭავა, ი. გვასალია, ლ. მარშანია, ს. ესაკია, ი. ბოკუჩავა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ენერგიული ახალგაზრდის კ.კ. წევრის სასადილოს თანამშრომლის

თათუშა ევგენის ას. ლოლუა-გესელიას

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 მარტს, სოფელ ნოსირში. 2009

დამწუხრებული მეუღლე დარია გიორგის ასული შვილებით დევი და ზეინაბ აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ

ალექსანდრე ხახულის-ძე აბაშიძის

ხსოვნის აღსანიშნავად სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია ვერის ახალ სასაფლაოზე 19 მარტს, 5 საათზე. 1997

მიხეილ მალამბეგიძე მეუღლე ანეტათი მწუხარებით იუწყებიან, რომ ა.-წ. აპრილის 11 ს ქალაქ ლენინგრადში გარდაიცვალა მისი ყრმობის მეგობარი ქიმიკოსი

ალექსანდრე იოსების-ძე ციციშვილი

2005

უდროოდ დაკარგულ

ექ. ვალიკო ლოლუას

ხსოვნის აღსანიშნავი სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია სოფ. ხორშში 20 მარტს, რასაც მწუხარებით ვიუწყებით უახლოესი მეგობრები მარო ოყუჯავა და ვალოდია ხუბია ოჯახით. 2004

გულდაწვავი დეიდები: ლიუდმილა რიჟამაძისა, იადითი. მარუსია და ლიზიკო შეგეგედასი, ბიძები: ზოსიმე, იაშა და შალიკო ხოჯავაები დასტირით საყვარელი დისშვილის

ნონა ლომინაძის

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა ქუთაისში 19 მარტს, საფიჩხიის სასაფლაოზე. 2006

გაუბედურებული ცოლი ვალერია გრიგოლის ასული, შვილი ნინო, სიძე ნიკოლოზ ხომიზურიძე პატარა ეთერით იუწყებიან, რომ 16 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ეპიფანე მაქსიმეს-ძე ჯაოშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 19 მარტს ქ. თელავში. 1984

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტი № 904